

შატაშვილი

126

ТРУДЫ

საბჭოთა მეცნიერებათა აკადემია

СЕРИЯ ХИМИЧЕСКИЕ НАУКИ



ТРУДЫ

126

СЕРИЯ ХИМИЧЕСКИХ НАУК

IV

შრომები

126

ქიმიის მეცნიერებათა სერია

IV

დაიბეჭდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო
საბჭოს დადგენილებით

სარედაქციო კოლეგია

- ი. ბგერდწითელი
- ვ. კოკოჩაშვილი
- ბ. ხალარაძე (მდივანი)
- ნ. ფირცხალავა (რედაქტორი)
- ნ. ციციშვილი

Печатается

по постановлению Ученого совета
химического факультета Тбилисского
государственного университета

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ


- И. М. Гвердцители
- В. И. Кокочавили
- Г. П. Сагарадзе (секретарь)
- Н. И. Пирцхалава (редактор)
- Н. С. Цицишвили

ქიმიის მეცნიერებათა სერიით გამოქვეყნებულია თბილისის უნივერსიტეტის შრომათა შემ-
დეგი ტომები: 74 (1), 80 (2), 104 (3).

В серии химических наук вышли в свет следующие тома Трудов Тбилисского
университета: 75 (1), 80 (2), 104 (3).

შინაპარსი

	33
ი. მოსეშვილი, მ. უგულავა — ფლუორი საქართველოს ზოგიერთ პიდრო-კარბონატულ წყლებში	11
ი. მოსეშვილი, გ. ჯოხაძე — დარიშხანი ქ. რუსთავის მიდამოების ქანებში და ნიადაგებში	15
ი. მოსეშვილი, გ. ჯოხაძე — დარიშხანი საქართველოს ზოგიერთი რაიონის ქანებში	19
ლ. ჭელიძე — სამეგრელოს საბადოების ბენტონიტური თიხები	25
ი. მოსეშვილი, გ. თალაკვაძე, დ. ხავთასი, პ. ცისკარიძე — მანგანუმის გამოკვლევა საქართველოს ციტრუსებში	33
ი. მოსეშვილი, ე. დოქსოპულო — ნიკელი ზემო სვანეთის დიბაზურ ქანებში	37
ი. მოსეშვილი, ე. დოქსოპულო — ნიკელი ზემო რაჭის დიბაზურ ქანებში	43
ი. მოსეშვილი, ე. დოქსოპულო, ლ. კუცია — ნიკელი ძირულის კრისტალური მასივის ზოგიერთ ქანში	47
ლ. გურგენიშვილი — კობალტი ჩორჩანის ტალკის ბუდობებთან დაკავშირებულ მცენარეებში	51
ი. მოსეშვილი, ლ. გურგენიშვილი — კობალტის განსაზღვრა საქართველოს ზოგიერთი რაიონის ქანებში	55
მ. უგულავა, ი. საბინგუსი — სპილენძის ხსნადი ფორმების განსაზღვრა აჟარის ასსრ ზოგიერთ ნიადაგში	59
მ. უგულავა, ი. საბინგუსი — სპილენძი ხაშურის რაიონის ზოგიერთ ქანში	63
მ. უგულავა, ი. საბინგუსი — სპილენძი ხაშურის რაიონის ზოგიერთ ნიადაგში	67
გ. ყაჭეიშვილი, ნ. ფირცხალავა, გ. ჯიოშვილი — შერეულრადიკალიანი ბოროტგანული ნერთების სინთეზი და შესწავლა	71
გ. ყაჭეიშვილი, ნ. ფირცხალავა, გ. ჯიოშვილი — ბორის ატომური რეფრაქციის საკითხისათვის	75
ნ. ფირცხალავა, ო. ჩიქოვანი — სამბრომიანი ბორის ურთიერთქმედება ანილინთან და დიმეთილანილინთან	79
კ. გამსახურდია, ს. ბერუჩიანი, ლ. ხინთიბიძე, თ. არეშიძე, ქ. გრიგალაშვილი — ზოგიერთი მიკროკომპონენტის გამოკვლევა ყაზბეგის რაიონის ბუნებრივ წყლებში	83
კ. გამსახურდია, ს. ბერუჩიანი, ლ. ხინთიბიძე, გ. სუპატაშვილი, თ. ფცქიალაძე — ქვემო სვანეთის ბუნებრივი წყლების ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევა	95
კ. გამსახურდია, ს. ბერუჩიანი, ლ. ხინთიბიძე, გ. სუპატაშვილი, თ. ფცქიალაძე — ზემო სვანეთის ბუნებრივი წყლების ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევა	103
კ. გამსახურდია, ს. ბერუჩიანი, ლ. ხინთიბიძე, თ. არეშიძე — სპონტანური გაზებისა და მიკროკომპონენტების გამოკვლევა ზემო სვანეთის მინერალურ წყლებში	115
შ. მიქაძე — იზოვლერიანმეავებუთონდიოლის სრული და არასრული ეთერების სინთეზი და მათი კატალიზური პიდრირება	125
შ. მიქაძე — პროპიონმეავებუთინდიოლის სრული ეთერის სინთეზი და მისი კატალიზური პიდრირება	133
თ. მაცაბერიძე, ნ. ვოციხოვსკაია — კათიონიტ KV-2-ზე პირიდილის სორბცია და დესორბცია	139



- თ. მაცაბერიძე, ნ. ვოიცეხოვსკაია, დ. ლომინაძე, ც. დოღენ-ჯიშვილი — ტურმალინის დაშლა მლღობების დამატების გარეშე 147
- რ. მაცაბერიძე, ქ. ულენტი, ი. ნანაძე — ტურმალინების შესწავლა ცი-ტრინუმის შემცველობაზე 159
- გ. სუბატაშვილი, ი. კლიმოვი — საქართველოს სსრ ატმოსფერულ ნალექებში ზოგიერთი მძიმე მეტალის შემცველობის შესახებ 167
- გ. სუბატაშვილი — ატმოსფერული ნალექების ჰიდროქიმიური დახასიათება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 171
- გ. სუბატაშვილი, თ. ფცქიალაძე, ნ. კარსანიძე — ჰაეროქიმიური გამოკვლევა აფხაზეთის ასსრ სანაპირო ზოლში 133

- მ. ხუნდაძე** — საქართველოს სსრ ზოგიერთი ნეთობისა და ნეთობპროდუქტის შესწავლა გოგირდის შემცველობაზე 191
- ი. გვერდწითელი, დ. უგრეხელიძე, მ. ჭანტურია — ლაქოვანი და წებოვანი კომპოზიციები ახალი მეტალორგანული პოლიმერების საფუძველზე 197
- ი. გვერდწითელი, თ. გუნცაძე, ა. კალანდარიშვილი — დიენური გერმანიუმშემცველი კარბინოლის სინთეზი და ზოგიერთი გარდაქმნა 209
- ი. გვერდწითელი, დ. უგრეხელიძე, თ. მითაიშვილი — ფენოლსპირტების ურთიერთქმედება სამვალენტური რკინისა და ოთხვალენტური კალის მარილებთან 215
- ნ. ციციშვილი, გ. ციციშვილი, თ. კიფარენკო, გ. დლოტი, დ. წაქაძე — საქართველოს ზოგიერთი მცენარის (*Veratrum Lobelianum Bernh*) ინსექტიციდური მოქმედების შესწავლა 223
- ნ. ციციშვილი, თ. კიფარენკო, გ. ციციშვილი, ზ. ტაბიძე, გ. დლოტი, თ. გუნცაძე — საქართველოს ზოგიერთი პენტოზანშემცველი მცენარეული ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენ პროდუქტთა გამოკვლევები 237
- ა. კახნიაშვილი, დ. ფარჯია — მეთილეთილენილკარბინოლის კონდენსაცია გვიაკოლთან ფოსფორმჟავას თანდასწრებით 249
- ა. ნოღაიდელი, რ. ტყეშელაშვილი, ი. ხითარიშვილი — ნაფტალინის რივის ზოგიერთი ალკილისილანის სინთეზი 255
- ა. ნოღაიდელი, ლ. ნადარეიშვილი, ე. თევდორაძე — 6-(1-ოქსიციკლოპექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4-ის, მისი იმარმჟავას რთული ეთერის სინთეზი და კატალიზური ჰიდრირება 259
- ა. ნოღაიდელი, გ. მაისურაძე — ბენზოლის ალკილირება ეთილის სპირტითა და ეთილის ეთერით აირად ფაზაში გააქტივებული გუმბრინის მონაწილეობით 265
- ა. ნოღაიდელი, ნ. რთველიაშვილი — 5-(1-ოქსიციკლოპენტელ)-5-მეთილ-პენტოლ-3-ენ-1-ოლ-5-ის სინთეზი და გარდაქმნები 273
- ა. ნოღაიდელი, ქ. ძაგნიძე, ე. ხონელიძე — 4-მეთილ-დეკინ-5-ენ-8-დიოლი-4.7-ის სინთეზი და გარდაქმნები 279
- ა. ნოღაიდელი, ქ. ძაგნიძე — 3-მეთილ-ნონინ-4-ენ-7-დიოლი-3.6-ის სინთეზი და კატალიზური ჰიდრირება 283
- ა. ნოღაიდელი, გ. გონაძე — მავნიუმბრომოქსიციკლოპექსილაცეტილენის მოქმედება ფლუორენონზე და მიღებული პროდუქტის ჰიდროგენიზაცია 289
- ქ. არეშიძე, ე. თავართქილაძე — გუმბრინისა და ასკანიტის როგორც მადეჰიდრატებელი, მაიზომირებელი და მაალკირებელი კონტაქტების გამოკვლევა 293
- ი. გვერდწითელი, მ. ბუჩიძე — ტრიეთილსილანისა და ტრიეთილქლორსილანის მოქმედება დიმეთილდიბროპილბუთინდიოლზე 301
- ქ. ლაბაძე, ე. კოკოჩაშვილი — ეთანის დაქლორების კინეტიკა თვითაალების ზღვრის ქვემოთ 305



კ. ლაბაძე, ვ. კოკოჩაშვილი — ჰეტეროგენული ფაქტორის როლი დაქლორების კინეტიკაში აალების ზღვრის ქვემოთ	317
გ. კოკოჩაშვილი, ლ. სეფიაშვილი, ქ. მუმლაძე — ფტალის ანჰიდრიდის პოლიკონდენსაციის კინეტიკა გლიცერინთან	325
ვ. კოკოჩაშვილი, ლ. სეფიაშვილი, მ. ბაღდადლიშვილი — ფტალის ანჰიდრიდის პოლიკონდენსაციის კინეტიკა ეთილენგლიკოლთან	335
ვ. კოკოჩაშვილი, ლ. სეფიაშვილი — მენშუტკინის რეაქციის კინეტიკა სხვადასხვა სპირტის არეში	343
ე. გრიგოლია, გ. ციციშვილი — ბენზოლისა და ნ-ჰებტანის ორთქლის ადსორბციის კინეტიკა X ტიპის სინთეზურ ცეოლითებზე	351
შ. შარაშენიძე, მ. კობიძე, ე. რუსია — სუფსა-ომფარეთის ნავთობის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოკვლევა	359
შ. შარაშენიძე, მ. კობიძე, ე. რუსია — სუფსა-ომფარეთის ნავთობის 200—250° ფრაქციის ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების გამოკვლევა	365
ა. ვარდუქაძე, ი. ყუკოვი — დემინირებული ელატინისა და გლიკოკოლის გავლენა მარილმჟავას ქლოროინის (0,1 N HCl) გადატანის რიცხვზე	371
ა. ვარდუქაძე, თ. კაციტაძე — Cd(OH) ₂ -ის, Fe(OH) ₃ -ის და SiO ₂ -ის გავლენა ქლოროინის გადატანის რიცხვზე	377

СОДЕРЖАНИЕ

Я. П. Мосешвили, М. М. Угулава — Фтор в некоторых гидрокарбонатных водах Грузии	11
Я. П. Мосешвили, Г. М. Джохадзе — Мышьяк в горных породах и почвах окрестностей г. Рустави	15
Я. П. Мосешвили, Г. М. Джохадзе — Мышьяк в горных породах некоторых районов Грузии	19
Л. А. Челидзе — Бентонитовые глины мингрельских месторождений	25
Я. П. Мосешвили, Г. Н. Талаквадзе, Д. К. Хавтаси, П. В. Цискаридзе — Исследование марганца в цитрусах Грузии	33
Я. П. Мосешвили, Э. П. Доксопуло — Никель в диабазных горных породах Верхней Сванетии	37
Я. П. Мосешвили, Э. П. Доксопуло — Никель в диабазных горных породах Верхней Рачи	43
Я. П. Мосешвили, Э. П. Доксопуло, Л. П. Куция — Никель в некоторых горных породах Дзиркульского кристаллического массива	47
Л. В. Гургенишвили — Кобальт в растениях окрестностей Чорчанского месторождения талька	51
Я. П. Мосешвили, Л. В. Гургенишвили — Определение кобальта в породах некоторых районов Грузии	55
М. М. Угулава, И. А. Сабин-Гусс — Определение растворимых форм меди в некоторых почвах Аджарской АССР	59
М. М. Угулава, И. А. Сабин-Гусс — Медь в некоторых горных породах Хашурского района	63
М. М. Угулава, И. А. Сабин-Гусс — Медь в некоторых почвах Хашурского района	67
Г. Е. Качейшвили, Н. И. Пирцхалава, Г. Д. Джиошвили — Синтез и изучение борорганических соединений с смешанными радикалами	71
Г. Е. Качейшвили, Н. И. Пирцхалава, Г. Д. Джиошвили — К вопросу об атомной рефракции бора	75
Н. И. Пирцхалава, О. Н. Чиковани — Взаимодействие трехбромистого бора с анилином и диметиланилином	79
К. А. Гамсахурдия, С. А. Беручьян, Л. С. Хинтибидзе, Т. В. Арешидзе, К. И. Григалашвили — Исследование некоторых микрокомпонентов в природных водах Казбежского района	83
К. А. Гамсахурдия, С. А. Беручьян, Л. С. Хинтибидзе, Г. Д. Супаташвили, Т. А. Пцкиаладзе — Физико-химическое исследование природных вод Нижней Сванетии	95
К. А. Гамсахурдия, С. А. Беручьян, Л. С. Хинтибидзе, Г. Д. Супаташвили, Т. А. Пцкиаладзе — Физико-химическое исследование природных вод Верхней Сванетии	103
К. А. Гамсахурдия, С. А. Беручьян, Л. С. Хинтибидзе, Т. В. Арешидзе — Спонтанные газы и некоторые микрокомпоненты в минеральных водах Верхней Сванетии	115



Ш. Г. Микадзе — Синтез и каталитическое гидрирование полных и неполных эфиров бутиндиола изовалериановой кислоты	125
Ш. Г. Микадзе — Синтез и каталитическое гидрирование полного эфира бутиндиола пропионовой кислоты	133
Т. Г. Мацаберидзе, Н. Ф. Войцеховская — Сорбция и десорбция пиридина на катионите КУ-2	139
Т. Г. Мацаберидзе, Н. Ф. Войцеховская, Д. Л. Ломинадзе, Ц. Г. Доленджишвили — Разложение турмалина без шихтующих добавок	149
Т. Г. Мацаберидзе, К. А. Жгенти, И. В. Нанадзе — Исследование турмалина на содержание циркония	159
Г. Д. Супаташвили, И. Т. Климов — О содержании некоторых тяжелых металлов в атмосферных осадках на территории Грузинской ССР	167
Г. Д. Супаташвили — Гидрохимическая характеристика атмосферных осадков на территории Грузинской ССР	171
Г. Д. Супаташвили, Т. А. Пикиладзе, Н. А. Карсанидзе — Аэрохимическое исследование на побережье Абхазской АССР	181
М. Хундадзе — Определение серы в некоторых нефтепродуктах и нефтях Грузинской ССР	191
И. М. Гвердцители, Д. Ш. Угрехелидзе, М. Д. Чантурия — Клеевые и лаковые композиции на основе новых металлоорганических полимеров	197
И. М. Гвердцители, Т. П. Гунцадзе, А. А. Каландаришвили — Синтез и некоторые превращения диенового германийсодержащего карбинола	209
И. М. Гвердцители, Д. Ш. Угрехелидзе, Т. И. Миташвили — Взаимодействие фенолоспиртов с солями трехвалентного железа и четырехвалентного олова	215
Н. С. Цицишвили, Г. И. Цицишвили, Т. Н. Кифаренко, Г. Ш. Глонти, Д. М. Цакадзе — Исследование некоторых растений (<i>Vernonia lobeliaefolia</i> Bernh) Грузии на инсектицидность	223
Н. С. Цицишвили, Т. Н. Кифаренко, Г. И. Цицишвили, З. С. Табидзе, Г. Ш. Глонти, Т. П. Гунцадзе — Исследование некоторого пентозансодержащего растительного сырья и отходов переработки сельскохозяйственных продуктов Грузии	237
А. И. Кахнашвили, Д. С. Парджикия — Конденсация метилэтилвинилкарбинола с гваяколом в присутствии фосфорной кислоты	249
А. И. Ногаидели, Р. Ш. Ткешелашвили, И. С. Хитаршвили — Синтез некоторых алкилсиланов нафталинового ряда	255
А. И. Ногаидели, Л. Ю. Надарейшвили, Э. Ч. Тевдорадзе — Синтез и каталитическое гидрирование 6-(1-оксициклогексил)-гексин-5-ола-4 и его уксусного эфира	259
А. И. Ногаидели, Д. П. Майсурадзе — Алкилирование бензола этиловым спиртом и этиловым эфиром в газовой фазе в присутствии активированного гумбрина	265
А. И. Ногаидели, Н. А. Ртвелишвили — Синтез и превращение 5-(1-оксициклопентил)-5-метилпентин-3-ен-1-ола-5	273
А. И. Ногаидели, К. Я. Дзагидзе, Е. А. Хонелидзе — Синтез и превращение 4-метил-деклин-5-ен-8-диола-4,7	279
А. И. Ногаидели, К. Я. Дзагидзе — Синтез и каталитическое гидрирование 3-метил-нонин-4-он-7-диола-4,7	283



041035340
041010335

- А. И. Ногаидели, Г. М. Гонадзе — Действие магнийбромоксидацетилена на флуоренон и гидрогенизация полученного продукта 289
- Х. И. Арешидзе, Е. К. Таварткиладзе — Исследование гумбина и асканита как дегидратирующих, изомерирующих и алкилирующих контактов 293
- И. М. Гвердцители, М. А. Буачидзе — Действие триэтилсилана и триэтилхлорсилана на диметилдипропилбутиндиол 301
- К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили — Изучение кинетики хлорирования этана ниже предела самовоспламенения 305
- К. З. Лабадзе, В. И. Кокочашвили — Роль гетерогенного фактора в кинетике хлорирования этана ниже предела воспламенения 317
- В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили, К. Г. Мумладзе — Кинетика поликонденсации фталевого ангидрида с глицерином 325
- В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили, М. К. Багдадлишвили — Кинетика поликонденсации фталевого ангидрида с этиленгликолем 335
- В. И. Кокочашвили, Л. М. Сепиашвили — К кинетике реакций Меншуткина в различных спиртовых средах 343
- Е. Л. Григолия, Г. В. Цицишвили — Кинетика адсорбции паров бензола и н-гептана на синтетических цеолитах типа X 351
- Ш. С. Шарашенидзе, М. Н. Кобидзе, Э. А. Русия** — Физико-химическое исследование нефти и нефтепродуктов Супса-Омпарети 359
- Ш. С. Шарашенидзе, М. Н. Кобидзе, Э. А. Русия** — Выделение из супса-омпаратской нефти n-парафиновых углеводородов с помощью мочевины из фракции 200—250° прямой гонки 365
- А. Я. Вардукадзе, **И. И. Жуков** — Влияние дезаминированной желатины и гликоколя на числа переноса иона хлора (0,1 N HCl) соляной кислоты 371
- А. Я. Вардукадзе, Т. С. Кацитадзе — Влияние гидроокисей металлов тория, кадмия и SiO₂ на числа переноса ионов хлористого калия 377

ი. მოსევილი, ა. შაულავა

ფლუორი საქართველოს ზოგიერთ ჰიდროკარბონატულ წყლებში

როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ყველა სახის ბუნებრივი წყალი ამა თუ იმ რაოდენობით შეიცავს ფლუორს [1]. ეს, ერთი მხრივ, გაპირობებულია ფლუორის გეოქიმიური თავისებურებით და, მეორე მხრივ, — ბუნებაში მისი ფართო გავრცელებულობით. მაგალითად, ფლუორი გვხვდება თითქმის ყველა სახის მთის ქანსა [3] და ნიადაგში [4]. ამ უკანასკნელებიდან კი იგი ადვილად მიგრირდება ბუნებრივ წყლებში.

ფლუორი ბუნებრივ წყლებში შემავალ ელემენტთა მეორე ჯგუფშია მოთავსებული, ე. ი. აღნიშნულ ობიექტებში საერთოდ მცირე რაოდენობით გვხვდება, თუმცა ცნობილია შემთხვევები, როცა ზოგიერთი მინერალური წყალი საკმაოდ მდიდარია ფლუორით [6]. ბუნებრივ წყლებს შორის იგი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება მდინარეთა და სასმელ წყლებში [2].

უკანასკნელი წლების გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ბუნებრივ წყალში სხვა ელემენტებთან ერთად ფლუორის განსაზღვრის შედეგები საშუალებას იძლევა ღრმად შევისწავლოთ ამ წყლის თვისებები და წარმოშობის პირობები [5]. აქედან გამომდინარე, ცხადია, ბუნებრივ წყალში ფლუორის განსაზღვრის ჩატარებას აქვს როგორც გარკვეული პრაქტიკული, ისე საკმაოდ დიდი თეორიული მნიშვნელობაც.

აღსანიშნავია, რომ სასმელ წყლებში ფლუორის განსაზღვრის სამუშაოები დიდი მასშტაბით ტარდება. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას მინერალური წყლების მიმართ. ამ უკანასკნელი სახის წყლებში ფლუორის განსაზღვრის სისტემატური მუშაობა თითქმის არ არის ჩატარებული. სწორედ ამიტომ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი მინერალურ წყლებში ფლუორის გავრცელების კანონზომიერება.

ამ მხრივ განსაკუთრებით შეუსწავლელია საქართველოს მინერალური წყლები. აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივი გამოსწორების თვალსაზრისით, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საქართველოს მინერალურ წყლებში ფლუორის გავრცელებულობა და მიღებული შედეგების განზოგადოებით გამოგვეჩინა დამოკიდებულება წყლის ტიპსა და მასში ფლუორის შეცულობას შორის. პირველ რიგში გამოსაკვლევად შევარჩიეთ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ჰიდროკარბონატული წყლები.

ამსპეკიშენთული ნაწილი

გამოსაკვლევად შერჩეულ მინერალურ წყლებში ფლუორის რაოდენობრივ განსაზღვრას ვაწარმოებდით ბიოგეოქიმიური ლაბორატორიის თანამშრომელთა



მიერ მოწოდებული კოლორიმეტრული მეთოდით [7]. განსაზღვრის შემდეგ მოცემულია აქვე მოთავსებულ ცხრილში.

ცხრილი

№№ რიგზე	მინერალური წყლის ადგილი ან სახელწოდება	ფლუორი მგ/ლ	№№ რიგზე	მინერალური წყლის ადგილი ან სახელწოდება	ფლუორი მგ/ლ
1	საჯიხვე	0,15	31	არცხელი	0,12
2	ლებარდე №1	0,14	32	მესტია	0,12
3	გლოლა	0,15	33	ლაღამი	0,11
4	საგლოლო	0,14	34	უმხვანარი	0,13
5	შოვი №1	0,12	35	მაზერი	0,11
6	უწერა (კუჭის წყალი)	0,15	36	ლახამულა №1	0,14
7	ლებარდე №2	0,15	37	ლახამულა №2	0,15
8	შოვი №2	0,12	38	შოუბანი	0,16
9	ავაღნარა	0,14	39	პანშეთი	0,15
10	კირტიშო №1	0,15	40	ბაიღარა	0,14
11	კირტიშო №2	0,13	41	კობი	0,13
12	ჭანჭახი №1	0,12	42	ოქროყანა	0,13
13	ჭანჭახი №2	0,13	43	კეტერის ნარზანი	0,10
14	გონა	0,14	44	ვაჟის წყარო	0,11
15	შთალიკალთა	0,15	45	ლული	0,12
16	ლასკადულა №1	0,13	46	ღარი №1	0,16
17	ლასკადულა №2	0,12	47	ზიდშლები №1	0,16
18	წერნაში	0,12	48	სეფური	0,24
19	მუაში	0,11	49	ზორები	0,20
20	შედი №1	0,13	50	გეძისფარი	0,25
21	შედი №2	0,12	51	წაღერი (ბურღ. №1)	0,42
22	წაღერი №1	0,15	52	ფასანური	0,40
23	წაღერი №2	0,16	53	ჭიტოს წყარო	0,26
24	ყარში	0,14	54	ჩეგოლა №1	0,20
25	ტები	0,13	55	ძაუ	0,46
26	ხერისკვიმ	0,14	56	ჩეგოლა №2	0,24
27	ჩხარამი	0,13	57	ბოლნისი (ბურღ. №1)	0,36
28	ჯორისწყალი	0,14	58	ასპინა	0,56
29	ქამუში	0,12	59	დვირი	1,40
30	ქაბეში	0,11			

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის, ჰიდროკარბონატულ-კალციუმის და ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმის წყლებში (ნიმუში №1-დან № 47-ის ჩათვლით) ფლუორის შეცულობა მეტად მცირე საზღვრებში (0,10—0,16 მგ/ლ) მერყეობს. აღნიშნულ წყლებში ფლუორის მეტ-ნაკლები შეცულობა სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებული უნდა იყოს ჰიდროკარბონატულ წყალში ამა თუ იმ კატიონის უპირატეს შეცულობასთან. მაგალითად, ჩვენი მონაცემების მიხედვით ფლუორი შედარებით ნაკლებია ჰიდროკარბონატულ-კალციუმის და ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმის წყლებში; ამათთან შედარებით მეტია იგი ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის წყლებში. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ როდესაც ჰიდროკარბონატულ წყალში იზრდება ქლორიონის ან სულფატ-იონის მონაწილეობა, მაშინ ამის პარალელურად იზრდება ფლუორის შეცულობაც. ამის გამო ზემოდასახელებულ ჰიდროკარბონატულ წყლებთან შედარებით ფლუორი მომეტებული რაოდენობით გვხვდება ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ (№ 48-დან № 55-მდე) და ჰიდროკარბონატულ-სულფატურ (№ 56-დან № 59-მდე) წყლებში.



მასასადამე, ფლუორის შეცულობის თვალსაზრისით თუ შევადარებთ ქვემოთ მანეთს საქართველოს ჰიდროკარბონატულ, მდინარეთა და სასმელ წყლებს, აღმოჩნდება, რომ უკანასკნელი ორი სახის წყალი [8] გაცილებით ღარიბია ფლუორით, ვიდრე ჰიდროკარბონატული წყლები.

დასკვნები

1. განსაზღვრულია ფლუორი საქართველოს ჰიდროკარბონატული წყლების 59 ნიმუშში. მათში ფლუორის შეცულობა იცვლება 0,10—1,40 მგ/ლ-ის ფარგლებში.

2. გამოკვლეულ ჰიდროკარბონატულ წყლებს შორის ფლუორი ნაკლები რაოდენობით აღმოჩნდა ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან, ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმიან და ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლებში. ამათთან შედარებით ფლუორი მომეტებული რაოდენობითაა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ და ჰიდროკარბონატულ-სულფატურ წყლებში.

3. ამჯერად გამოკვლეულ საქართველოს ჰიდროკარბონატულ წყლებში ფლუორის შეცულობა გაცილებით მეტია, ვიდრე მდინარეთა და სასმელ წყლებში.

ლიტერატურა

1. С. В. Моисеев—Фтор в питьевой воде и его санитарное значение, 1937.
2. В. В. Данилова—ДАН СССР, XXVI, № 3, 238, 1940.
3. А. Е. Ферсман—Геохимия, том 1, 1933.
4. А. П. Виноградов—Геохимия редких и рассеянных элементов в почвах, 1950.
5. А. М. Овчинников—Общая гидрогеология, 44, 729, 1949.
6. В. В. Данилова—Труды биогеохим. лабор., VII, 76, 1944.
7. ი. მოსესილი და მ. უგულავა—ოსტეოზის შრომები, ტ. 54, 81, 1954.

არაორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიდა რედაქციაში 5. IX. 1966 წ.)

Я. П. МОСЕШВИЛИ, М. М. УГУЛАВА

ФТОР В НЕКОТОРЫХ ГИДРОКАРБОНАТНЫХ ВОДАХ ГРУЗИИ

Резюме

Исследован фтор в 59 образцах гидрокарбонатных вод Грузии. В них количество фтора варьирует в пределах 0,10—1,40 мг/л.

Из указанных образцов фтор оказался в меньшем количестве в гидрокарбонатно-натриевых, гидрокарбонатно-кальциевых и гидрокарбонатно-магниевых водах, чем в гидрокарбонатно-хлоридных и гидрокарбонатно-сульфатных водах.

Таким образом, в гидрокарбонатных водах Грузии фтора оказалось больше, чем в речных и питьевых водах.

ი. მოსევილი, ბ. ჯოხაძე

დარიშხანი ქ. რუსთავის მიდამოების ქანებსა და ნიადაგებში

ქიმიურ ელემენტთა მიგრაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის სამეურნეო მოქმედება [1, 2, 3, 4]. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ქ. რუსთავის მიდამოებში მდებარე ბუნებრივი ობიექტები, რომელთაც მიეძღვნა წინამდებარე შრომა. კერძოდ მასში განხილულია ქ. რუსთავის მიდამოების ქანებსა და ნიადაგებში დარიშხანის გავრცელება.

დარიშხანის როგორც მიკროელემენტის [5, 6, 7] როლისა და მნიშვნელობის შესახებ არ შევჩერდებით [8, 9, 10, 11, 12], რადგან ის განხილული გვაქვს წინა შრომებში [13, 14]. ასევე არ შევჩერდებით დარიშხანის მიგრაციის გზებზე, რომლის შედეგადაც შესაძლებელია დარიშხანის დაკონცენტრება ამა თუ იმ ბუნებრივ ობიექტებში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გამოგვეკვლია ქ. რუსთავის მიდამოების ნიადაგებსა და ნაწილობრივ ქანებში ქიმიური ქარხნებიდან გამონადენი აეროზოლების გავლენა დარიშხანის შეცულობის გადიდების თვალსაზრისით.

გამოკვლეულია ქვიშაქვებისა და თიხა-ფიქლების 10 ნიმუში. დარიშხანის საშუალო შედგენილობა ქვიშაქვებში აღმოჩნდა $4.09 \cdot 10^{-4} \%$, ხოლო თიხა-ფიქლებში— $2,8 \cdot 10^{-4} \%$.

ნიადაგის 33 ჭრილიდან (იხ. ცხრ. გვ. 16) დარიშხანი მეტი აღმოჩნდა *A* ჰორიზონტზე¹⁷ შემთხვევაში. თანაბარი რაოდენობით აღმოჩნდა *A* და *B* ჰორიზონტებზე 14 შემთხვევაში. *C* ჰორიზონტზე მეტი აღმოჩნდა იგი, ვიდრე *B* ჰორიზონტზე ერთ შემთხვევაში, ხოლო არც ერთ შემთხვევაში *C* ჰორიზონტზე მეტი არ აღმოჩნდა *B* ჰორიზონტთან შედარებით, ხოლო თანაბარი რაოდენობით აღმოჩნდა ყველა ჰორიზონტზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

საერთოდ გამოკვლეულია ნიადაგის 33 ჭრილის 75 ნიმუში. დარიშხანის შედგენილობა იცვლება $3,00 \cdot 10^{-4} \%$ -დან $9,00 \cdot 10^{-3} \%$ -ის საზღვრებში. დარიშხანის საშუალო შედგენილობა ტოლია $2,18 \cdot 10^{-3} \%$ -ის, ე. ი. გამოკვლეულ ნიადაგებში დარიშხანის საშუალო კონცენტრაცია თითქმის 10-ჯერ აღემატება იმ კონცენტრაციას, რომელიც ლიტერატურული მონაცემებით ჩვეულებრივ პირობებში საერთოდ უნდა არსებობდეს ნიადაგებში [1]. ისმის კითხვა, რით უნდა იყოს გამოწვეული აღნიშნულ ნიადაგებში დარიშხანის მოჭარბებული რაოდენობა? ვვარაუდობთ, რომ ამის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ქ. რუსთავის ქარხნებიდან გამოყოფილი აეროზოლები, რომლებიც გარკვეული რაოდენობით უნდა შეიცავდეს დარიშხანის აქროლად ნაერთებს. როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნულ ობიექტებიდან (ნიადაგებიდან) დარიშხანის შედარებით მაღალი კონცენტრაცია შეიმჩნევა რუსთავის აღმოსავლეთით მდებარე



ნიადაგებში, ვიდრე—ჩრდილოეთით მდებარე ნიადაგებში. ეს გარეგანი
 ლება აიხსნას იმითაც, რომ ქარხნებიდან გამოყოფილი აეროზოლების უმეტე-
 სი ნაწილი ქარის მეშვეობით მიმართულია რუსთავის აღმოსავლეთით.

ამგვარად, ის მოსაზრება, რომელიც კვლევის წინ იყო გათვალისწინებუ-
 ლი, თითქმის გამართლდა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით გადაჭრითი პა-
 სუხის გაცემა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ხელთ გვექონოდა რუსთა-
 ვის გარშემო გავრცელებულ ნიადაგებში დარიშხანის განსაზღვრის შედეგები
 ოციოდე წლით აღრიხდელი.

ცხრილი

ნომერი	ნიმუშის აღების ადგილი	ნიმუშის რაოდენობა	ნიადაგის ტიპი	დარიშხანის შეცუ- ლობის ზღვრები ‰/‰-ით	დარიშხანის საშუალო შე- ცულობა ‰/‰-ით
1	რუსთავიდან დასავლეთით 0,2-დან 4,0 კმ-ის საზღვრებში	15	რუხი ყავის- ფერი თაბაში- რიანი	0,83 . 10 ⁻³ —4,03 . 10 ⁻³	2,274 . 10 ⁻³
2	" " " "	13	ალუვიური	0,50 . 10 ⁻³ —2,25 . 10 ⁻³	1,285 . 10 ⁻³
3	რუსთავიდან ჩრდილო-დასავლეთით 0,2—0,4 კმ-ის საზღვრებში	3	რუხი ყავის- ფერი ღამლა- შებული	0,50 . 10 ⁻³ —0,75 . 10 ⁻³	0,666 . 10 ⁻³
4	რუსთავიდან ჩრდილოეთით 0,2— —0,8 კმ-ის საზღვრებში	23	"	1,08 . 10 ⁻³ —7,50 . 10 ⁻³	2,991 . 10 ⁻³
5	რუსთავიდან აღმოსავლეთით, 0,2— —0,8 კმ-ის საზღვრებში	14	"	1,25 . 10 ⁻³ —9,00 . 10 ⁻³	3,27 . 10 ⁻³
6	რუსთავიდან სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა 0,1—0,5 კმ-ის სა- ზღვრებში	8	ღია წითელი ყავისფერი	0,30 . 10 ⁻³ —0,50 . 10 ⁻³	0,440 . 10 ⁻³

ვფიქრობთ ახალი ანალიზის ურთიერთშედარებაც ნათელს ხდის იმას,
 რომ რუსთავის გარშემო მდებარე ნიადაგში დარიშხანის მოჭარბებული რაო-
 დენობა შედეგია (ძირითადად) ქარხნებიდან გამოყოფილი აეროზოლების, რომ-
 ლებიც 20 წელზე მეტია ეფინება რუსთავის მიდამოებს. უნდა ვიფიქროთ,
 რომ მომავალში დარიშხანის კონცენტრაცია ღლეისათვის გამოკვლეულ ნია-
 დაგებში კვლავ გაიზრდება. რუსთავის ქარხნებიდან გამოყოფილი აეროზოლე-
 ბის გავლენით უნდა აიხსნას აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დარიშხანი გამო-
 კვლეული ნიადაგების ზედაპირულ ფენებში გვხვდება შედარებით მაღალი
 კონცენტრაციით, ვიდრე ამავე ნიადაგის დაბალ ფენებში. ამავე დროს უნდა
 დავსძინოთ ისიც, რომ მართალია გამოკვლეული ნიადაგები დარიშხანს შე-
 იცავს შედარებით მაღალი კონცენტრაციით, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ ჩაითვ-
 ლება საშიშ დოზად სხვადასხვა კულტურული მცენარისათვის. ვფიქრობთ,
 დროთა ვითარებაში (დაახლოებით რამდენიმე ათეული წლის შემდეგ) შეიძ-
 ლება დაისვას საკითხი ამ თვალსაზრისით ქ. რუსთავის მიდამოების ნიადაგე-
 ბის სპეციალური გამოკვლევისა.

დასკვნები

1. გამოკვლეულია ღარიშხანის გავრცელება ქ. რუსთავის გარშემო მდებარე ქანების 10 და ნიადაგის 75 ნიმუშში (21 ნიადაგის ჭრილი და 12—ზედაპირული).

ქანებში ღარიშხანი აღმოჩნდა: ა) ქვიშაქვებში—საშუალოდ $4,09 \cdot 10^{-4} \%$,
ბ) თიხა-ფიქლებში—საშუალოდ $2,80 \cdot 10^{-4} \%$.

ნიადაგებში ღარიშხანის შედგენილობა იცვლება $3,00 \cdot 10^{-4} \%$ -დან $9,00 \cdot 10^{-3} \%$ -ის ფარგლებში. იგი საშუალოდ შეადგენს $1,855 \cdot 10^{-3} \%$ -ს, რაც თითქმის 10-ჯერ აღემატება იმ კონცენტრაციას, რომელიც (სპეციალური ლიტერატურული მონაცემებით) ჩვეულებრივ პირობებში საერთოდ უნდა არსებობდეს ნიადაგებში.

2. ქ. რუსთავის გარშემო გავრცელებულ ნიადაგებში ღარიშხანის გადიდებული კონცენტრაციის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ქ. რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნიდან გამოყოფილი აეროზოლების გავლენა.

3. გამოკვლეულ ნიადაგებში აღმოჩენილი ღარიშხანის კონცენტრაცია არ შეიძლება ჩაითვალოს მომწამლავ დოზად ამავე ნიადაგებზე გაშენებული მცენარეული კულტურებისათვის.

ლიტერატურა

1. А. П. Виноградов—Мышьяк в почвах Союза ССР, ж. Почвоведение, I, 1948, стр. 33—35.
2. М. В. Самойло—Химическая жизнь земной коры, 1934, стр. 174.
3. N. Gruner—Die Arsenhaltigen Böden Reichenstein in Schlesien, chm zbl. II, 783, 1911.
4. U. P. Hedden—Das Vorkommen von Arsenic im Bödem, Pflanzen, Fluchten und Tiere, chm. zbl., II, 826, 1910.
5. М. Я. Школьник—Роль и значение бора и других микроэлементов в жизни растений, 1939, стр. 5, 11, 12.
6. М. Я. Школьник—Значение микроэлементов в жизни растений и в земледелии, 1959, стр. 38—34.
7. А. Е. Ферсман—Химия земли на новых путях, 1944, стр. 15, 30, 90.
8. В. И. Верданский—Биогеохимические очерки, 1940, стр. 9, 95, 100.
9. А. П. Виноградов—Геохимия живого вещества, 1932, стр. 19, 50.
10. A. Tellemberg—Biochem. reitsch. Bd—I, 218, 1930.
11. А. Е. Гольдшмидт—Сборник статей по геохимии редких элементов, 1938, стр. 7—38.
12. Д. Фрир—Химия инсектицидов и фунгицидов, 1948, стр. 11—50.
13. ი. მოსესვილი და გ. ჯოხაძე—ღარიშხანი საქართველოს ბუნებრივ ობიექტებში, თსუ შრომები, 1950—54 წწ. ხელნაწერები.
14. ი. მოსესვილი და გ. ჯოხაძე—ღარიშხანის გამოკვლევა რაქის ზოგიერთ მიწერალურ და მტკნარ წყლებში, თსუ შრომები, ტ. 80, 1961.

არაორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიღა რედაქციაში 15. IX. 1966 წ.)

Я. П. МОСЕШВИЛИ, Г. М. ДЖОХАДЗЕ

МЫШЬЯК В ГОРНЫХ ПОРОДАХ И ПОЧВАХ ОКРЕСТНОСТЕЙ
Г. РУСТАВИ

Резюме

Изучено 10 образцов различных горных пород и 75 образцов почв окрестностей г. Рустави (21 разрез почвы и 12 поверхностных).

В горных породах в зависимости от литологического вида содержание мышьяка таково: в песчаниках среднее содержание составляет $4,09 \cdot 10^{-4}\%$ и в глинистых сланцах— $2,80 \cdot 10^{-40}\%$. В исследованных горных породах средняя концентрация мышьяка заметно не отличается от концентрации в аналогичных горных породах из других мест.

В исследованных почвах содержание мышьяка варьирует в пределах $3,00 \cdot 10^{-4}\%$ — $9,00 \cdot 10^{-3}\%$, что в среднем составляет $2,18 \cdot 10^{-3}\%$. Это количество мышьяка почти в 10 раз превышает ту концентрацию, которая в обыкновенных условиях должна содержаться в почвах по данным специальной литературы. Основной причиной избыточной концентрации мышьяка в почвах окрестностей Рустави надо считать влияние аэрозолей, выделяющихся из металлургических и химических заводов Рустави.

В исследованных почвах установленная концентрация мышьяка не является отравляющей дозой для растений. Настоящее исследование дает основание предполагать, что в будущем концентрация мышьяка постепенно будет возрастать в почвах окрестностей Рустави.

ი. მოსაშვილი, ბ. ჯოხაძე

დარიშხანი საქართველოს ზოგირითი რაიონის ქანებში

წინამდებარე შრომა ეძღვნება დარიშხანის გამოკვლევას ჯერ კიდევ შეუსწავლელ ზემო და ქვემო სვანეთის ზოგიერთ ქანში. ქვემო სვანეთიდან ქანის ნიმუშები აღებულია ცხენისწყლის ხეობაში (სოფ. ცანის მიდამოებში), ხოლო ზემო სვანეთის—ტვიბერის უღელტეხილის სამხრეთი ფერდობიდან. საკვლევი რაიონის ქანები დარიშხანის გავრცელების მხრივ მეტად საინტერესოა. ლითოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული მიდამოები (ზემო და ქვემო სვანეთი) ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. უკანასკნელ ლიტერატურულ მასალებში [1] ზემო სვანეთის ზემოხსენებულ მიდამოებში, რომელიც თითქმის 10 კილომეტრის მანძილზე ვრცელდება ტვიბერის უღელტეხილიდან სამხრეთით, დარიშხანით გამაღნების შემთხვევა არაა აღწერილი.

გამოკვლეული ნიმუშები ლითოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება ორქარსიან გრანიტებს და გრანიტის შემცველ კრისტალურ ფიქლებს. აღსანიშნავია, რომ ტვიბერის მიდამოების გამაღნებებში გვხვდება გალენიტი, სფალერიტი, პირიტი, ქალკობირიტი, ოქრო, კვარცი და სხვ. აღნიშნულ მინერალებთან ერთად თითქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო დარიშხანის, თუ მოჭარბებული რაოდენობით არა, შესამჩნევი რაოდენობით არსებობა მაინც [2, 3, 4], მაგრამ როგორც ჩანს აქ ეს კანონზომიერება არ გამოვლინდა, გამოკვლეული ქანებიდან ორქარსიან გრანიტს მიეკუთვნება 18 ნიმუში. დარიშხანის შეცულობა იცვლება $2,50 \cdot 10^{-4}\%$ -დან $7,50 \cdot 10^{-4}\%$ -ის ფარგლებში. ორი ნიმუში მიეკუთვნება ფიქალ-გრანიტს, რომელთაგან ერთში აღმოჩნდა $7,5 \cdot 10^{-4}\%$ და მეორეში— $5,00 \cdot 10^{-4}\%$ დარიშხანი. დარიშხანის საშუალო შეცულობა უდრის $3,87 \cdot 10^{-4}\%$ -ს.

დარიშხანის შეცულობის მხრივ საინტერესო აღმოჩნდა ქვემო სვანეთის ქანის ნიმუშები. აღსანიშნავია, რომ მოტანილი ნიმუშები აღებულია ისეთი ადგილებიდან, სადაც დარიშხანის საბადოების არსებობა უდავოა. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია აგრეთვე საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე ზოგიერთ მადნის არსებობა, როგორცაა: გალენიტი, ქალკობირიტი, პირიტი, კვარცი და სხვ. ქანები, რომელშიც გამოკვლეულ იქნა დარიშხანის შეცულობა, ავებული არის ისეთი მინერალებისაგან როგორცაა: პლაგიოკლაზი, ბიოტიტი, კვარცი, კალიუმის მინდვრის შპატი, მუსკოვიტი და სხვ. [1]. მინერალთა გენეტიკური კლასიფიკაციის საფუძველზე, რამდენადაც აღნიშნულ რაიონში საკმაო რაოდენობითაა ცნობილ მძიმე მეტალთა საბადოები, მოსალოდნელი იყო იქ არსებულ ობიექტებში დარიშხანის მოჭარბებული შეცულობა.



ცხადია, აღნიშნულ ობიექტებში დარიშხანის შედგენილობის სიჭარბე-სიშუაზე აიხსნას საბადოებიდან დარიშხანის მიგრაციით [5, 6, 7, 8].

ცხრილში მოცემულია ქვემო სვანეთის (ცხენისწყლის ხეობა, სოფ. ცანის მიდამოები) ქანებში დარიშხანის გამოკვლევის შედეგები.

ცხრილი

№№ რიგზე	ნიმუშის შიფრი ¹	ლითოლოგიური სახეობა	დარიშხანის შეცულობა % ₁₀ -ით
1	2	3	4
1	35 _I	მიკროლიორიტი	1,25 · 10 ⁻²
2	35 _{II}	"	1,25 · 10 ⁻²
3	128 _I	კვარციანი მიკროლიორიტი	6,40 · 10 ⁻²
4	128 _{II}	"	6,20 · 10 ⁻²
5	149 _I	გრანიტ-პორფირი	0,70 · 10 ⁻²
6	149 _{II}	"	0,75 · 10 ⁻²
7	463 _I	ორქარსიანი გრანიტ-პორფირი	1,00 · 10 ⁻²
8	463 _{II}	"	1,00 · 10 ⁻²
9	452 _I	გრანოლიორიტ-პორფირი	0,70 · 10 ⁻²
10	452 _{II}	"	0,70 · 10 ⁻²
11	20 _I	კვარციანი პორფირი	1,20 · 10 ⁻²
12	20 _{II}	"	1,25 · 10 ⁻²
13	28 _I	აპლიტისებრი გრანიტი	0,50%
14	28 _{II}	"	0,6%
15	32 ბ _I	ძარღვეული ლეიკოკრატული გრანიტ-პორფირი	0,75 · 10 ⁻²
16	32 ბ _{II}	"	0,75 · 10 ⁻²
17	318 _I	პლაგიოგრანიტი	12,50 · 10 ⁻²
18	318 _{II}	"	15,00 · 10 ⁻²
19	317 _I	გრანოლიორიტი	0,35 · 10 ⁻²
20	317 _{II}	"	0,35 · 10 ⁻²

¹ ნიმუშები მიღებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტიდან.

1	2	3	4
21	30 ბ _I	ლიორიტ-პორფირიტი	0,15 · 10 ⁻²
22	30 ბ _{II}	"	1,25 · 10 ⁻¹
23	55 ბ _I	კვარციანი ლიორიტ-პორფირიტი	1,25 · 10 ⁻¹
24	55 ბ _{II}	"	1,25 · 10 ⁻²
25	28 _I	აპლიტისებრი გრანიტი	0,6%
26	28 _{II}	"	0,6%
27	318 _I	პლაგიოგრანიტი	12,50 · 10 ⁻²
28	318 _{II}	"	12,50 · 10 ⁻²
29	128 _I	კვარციანი მიკროლიორიტი	7,00 · 10 ⁻²
30	128 _{II}	"	7,00 · 10 ⁻²
31	35 _I	მიკროლიორიტი	1,50 · 10 ⁻²
32	35 _{II}	"	1,50 · 10 ⁻²
33	434 _I	პორფირისებრი გრანიტი	0,60 · 10 ⁻²
34	434 _{II}	"	0,60 · 10 ⁻²

როგორც ჩანს, აღებული ნიმუშები დარიშხანის შემცველობის მხრივ მეტად საინტერესოა. აღნიშნული ნიმუშების მიხედვით დარიშხანის საშუალო შეცულობა ტოლია $2,91 \cdot 10^{-20}\%$ -ის, რაც საკმაოდ მაღალ კონცენტრაციად უნდა ჩაითვალოს. დარიშხანის შემცველობის მიხედვით აღსანიშნავია აპლიტისებრი გრანიტი. იქ დარიშხანის შემცველობა $0,5\%$ -ს აღემატება. ეს ქანი წარმოდგენილია (ქანთამუენი მინერალები) შემდეგი მინერალებით: პლაგიოკლასი კალიუმის მინდვრის შპატი, კვარცი და მუსკოვიტი. ეს ფაქტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მინერალთა [9] გენეზისის ამ რაიონის ახლო მიდამოებში მოსალოდნელია დარიშხანის საბადოს არსებობა.

დარიშხანის შეცულობის თვალსაზრისით არანაკლებად საინტერესოა ნიმუშები №№ 17, 18, 27 და 28. ეს ნიმუშები ლითოლოგიურად პლაგიოგრანიტებს მიეკუთვნება. ეს ქანები ძირითადად შედგება პლაგიოკლასის, კვარცისა და ბიოტიტისაგან; იმავე ქანებში მცირე რაოდენობით შედის აგრეთვე კალიუმის მინდვრის შპატი. ამ ქანში არაა შემჩნეული დარიშხანის რაიმე მინერალის არსებობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ქანის ნიმუშებში დარიშხანი აღმოჩნდა საკმაოდ დიდი რაოდენობით. ეს გარემოება, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეული უნდა იყოს მინერალთა გენეტიკური კლასიფიკაციიდან გამომდინარე კანონზომიერებით [9]. გამოკვლეულ ქანებში დარიშხანის



მაღალი კონცენტრაცია აპირობებს იმ გარემობას, რომ იქ არსებულ ობიექტები (ნიადაგები და წყლები) დარიშხანს უნდა შეიცავდეს გადიდებული რაოდენობით [10].

დასკვნები

1. გამოკვლეულია ზემო და ქვემო სვანეთის სხვადასხვა ქანის 54 ნიმუში. ზემო სვანეთის გამოკვლეულ ქანებში დარიშხანის საშუალო შეცულობა განისაზღვრება $3.87 \cdot 10^{-4}\%$ -ით, ხოლო ქვემო სვანეთის ქანებში— $2.91 \cdot 10^{-20}\%$ -ით.

2. ქვემო სვანეთის გამოკვლეულ ქანებში დარიშხანის მოჭარბებული შეცულობა მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აპლიტისებრი ვრანტი (№ №—13, 14, 25 და 26), რომელიც დარიშხანს შეიცავს 0,5%-ზე მეტს. ასევე აღსანიშნავია კვარციანი დიორიტპორფირიტი და პლაგიოგრანიტი, რომლებიც დარიშხანს შეიცავს საშუალოდ $12,5 \cdot 10^{-20}\%$ -ს.

3. ჩვენ მიერ გამოკვლეულ ქვემო სვანეთის ქანებში დარიშხანის მოჭარბებული რაოდენობა სავსებით ეთანხმება მინერალთა გენეტიკურ კლასიფიკაციაში არსებულ კანონზომიერებას, რომლის მიხედვით აღნიშნულ ქანებში მოსალოდნელი იყო დარიშხანის მოჭარბებული შეცულობა.

ლიტერატურა

1. Т. В. Иванецкий — Геология, минералогия и геохимия свинцово-цинковых и полиметаллических месторождений Грузии, 1963, стр. 79—91.
2. В. М. Гольдшмидт — Сборник статей по геохимии редких элементов, 1938, стр. 7—38.
3. С. С. Смирнов — Зона окисления сульфидных месторождений, 1936, стр. 192—204.
4. А. М. Овчинников — Общая гидрология, 1949, стр. 213, 214, 222—253.
5. А. Е. Ферсман — Геохимические и минералогические методы поисков полезных ископаемых. 1940, стр. 96, 370.
6. А. Е. Ферсман — Геохимия, т. I, 1934, стр. 260, 261, 268.
7. А. Е. Ферсман — Геохимия, т. IV, 1939, стр. 162, 169.
8. А. Т. Бетехтин, С. П. Ершов, В. И. Зверев и др. — Мышьяк (краткий курс месторождений полезных ископаемых), 1938, стр. 199.
9. Коллектив авторов — Курс минералогии, 1936, стр. 112, 203.
10. ი. მოსევილი და ვ. ჯოხაძე — დარიშხანი საქართველოს ბუნებრივ ობიექტებში, თსუ შრომები, 1950—54 წწ. ხელნაწერები.

არაორგანული ქიმიის კათედრა

(შემოვიღა რედაქციაში 18. IX. 1966 წ.).

Я. П. МОСЕШВИЛИ, Г. М. ДЖОХАДЗЕ

**МЫШЬЯК В ГОРНЫХ ПОРОДАХ НЕКОТОРЫХ РАЙОНОВ
ГРУЗИИ****Резюме**

Исследовано 54 образца различных горных пород Верхней и Нижней Сванетии.

В исследованных 20 образцах горных пород Верхней Сванетии среднее содержание мышьяка оказалось $3,87 \cdot 10^{-4} \%$, а в породах Нижней Сванетии — $2,91 \cdot 10^{-2} \%$.

Повышенное содержание мышьяка в исследованных горных породах Нижней Сванетии является весьма интересным явлением как с научной, так и с практической точки зрения. В этом отношении надо особенно отметить аплитовый гранит (образцы № № 13, 14, 25, 26), содержащий мышьяк больше $0,5 \%$, а также кварцевый диорит и плагиогранит, содержащие мышьяк в количестве $12,5 \cdot 10^{-2} \%$.

Повышенное содержание мышьяка в исследованных нами горных породах Нижней Сванетии вполне согласуется с той закономерностью, которая установлена в генетической классификации минералов и согласно которой указанные породы должны содержать избыточное количество мышьяка.

Указанное содержание мышьяка в исследованных породах дает основание предполагать, что и почвы местностей Цани должны содержать мышьяк в повышенном количестве.

ლ. ზედიძე

სამედიკო საბადოების ბენტონიტური თიხები

თავისი სპეციფიკური თვისებების გამო ბენტონიტურ თიხებს, როგორც ბუნებრივ ადსორბენტებს, დიდი გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში. უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ბენტონიტური თიხების მრავალი საბადო იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი. მათ ფართოდ იყენებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი, მაგალითად: ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, ზეთ-ცხიმოვანი წარმოება, ლითონჩამომსხმელი-საყალიბო საქმე, ჭაბურღილების თიხოვანი ხსნარის დამზადება, რეზინის, პლასტიკური მასების, კატალიზატორების, ფარმაცევტული წარმოება, სოფლის მეურნეობა და სხვა.

ბენტონიტურ თიხებზე მოთხოვნა თანდათან იზრდება, ამიტომ ახალი საბადოების თიხების შესწავლას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ბენტონიტური თიხების წარმოების მხრივ საქართველოს სსრ-ს პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. იგი მდიდარია ასეთი თიხების საბადოებით, მაგრამ დღემდე მხოლოდ რამდენიმე საბადოა შესწავლილი დეტალურად. მათ რიცხვს ეკუთვნის პირველ რიგში სოფ. გუმბრისა და ასკანის საბადოს თიხები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში [1, 2, 3, 4].

ამ საბადოების თიხების გარდა ნაწილობრივ შესწავლილია სხვა ახალი საბადოების ბენტონიტური თიხები წყალტუბოს, ტყებულის, ამბროლაურისა და ზოგიერთი სხვა რაიონიდან [5, 6, 7, 8, 9].

თიხების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ისინი შეიძლება გამოდგეს ბუნებრივ ადსორბენტებად—სხვადასხვა თხევადი პროდუქტის გასაწმენდად.

მასპერიმენტული ნაწილი

ბენტონიტური თიხების ახალი საბადოები აღმოჩენილია სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში (ზუგდიდის რ., სოფ. ოდიში, გეგეჭკორის რ., სოფ., ბაღდა და აბგესი, წალენჯიხის რ., სოფ. ჯვარი, ცხაკაიას რ., სოფ. მენჯი).

გარეგანი შესახედაობით თითოეული მათგანი წარმოადგენს სხვადასხვა შეფერილობის მკვრივ ქანს, წყლის მოქმედებით მცირედ იჯორჯვება, მალე კარგავს პირველ ფორმას და იძლევა ფხვნილებს. ბენტონიტური თიხების გამაუფერულებელი უნარი და სხვა სპეციფიკური თვისებები უკავშირდება მათში თიხოვან მინერალ—მონტორილონიტის რაოდენობას, რომლის შე-



ქართული
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა აკადემია

მცველობა თიხებში ცვალებადია. ამ მინერალის არსებობის შემთხვევებში აწარმოებენ ბენზიდინის ხსნარით, რომელიც მონტმორილონიტის არსებობის შემთხვევაში იძლევა ლურჯ ან მომწვანო-მტრედისფერ შეფერვას [10].

ჩვენ მიერ აღებული თიხის ნიმუშები მეტ-ნაკლები ინტენსივობით იძლევა მონტმორილონიტისათვის დამახასიათებელ შეფერვას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოსაკვლევად აღებული თიხის ნიმუშები შეიცავს მინერალ მონტმორილონიტს. შეფერვის ინტენსივობით გუმბრინის შემდეგ პირველ რიგში აღსანიშნავია ოდიშის, ხოლო შემდეგ — ბაღდის, აბგესის, ჯვარისა და მენჯის თიხები. უკანასკნელ წლებში ბენტონიტური თიხების ბუნების შესწავლისათვის ფართოდ იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს და მათ შორის თერმულ ანალიზს [11, 12], რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თიხების ტიპი.

ამ მეთოდით დადგენილია, რომ ბენტონიტური თიხების ძირითადი შემადგენელი მინერალის — მონტმორილონიტის გათბობის მრუდი ხასიათდება სამი (100—200°; 550—760°; 800—900°) ენდოთერმული და ერთი (900—1000°) ეგზოთერმული შეჩერებებით.

პირველი (ენდოთერმული) ეფექტის დროს მონტმორილონიტი კარგავს არამტკიცედ დაკავშირებულ (აღსორბირებულ) წყალს. მეორე (ენდოთერმული) ეფექტი, რაც უფრო დამახასიათებელია ამ მინერალისათვის, შედგება დაახლოებით 550°—760°-ის ფარგლებში, როდესაც მას შორდება კრისტალური წყალი. მესამე (ენდოთერმული) ეფექტი დაკავშირებულია მონტმორილონიტის კრისტალური ცხატრის დაშლასთან.

ეგზოთერმული ეფექტი ყველა თიხისთვის არაა დამახასიათებელი, ამ დროს ადგილი აქვს თიხის სტრუქტურის მთლიან შეცვლას, რაც თერმომრუდებზე გაურკვეველად აისახება.

გამოსაკვლევად აღებული ბენტონიტური თიხების (და შედარებისათვის გუმბრინის) თერმომრუდების დახასიათება მოცემულია თანდართულ 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

თიხის დასახელება	ენდოთერმული შეჩერებები			ეგზოთერმული შეჩერებები
	I	II	III	
გუმბრინი	150°-ზე	650°-ზე	860°-ზე	975°-ზე
ოდიში	110° "	570° "	810° "	
ბაღდა	150° "	650° "	830° "	960° "
აბგესი	145° "	640° "	820° "	950° "
ჯვარი	150° "	652° "	835° "	940° "
მენჯი	160° "	655° "	845° "	955° "

შესასწავლად აღებული ბენტონიტური თიხების თერმომრუდები ხასიათდება როგორც ენდოთერმული (110—150°; 570—655°; 810—845°), ისე ეგზოთერმული (940—975) შეჩერებებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ შედგენილობაში მეტ-ნაკლები რაოდენობით შედის თიხოვანი მინერალი მონტმორილონიტი.

ბენტონიტური თიხების ქიმიური შედგენილობა ცვალებადია არა მარტო სხვადასხვა საბადოს თიხებისათვის, არამედ ერთსა და იმავე საბადოს სხვადასხვა ადგილზე და სიღრმეზე აღებული ნიმუშებისათვის. მიუხედავად ამისა



თიხების დახასიათებისათვის ქიმიური ანალიზი დიდ როლს ასრულებს. ამასთანავე კუთრებით მაშინ, როცა იგი ჩატარებულია იმავე ფრაქციებზე, რომლებიც აღებული იყო თერმული ანალიზისათვის.

ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს თიხაში შემავალი ზოგიერთი მინერალი. მაგალითად, ცნობილია, რომ ჟანგეულების— $SiO_2 : R_2O_3$ შეფარდება თუ აღმატება 3-ს, მაშინ საქმე გვაქვს მონტმორილონიტთან, ხოლო თუ ეს შეფარდება 3-ზე ნაკლებია—ბეიდელიტთან.

საკვლევად აღებული ბენტონიტური თიხების ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

თიხის შედგენილობა %-ით	№ 1 ბუნბრინი	№ 2 ოღიშის თიხა	№ 3 აბგესის თიხა	№ 4 ბალდის თიხა	№ 5 ჯვარის თიხა	№ 6 მეწვის თიხა	შენიშვნა
SiO ₂	58,14	58,14	52,52	50,46	54,90	53,80	ყველა ნიმუშისათვის შეფარდება $\frac{SiO_2}{R_2O_3}$ 3-ს აღმატება, რაც მათ შედგენილობაში მინერალ მონტმორილიტონიტის არსებობაზე მიუთითებს
TiO ₂	0,25	0,72	2,20	0,22	0,18	0,24	
Al ₂ O ₃	13,23	22,86	19,72	19,87	17,36	18,76	
Fe ₂ O ₃	2,58	3,53	2,86	2,78	2,33	2,20	
FeO	0,28	0,74	0,42	0,20	0,18	0,30	
MnO	კვალი	კვალი	კვალი	კვალი	კვალი	კვალი	
HgO	2,24	1,93	3,02	3,10	2,93	2,50	
CaO	2,44	1,12	2,26	2,16	1,96	1,10	
Na ₂ O	1,73	0,43	0,22	0,28	0,31	0,32	
K ₂ O	0,78	0,27	0,16	0,23	0,29	0,20	
SO ₃	0,35	0,62	0,60	0,64	0,61	0,63	
H ₂ O	14,71	5,10	15,10	14,73	13,21	14,00	
უ. გ. შ.	3,61	4,95	5,14	5,43	5,21	5,26	
	100,34	100,7	99,02	100,07	99,42	100,01	

როგორც ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს ბენტონიტური თიხების მთავარი შემადგენელი კომპონენტებია სილიციუმისა და ალუმინის ჟანგეულები და წყალი. ე. ი. ისინი წარმოადგენს წყლიან ალუმოსილიკატებს. შედარებით დაბალ ტემპერატურაზე (150—250°) ისინი გამოყოფენ წყლის მნიშვნელოვან რაოდენობას, რის გამო იზრდება მათი გამაუფერულებელი ეფექტი [13]. ამიტომ ბენტონიტური თიხების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა დახასიათებისას ყოველთვის მიუთითებენ მათ დამოკიდებულებაზე წყალთან და ამის მიხედვით მსჯელობენ თიხის აქტივობაზე. აღებული ნიმუშების წყლის ორთქლთან დამოკიდებულება შესწავლილ იქნა ექსიკატორული მეთოდით. ჩატარებული ცდების მიხედვით დადგენილია, რომ თიხების თერმული აქტივაციის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება წყლის ორთქლის შთანთქმა.

აღებული ნიმუშების წყალთან ურთიერთობა შესწავლილ იქნა ე. გ. კისტერის [14] მიერ მოწოდებული მეთოდით.

ცდის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

როგორც ცდის შედეგებიდან ჩანს თერმული აქტივაციის შედეგად მნიშვნელოვნად ჩატარდება შეწოვა-გაჯირჯვების პროცესი.



გუმბრინის შემდეგ აქტივობით გამოირჩევა: ოდიშის თიხა, შამქრის თიხა, სის, ბაღის, ჯვრისა და მენჯის თიხები.

ცხრილი 3

თიხის დასახელება	თიხის წონა გრ-ით	გაჯირჯეების გარეშე	გაჯირჯეების დრო წამებით ჰაერზე მშრალი ნიმუშებისათვის	შთანთქმული სითხე მლ-ით	200°-ზე წინასწარ გახურებული ნიმუშებისათვის	
					გაჯირჯეების დრო წამებით	შთანთქმული სითხე მლ-ით
გუმბრინი	0,5	გამონდილი წყალი	20	0,65	15	0,80
ოდიში	"	"	20	0,60	15	0,75
ბაღდა	"	"	25	0,55	16	0,70
აბგესი	"	"	25	0,50	16	0,72
ჯვარი	"	"	25	0,52	15	0,65
მენჯი	"	"	20	0,55	16	0,70

როგორც ცნობილია მონტმორილონიტური ტიპის თიხები ითვლება კარგ ბუნებრივ ადსორბენტებად, ამჟღავნებს ნავთობისა და მისი პროდუქტების გაწმენდა-გაუფერულების უნარს, ამიტომ მათ ბუნებრივად აქტიურ მათეთრებელ თიხებს უწოდებენ [15].

ჩვენ მიერ აღებული ბენტონიტური თიხების გამაუფერულებელი უნარი შემოწმებულ იქნა ნავთობის პროდუქტების სხნარებზე სუფთა ნავთში როგორც ჰაერზე მშრალ მდგომარეობაში, ისე თიხის ნიმუშების თერმული აქტივაციის (105°, 150°, 200—250°) შემდეგ.

50 მლ გასაუფერულებელ სხნარს ვუმატებდით 5 გ თიხას, რომელიც დაფხვიერების შემდეგ გაცივლი იყო სპეციალურ საცერში (200 მეში, 6,400 ნახვრეტი 1 სმ²-ზე) და 20 წუთის განმავლობაში ვანჯღრევდით ელექტროსარევით. გაუფერულების ეფექტი შევამოწმეთ კოლორიმეტრულად (გასაუფერულებელი და გაუფერულებული სხნარების ფერების შედარებით), რის შედეგად მივიღეთ გაუფერულების ფაქტორი.

ცდის შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

თიხის დასახელება	წონა გრ-ით	სხნარის რაოდენობა მლ-ით	გაუფერულების ფაქტორი ჰაერზე მშრალი ნიმუშებისათვის	გაუფერულების ფაქტორი 105°	გაუფერულების ფაქტორი 150°	გაუფერულების ფაქტორი 200°	გაუფერულების ფაქტორი 250°
გუმბრინი	5	50	1,64	1,74	1,92	2,04	2,02
ოდიში	5	50	1,52	1,60	1,80	1,80	1,78
ბაღდა	5	50	1,44	1,50	1,72	1,75	1,70
აბგესი	5	50	1,31	1,46	1,58	1,60	1,55
ჯვარი	5	50	1,40	1,50	1,55	1,60	1,60
მენჯი	5	50	1,27	1,45	1,52	1,58	1,56

როგორც ჩატარებული ცდების შედეგები გვიჩვენებს თიხების წინასწარ თერმული აქტივაციის (105—250°) შედეგად სხნარის გაუფერულების ფაქტორი იზრდება და მაქსიმუმს აღწევს 200—250°-ს შორის.



გუმბრინის შემდეგ გაუფერულების აქტივობით გამოირჩევა ბალღისა და ჯვრის ბენტონიტური თიხები.

ანალოგიური ცდები ჩავატარეთ საცხენისისა და სუფსის საბადოების ნავთობის ხსნარზე სუფთა ნავთში.

საცხენისის ნავთობის ხსნარის გაუფერულების შედეგები მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

თიხის დასახელება	თიხის წონა გრ-ით	გასაუფერულებელი ხსნარის მლ-ით	გაუფერულების ფაქტორი პაერზე მშრალი ნიმუშებისათვის	გაუფერულების ფაქტორი 105°	გაუფერულების ფაქტორი 150°	გაუფერულების ფაქტორი 200°	გაუფერულების ფაქტორი 250°
გუმბრინი	5	50	2,00	2,25	2,50	2,74	2,61
ოდიში	5	50	1,90	2,15	2,34	2,52	2,42
ბალღა	5	50	1,62	1,92	2,00	2,34	2,25
აბგესი	5	50	1,82	2,00	2,14	2,25	2,05
ჯვარი	5	50	1,73	1,93	2,04	2,14	2,00
მენჯი	5	50	1,74	1,84	1,92	2,04	1,92

სუფსის ნავთობის ხსნარის გაუფერულების შედეგები მოცემულია მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6

თიხის დასახელება	თიხის წონა გრ-ით	გასაუფერულებელი ხსნარის მლ-ით	გაუფერულების ფაქტორი პაერზე მშრალი ნიმუშებისათვის	გაუფერულების ფაქტორი 105°	გაუფერულების ფაქტორი 150°	გაუფერულების ფაქტორი 200°	გაუფერულების ფაქტორი 250°
გუმბრინი	5	50	2,10	2,34	2,55	2,74	2,63
ოდიში	5	50	2,05	2,23	2,28	2,51	2,42
ბალღა	5	50	1,22	1,52	2,05	2,25	2,15
აბგესი	5	50	1,34	1,84	2,24	2,34	2,25
ჯვარი	5	50	1,15	1,35	1,83	2,09	1,96
მენჯი	5	50	1,25	1,51	1,94	2,10	1,84

ამ ხსნარების გაუფერულების ფაქტორის სიდიდით გუმბრინის შემდეგ აღსანიშნავია ოდიშისა და აბგესის თიხები, რომლებიც აქტივობით უახლოვდება გუმბრინს.

გამოსაკვლევად აღებული თიხების ნიმუშების გაუფერულების უნარი შემოწმებულ იქნა აგრეთვე გადამუშავებული (გამოყენებული) ავტოლის ხსნარზე სუფთა ნავთში (50 მლ 1000 მლ-ში).

ცდების შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

თიხების აქტივობა შევამოწმეთ აგრეთვე მზესუმზირის ზეთის გასაუფერულებლად სწვადასხვა პირობებში. ცდების შედეგები მოცემულია მე-8 ცხრილში.

ჩატარებული ცდების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეგრელოს საბადოების ბენტონიტური თიხები (ანალოგიურად გუმბრინისა) ხასიათდება არაპოლარული ხსნარის გაუფერულების უნარით.



თიხის და- სახელება	თიხის წონა გრ-ით	გასაუფ- ხსნარი მლ-ით	გაუფერულე- ბის ფაქტორი პაერზე ნიმუ- შებზე	გაუფერუ- ლების ფაქტორი 105°	გაუფერუ- ლების ფაქტორი 150°	გაუფერუ- ლების ფაქტორი 200°	გაუფერუ- ლების ფაქტორი 250°
გუმბრინი	5	50	2,10	2,34	2,53	2,74	2,62
ოლიში	5	50	2,05	2,25	2,34	2,53	2,42
ბალდა	5	50	1,24	1,52	2,05	2,24	2,10
აბგესი	5	50	1,35	1,84	2,23	2,35	2,21
ჯვარი	5	50	1,15	1,33	1,81	2,04	1,93
მენჯი	5	50	1,24	1,57	1,92	2,08	1,89

ცხრილი 8

თიხის და- სახელება	თიხის წონა გრ-ით	გასაუფერ- ულეზე- ლი ხსნა- რი მლ-ით	გაუფერულე- ბის ფაქტორი პაერზე მშრალ ნიმუშებზე	გაუფერუ- ლების ფაქტორი 105°	გაუფერუ- ლების ფაქტორი 150°	გაუფერუ- ლების ფაქტორი 200°	გაუფერუ- ლების ფაქტორი 250°
გუმბრინი	5	50	2,00	2,24	2,62	2,95	2,64
ოლიში	5	50	1,82	2,04	2,22	2,54	2,45
ბალდა	5	50	1,64	1,84	2,05	2,24	2,15
აბგესი	5	50	1,73	2,01	2,15	2,33	2,21
ჯვარი	5	50	1,62	1,82	2,00	2,16	2,02
მენჯი	5	50	1,71	1,93	2,09	2,24	2,08

დასკვნები

1. დადგენილია, რომ სამეგრელოს რაიონების ბენტონიტური თიხები მიეკუთვნება ბუნებრივად აქტიურ მონტმორილონიტურ ბენტონიტურ თიხებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბუნებრივი ადსორბენტები.

2. წყლის ორთქლისა და წყლის შთანთქმა, აგრეთვე გამაუფერულებელი ეფექტი მნიშვნელოვნად იზრდება თიხების წინასწარი თერმული აქტივაციის შედეგად.

3. სხვადასხვა არაპოლარული ხსნარის გაუფერულების შედეგად დადგენილია, რომ საკვლევად აღებული ბენტონიტური თიხები თავისი აქტივობით ახლოს დგას გუმბრინთან.

4. კოლორიმეტრული შემოწმების საფუძველზე დადგენილია, რომ ამ თიხებით ნავთობის პროდუქტების გაუფერულების ოპტიმალური ტემპერატურა დაახლოებით 225° უდრის.

ლიტერატურა

1. А. А. Твалчрелидзе — Бентонитовые глины Груз. ССР, вып. 3, 1941.
2. А. А. Твалчрелидзе — Бентонитовые глины Груз. ССР и ближайшие задачи их освоения, Сборник статей, 1953.
3. С. С. Филатов — Оценка отбеливающих глин и истинных бентонитов для производственных целей, Бентонитовые глины Груз. ССР, вып. 3, 1941.



4. М. С. Мерабишвили — Бентонитовые глины Месхетии и их характеристика, Сборник статей, 1953.
5. М. Л. Роква, А. А. Челидзе — Боножская бентонитовая глина, Труды Кутаисского Госпединститута, т. IX, 1949.
6. М. Л. Роква, А. Л. Челидзе — Некоторые новые месторождения бентонитовых глин, Труды Кутаисского Госпединститута, т. X, 1950.
7. ლ. ქელიძე — წყალტუბოს რაიონის ბენტონიტური თიხები, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 1954 წ.
8. ლ. ქელიძე — ტყეზულის რაიონის ბენტონიტური თიხები, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 1955 წ.
9. ლ. ქელიძე — ამბროლაურის რაიონის ბენტონიტური თიხები, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, 1958 წ.
10. И. Е. Веденеева — Изменение спектров красителей при адсорбции на минералах глин, ЖФХ, т. XXI, 1947.
11. Н. И. Горбунов, И. Г. Цюрупа, Е. А. Шурьгина — Рентгенограммы, термограммы и кривые обезвоживания минералов, встречающихся в почвах и глинах, Академия наук СССР, 1952.
12. Л. Г. Берг, И. Б. Николаев — Термография, 1944.
13. Г. Г. Уразов — Физико-химическое исследование отбеливающих глин Западной Грузии, Сборник „Отбеливающие земли СССР“, 1933.
14. Э. Г. Кистер — О набухании глин, Нефтяное хозяйство, № 12, 1947.
15. М. Благодаров — Отбеливающие земли (их свойства и применение для очистки нефтепродуктов), 1933.

а при гидрировании присоединение первой молекулы H_2 идет быстро (за 20—25 мин.), после чего скорость гидрирования резко замедляется и заканчивается за 25 часов, причем, как ранее было доказано спектральным анализом (5), первоначально гидрируется двойная связь в γ -положении к германию, а затем в β -положении. Очевидно, здесь проявляется влияние стерического фактора.



С целью изучения сравнительной реакционной способности винилэтинилкарбинола и синтезированного нами диенового германийсодержащего карбинола, нами было проведено взаимодействие их с $(\text{C}_2\text{H}_5)_3\text{GeBr}$ в среде пиридина:



Оказалось, что в случае диенового германийсодержащего карбинола германиевый эфир получается в более мягких условиях и с лучшим выходом, чем в случае винилэтинилкарбинола.

Константы и структурные формулы синтезированных нами веществ приведены в таблице.

№ №	Полученное соединение	кип. °С/мм	n_D^{20}	d_4^{20}	MP _D найд.	MP _D выч.	вых. %.
1	$\begin{array}{c} \text{OH} \\ \\ \text{CH}_2 - \text{C} - \text{C} = \text{CH} - \text{CH} = \text{CH}_2 \\ \quad \\ \text{C}_6\text{H}_5 \quad \text{Ge}(\text{C}_2\text{H}_5)_3 \end{array}$	155/3	1,5360	1,0948	94,721	94,202	68
2	$\begin{array}{c} \text{CH}_2 = \text{C} - \text{C} = \text{CH} - \text{CH} = \text{CH}_2 \\ \quad \\ \text{C}_6\text{H}_5 \quad \text{Ge}(\text{C}_2\text{H}_5)_3 \end{array}$	162—4/1	1,5250	1,0683	94,73	92,19	17
3	$\begin{array}{c} \text{OH} \\ \\ \text{CH}_3 - \text{C} - \text{CH} - \text{CH}_2 - \text{CH}_2 - \text{CH}_3 \\ \quad \\ \text{C}_6\text{H}_5 \quad \text{Ge}(\text{C}_2\text{H}_5)_3 \end{array}$	158—60/1	1,5252	1,0691	96,460	95,158	10
4	$\begin{array}{c} \text{CH}_3 - \text{C} - \text{C} = \text{CH} - \text{CH} = \text{CH}_2 \\ \quad \\ \text{OCOC}_2\text{H}_5 \quad \text{Ge}(\text{C}_2\text{H}_5)_3 \end{array}$	165—6/1	1,5505	1,1437	104,34	102,18	
5	$\begin{array}{c} \text{CH}_3 \\ \diagdown \\ \text{C} - \text{C} \equiv \text{C} - \text{CH} = \text{CH}_2 \\ \diagup \quad \\ \text{C}_2\text{H}_5 \quad \text{OGe}(\text{C}_2\text{H}_5)_3 \end{array}$	80—82/2	1,4682	0,9911	79,268	77,514	7
6	$\begin{array}{c} \text{CH}_3 \\ \diagdown \\ \text{C} - \text{C} = \text{CH} - \text{CH} = \text{CH}_2 \\ \diagup \quad \\ \text{CH}_3 \quad \text{OGe}(\text{C}_2\text{H}_5)_3 \end{array}$	122—23/2	1,4875	1,0992	112,77	113,46	9

Экспериментальная часть


Действие $\text{HGe}(\text{C}_2\text{H}_5)_3$ на метилфенилвинилэтинилкарбинол. Брали 13 г исходного карбинола, 20 г гидрида германия, 0,5 г катализатора Спейера. Реакция не пошла, несмотря на то, что подогрели на водяной бане. Добавили 0,5 мл катализатора—пошла бурная реакция.

Разогнав в вакууме, выделили фракции: I—до 150° (3 мм) 6,6 г, II— 155° (3 мм) 23,95 г, остальная масса заполимеризовалась—5,6 г.

Для II фракции найдено n_D^{20} 1,5360; d_4^{20} 1,0948; MR_D найдено 94,721; выход 68% (от теорет.).

Найдено: С 64,29; 64,40; Н 8,72; 8,81; Ge 21,66; 21,70; (ОН) 4,81; 5,03; $\text{C}_{18}\text{H}_{26}\text{GeO}_1$ вычислено: С 64,94; Н 8,41; Ge 21,82; (ОН) 5,13.

Дегидратация 2-фенил, 3-триэтилгермил, гексадиен-3, 5-ола-2. 5 г дегидратируемого вещества, 2,5 г KHSO_4 , 0,1 г дитизона (антиоксидант) нагревали в вакууме под азотом в течение 20 мин. ($90-100^\circ$), после чего перегнали; получили вещество с t_k $162-164^\circ$ (1 мм) в коли-



честве 0,8 г, для которого нашли n_D^{20} 1,5250, d_4^{20} 1,0683, MR_D 92,19, найдено MR_D 94,73, выход 17% (от теорет.).

Найдено %: С 69,48; 69,06; Н 8,94; 8,64; Ge 23,49; 23,68; $C_{18}H_{26}Ge$ вычислено: С 69,09, Н 8,30, Ge 23,22.

Гидроксил не обнаружен.

Гидрирование 2-фенил, 3-триэтилгермил, гексадиен-3, 5-ола-2. При гидрировании 3,3 г исходного вещества в присутствии 0,4 г Ni—Ренея поглотилось 480 мл H_2 (вместо 500 мл) при t 19° и Р 724 мм.

Перегонкой в вакууме выделили следующие фракции: I—150—154° (1 мм), II—158—160° (1 мм), III—161—162° (1 мм).

Для II фракции найдено n_D^{20} 1,5252; d_4^{20} 1,0691; MR_D 96,460, вычислено 95,158. Выход 10%.

Найдено: С 64,40; 64,53; Н 9,68; 9,38; Ge 21,59; 21,39, (ОН)6,24; $C_{18}H_{22}GeO$ вычислено: С 64,40; Н 9,50; Ge 21,50, (ОН)7,28.

Ацелирование 2-фенил, 3-триэтилгермил, гексадиен-3, 5-ола-2. 5 г ацелируемого вещества, 30 г уксусного ангидрида, 1 г CH_3COONa , 0,1 г дитизона нагревали на кипящей водяной бане в течение 70 часов.

Перегнав в вакууме, выделили фракции: I—до 142°, II—165—166° (1 мм) в количестве 0,9 г.

Для II фракции n_D^{20} 1,5505; d_4^{20} 1,1437; MR_D найдено 104,34, вычислено MR_D 102,18.

Гидроксил не обнаружен.

Найдено: С 64,37, 64,32; Н 8,19, 8,28; Ge 19,63, 19,60; $C_{20}H_{30}GeO_2$ вычислено: С 64,06, Н 8,00; Ge 19,38.

Действие $BrgGe(C_2H_5)_3$ на метилэтилвинилэтинилкарбинол. 7 г исходного карбинола, 10 г C_5H_5N поместили в реакционную колбу. Из капельной воронки добавили 13 г $(C_2H_5)_3GeBr$, после чего содержимое реакционной колбы нагревали на кипящей водяной бане в течение двух часов.

Отгнав в вакууме (сначала на водоструйном, затем на масляном), выделили фракции: I—до 110° (12 мм), II—80—82° (2 мм) в количестве 1,2 г.

Проделав анализ II фракции, нашли n_D^{20} 1,4682, d_4^{20} 0,9911, MR_D 79,266, вычислено 77,514; выход 7% (от теорет.).

Найдено: С 59,15; 59,38; Н 10,08; 10,10; Ge 25,19; 25,48; $C_{14}H_{26}GeO_1$ вычислено: С 59,44; Н 9,20; Ge 25,62.

Действие $BrgGe(C_2H_5)_3$ на 2-метил, 3-триэтилгермил, гексадиен-3, 5-ол-2. К 3,1 г исходного карбинола, 1 г пиридина из капельной воронки добавляли 3 г $(C_2H_5)_3GeBr$. Образовался белый осадок.

Содержимое колбы нагревали на кипящей водяной бане в течение четырех часов, отфильтровали, перегнали в вакууме под азотом.

Получили фракции: I—75—120° (2 мм), II—122—123° (2 мм) в количестве 0,5 г. Для II фракции найдено: n_D^{20} 1,4875, d_4^{20} 1,0992, MR_D 112,77; вычислено 113,46. Гидроксил не обнаружен.

Найдено: С 52,92; 53,00; Н 9,31; 9,29; Ge 34,00; 33,93; $C_{19}H_{40}Ge_9O$ вычислено: С 53,12; Н 9,32; Ge 33,83.

ЛИТЕРАТУРА

1. А. Д. Петров, И. М. Гвердцители, К. И. Черкезишвили—Тр. Тб. гос. универ., 74, 121 (1959), сер. хим.
2. А. Д. Петров, И. М. Гвердцители, К. И. Черкезишвили—ДАН СССР, 158 (1964).
3. И. М. Гвердцители, Т. П. Гунцадзе, А. Д. Петров—ДАН СССР, 158 (1964). ДАН СССР, 153 (1963), № 1, Сообщения Акад. наук ГССР, XXX 1:3, (1964).

Кафедра органической химии
(Поступило в редакцию 9.1.1966).

ი. ზვარცხითელი,

თ. გუნცაძე, ა. ა. კალანდარიშვილი

დიენური გერმანიუმმცველი კარბინოლის სინთეზი და ზოგიერთი გარდაქმნა

რეზიუმე

შრომაში მოტანილია $(C_2H_5)_3GeH$ -ის ურთიერთქმედება მეთილფენილ-ვინილეთინილ კარბინოლზე, რის შედეგად მიღებულია შესაბამისი დიენური გერმანიუმმცველი კარბინოლი.

მიღებული პროდუქტის აგებულების დასამტკიცებლად და აგრეთვე ტრი-ეთილგერმანიუმის ფგუფის გავლენის დასადგენად მოლეკულის რეაქციისუნარიანობაზე ჩატარებულია ზოგიერთი ქიმიური გარდაქმნა, კერძოდ, დეჰიდრა-ტაცია, ჰიდრირება და აცეტილირება.

მიღებული და დახასიათებულია სინთეზირებული პროდუქტები.

გარდა ამისა, შრომაში აღწერილია გერმანიუმის ეთერების მიღება ვინილეთინილკარბინოლსა და დიენურ გერმანიუმმცველ კარბინოლთან $(C_2H_5)_3GeBi$ -ის ურთიერთქმედებით პირიდინის არეში.

ი. გვირგვინი,
დ. შარვაშიანი, თ. მითაიშვილი

ფენოლოსპირტების ურთიერთქმედება სამვალენტიანი რკინისა და ოთხვალენტიანი კალის მარილებთან


ფენოლური პოლიმერების ქიმიური ბუნების დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფენოლოსპირტების—როგორც მოდელური ნაერთების—შესწავლას. მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა მრავალვალენტიან კომპლექსწარმომქმნელ მეტალთა იონების ზემოქმედებით სივრცითი სტრუქტურების მიღების შესაძლებლობა ხსნადი ფენოლური პოლიმერებიდან [1, 2], აღნიშნულმა საკითხმა გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა.

პოლივალენტიან კომპლექსწარმომქმნელ მეტალთა იონებთან ფენოლური პოლიმერების ურთიერთქმედების გამოკვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ფენოლოსპირტების—როგორც თერმორეაქტიული ფენოლფორმალდეჰიდური პოლიმერების მოდელების—ურთიერთქმედება სამვალენტიანი რკინისა და ოთხვალენტიანი კალის მარილებთან. ცნობილია, რომ ფენოლები, როგორც კომპლექსწარმომქმნელები, კარბონის მყავების ანალოგიურია [3]. მეორე მხრივ, ორთო-ფენოლოსპირტები წარმოქმნის ხელატურ, შიდაკომპლექსურ ციკლებს [4].


ამრიგად, ფენოლოსპირტების ურთიერთქმედებისას სამვალენტიანი რკინისა და ოთხვალენტიანი კალის მარილებთან მოსალოდნელი იყო რკინისა და კალის ატომების შემცველი შიდაკომპლექსური ნაერთების მიღება ხელატურ ციკლში.

მასპერიმენტი და შედეგების განსჯა

საწყისი ნაერთები. ო-და პ-ოქსიბენზილის სპირტებს ვიღებდით მანასეს მეთოდით [5], ხოლო 2-მეთილოლ-პ-კრეზოლს და 2, 6-დიმეთილოლ-პ-კრეზოლს—ულმანისა და ბრიტნერის მიხედვით [6]. ექსპერიმენტის ჩატარებისას ვიყენებდით შემდეგ მარილებს:



ფენოლოსპირტებისა და ოთხვალენტიანი კალის მარილების საფუძველზე ვახდენდით კომპლექსნაერთების სინთეზს მშრალი გამხსნელების არეში. მორეაგირე მარილის ქიმიური ბუნების შესაბამისად ვარჩევდით გამხსნელებს; ოთხვალენტიანი კალის ნაერთების შემთხვევაში რეაქციებს ვატარებდით ბენზოლის ან ტოლუოლის არეში, ხოლო სამვალენტიანი რკინის ნაერთების შემთხვევაში—ლიოქსანის, აცეტონის ან აბსოლუტური ეთანოლის არეში. მაგალითად: ფენოლოსპირტს, გახსნილს ან სუსპენდირებულს რომელიმე გამხსნელში, ენერ-



გიული მორევისა და გაცივების ($t^{\circ}=0$) პირობებში ვამატებდით სამედიკამენტოზურ რკინის ან ოთხვალენტიანი კალის მარილის ხსნარს იმავე გამხსნელში.

ფენოლოსპირტის და მეტალის მარილის მოლური შეფარდება სარეაქციო არეში შესაბამისად ტოლია 1:1; 2:1; 3:1. სარეაქციო ნარევი სამვალენტიანი რკინის ნაერთების გამოყენების შემთხვევაში მოშავო-ლურჯ შეფერვას იღებს, ხოლო ოთხვალენტიანი კალის ნაერთების შემთხვევაში კი—მოყვითალო-მწვანე ფერს.


ერთი საათის დაყოვნების შემდეგ, სარეაქციო ხსნარიდან, სხვადასხვა დამლექავების დამატებით (მშრალი პეტროლეინის ეთერი, ოქტანი) ვლექავდით რეაქციის პროდუქტს, რომელსაც სწრაფად ვასუფთავებდით მრავალჯერადი გადალექვის გზით. ფენოლოსპირტებისა და სამვალენტიანი რკინის მარილების ურთიერთქმედების პროდუქტები მოშავო-ლურჯი ფერის მყარი ნივთიერებებია, ხოლო ფენოლოსპირტებისა და ოთხვალენტიანი კალის მარილების ურთიერთქმედებით კი ყოველთვის მწვანე ფერის მყარი ნივთიერებები მიიღება.

მიღებული ნაერთები ძალზე უმდგარადა და გამოლექვისთანავე განიცდის გარდაქმნებს; კერძოდ, ინტენსიურად გამოყოფს ფორმალდეჰიდს და გადადის უხსნად და უღლობად მდგომარეობაში. ფორმალდეჰიდის გამოყოფისა და უხსნად და უღლობად მდგომარეობაში გადასვლის სიჩქარე იზრდება ტემპერატურის გაზრდასთან ერთად. ფენოლოსპირტებისა და აღნიშნულ მეტალთა მარილების ურთიერთქმედების პროდუქტების არასტაბილურობის გამო ამ ნაერთების ზუსტი ელემენტარული შედგენილობისა და სტრუქტურული ფორმულის დადგენა ვერ ხერხდება. ახლად დალექილი ნაერთების მოლეკულური წონის მიახლოებითი განსაზღვრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფენოლოსპირტებისა და აღნიშნულ მეტალთა მარილების ურთიერთქმედების პროდუქტები პოლიმერულ ნაერთებს წარმოადგენს. ამ ნაერთებში მეტალის რაოდენობის განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ მიღებული პროდუქტები შეიცავს მოლეკულურ ჯაჭვში შეკავშირებულ რკინის ან კალის ატომებს და ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით (კვალი)—შესაბამის ანიონს.

როგორც ცნობილია, ფენოლოსპირტები მდგარადა მხოლოდ ნეიტრალურ და ტუტე არეში. მჟავე არეში ისინი ძლიერ სწრაფად გარდაიქმნება, პოლიკონდენსირდება ერთმანეთთან ფენოლ-ფორმალდეჰიდური პოლიმერების წარმოქმნით. ჩვენ მიერ განხილული სამვალენტიანი რკინისა და ოთხვალენტიანი კალის მარილები ყველა მჟავე ბუნებისაა. ამიტომ სარეაქციო არის მჟავიანობის გავლენის შესწავლა ფენოლოსპირტებისა და აღნიშნულ მეტალთა მარილების ურთიერთქმედების პროცესზე პასუხს მოგვცემდა კითხვაზე—ადგილი ჰქონდა თუ არა ამ დროს მჟავური პოლიკონდენსაციის რეაქციას. ამ მიზნით შევისწავლეთ სისტემების: FeCl_3 , 2,6-დიმეთილოლ-პ-კრეზოლი (1:1) და SnCl_4 , 2,6-დიმეთილოლ-პ-კრეზოლი (1:1), სიბლანტის ზრდის პროცესი მშრალ გამხსნელებში: პირიდინში, დიოქსანსა და ყინულოვან ძმარმჟავაში. სიბლანტის განსაზღვრას ვახდენდით ოსტვალდ-პინკევიჩის სისტემის ვისკოზიმეტრით 20° ტემპერატურის პირობებში.

1-ელი ნახაზიდან ჩანს, რომ სარეაქციო არის მჟავიანობის გაზრდასთან ერთად მატულობს სისტემის სიბლანტის ზრდის სიჩქარე. ნეიტრალურ გამხსნელში (დიოქსანში) სიბლანტის ზრდის სიჩქარის მრუდის განხილვიდან აშკარაა,

რომ ფენოლოსპირტებისა და აღნიშნულ მეტალთა მარილების ურთიერთქმედების დროს ადგილი აქვს მუავური პოლიმერდენსაციის პროცესს. ეს ფაქტი მტკიცდება აგრეთვე მიღებული უხსნადი და უღებობადი პოლიმერკომ-




უხსნადი მკვამარობა

ნახ. 1.


პლექსების მუავური ჰიდროლიზის პროცესის შესწავლით. გაფხვიერებული პოლიმერების (მასალის სიმსხო 0,085—0,075 მმ) ჰიდროლიზის პროცესს ვსწავლობდით მათი დღეებით კონცენტრირებულ მარილმუავასთან. ამ დროს პოლიმერული კომპლექსიდან ხსნარში გადადიოდა შეკავშირებული მეტალის ატომები, რომელთა რაოდენობასაც ვსაზღვრავდით კოლორიმეტრული მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ფენოლოსპირტებისა და მეტალთა მარილების (მოლური შეფარდება 1:1) ურთიერთქმედების შედეგად მიღებული პროდუქტების ჰიდროლიზის პროცესის შესწავლის შედეგები (ნახ. 2).

2-მეთილოლ-3-კრეზოლი + $FeCl_3 \cdot 6H_2O$ (1); 2-მეთილოლ-3-კრეზოლი + $SnCl_4 \cdot 5H_2O$ [2]; სალიგენინი + $FeCl_3 \cdot 6H_2O$ [3]; სალიგენინი + $SnCl_4 \cdot 5H_2O$ [4].
 მოცემული შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ სალიგენინის ურთიერთქმედების პროდუქტი სამქლორიან რკინასა და ოთხქლორიან კალასთან (მრუდი 3, 4) განიცდის მხოლოდ ნაწილობრივ ჰიდროლიზს და მიუხედავად ჰიდროლიზის პროცესის ხანგრძლივობისა, მასში მაინც რჩება შეკავშირებული მეტალის გარკვეული რაოდენობა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ აღნიშნულ პოლიმერულ კომპლექსებში არის ისეთი კავშირებიც, რომლებიც ამ პირობებში არ განიცდის ჰიდროლიზს და აპირობებს უხსნადი სივრცითი სტრუქტურის არსებობას.



ნახ. 2.



ნახ. 3.

ასეთი კავშირების წარმოქმნა შეიძლება მხოლოდ მყავური პოლიკონდენსაციის რეაქციის შედეგად და საფუძვლებელია რომ ეს კავშირები წარმოადგენს ჩვეულებრივ მეთილენურ ხიდებს, წარმოქმნილს სალიგენინის მოლეკულების თანაპოლიკონდენსაციის გზით. 2-მეთილოლ-პ-კრეზოლის საფუძველზე მიღებული პოლიმერკომპლექსების ჰიდროლიზის პროცესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ ნაერთებიდან ჰიდროლიზის შედეგად თითქმის მთლიანად ხდება მეტალთა ატომების გამოყოფა.


საინტერესო შედეგს იძლევა პოლიმერულ კომპლექსებში შეკავშირებული მეტალის რაოდენობასა და პოლიმერიზაციის ხარისხს (შეკერვის ხარისხს) შორის დამოკიდებულების დადგენა. ამ დამოკიდებულების გრაფიკი ზოგიერთი პოლიმერული კომპლექსებისათვის მოცემულია მე-3 ნახაზზე.

1-ელი მრუდი შეესაბამება სალიგენინის საფუძველზე მიღებულ რკინა-შემცველ ნაერთს; მე-2 მრუდი—სალიგენინის საფუძველზე მიღებულ კალაშემცველ ნაერთს; მე-3 მრუდი—2-მეთილოლ-პ-კრეზოლის საფუძველზე მიღებულ რკინაშემცველ ნაერთს; მე-4 მრუდი—2-მეთილოლ-პ-კრეზოლის საფუძველზე მიღებულ კალაშემცველ ნაერთს.

პოლიმერიზაციის ხარისხი განსაზღვრულია სოქსლეტის აპარატში ციკლოპექსანონით ექსტრაქციით, ხოლო მყავაში გადასული მეტალის რაოდენობა—კოლორიმეტრული მეთოდით.

1-ელი და მე-2 მრუდების განხილვიდან ჩანს, რომ სალიგენინის საფუძველზე მიღებულ პროდუქტებში სივრცითი სტრუქტურის წარმოქმნას აპირობებს არა მარტო სამვალენტიანი რკინისა და ოთხვალენტიანი კალის მეტალთა ატომები, არამედ სალიგენინის მოლეკულების ტრიფუნქციონალურობა და მათი მიდრეკილება ურთიერთპოლიკონდენსაციისადმი. ამიტომ როგორც მე-3 ნახაზიდან ჩანს, სალიგენინის საფუძველზე მიღებული პოლიმერკომპლექსებიდან მეტალთა ატომების ძირითადი ნაწილის გამოყოფის შემდეგ პროდუქტები მაინც უხსნადი და უღობადი რჩება. მე-3 და მე-4 მრუდების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2-მეთილოლ-პ-კრეზოლის საფუძველზე მიღებულ პოლიმერკომპლექსებში სივრცითი სტრუქტურის წარმოქმნა გაპირობებულია მხოლოდ მასში რკინისა და კალის ატომების არსებობით. აღნიშნული პოლიმერული კომპლექსებიდან მეტალთა ატომების გამოყოფასთან ერთად იზრდება პროდუქტის ხსნადობა; მეტალთა ატომების ძირითადი ნაწილის გამოყოფის შემდეგ ეს პოლიმერები მთლიანად გადადის ხსნად მდგომარეობაში და ტუტე არეში მიღებული პ-კრეზოლ-ფორმალდეჰიდური პოლიმერების იდენტურია. აღნიშნული ტიპის რეაქციებში სამვალენტიანი რკინისა და ოთხვალენტიანი კალის იონების უნარზე—წარმოქმნას სივრცითი სტრუქტურები—მიუთითებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ პ-კრეზოლოსპირტების ურთიერთქმედებისას აღნიშნულ მეტალთა იონებთან მიიღება სივრცითი სტრუქტურის მქონე, უხსნადი და უღობადი პოლიმერკომპლექსები; საერთოდ, როგორც ცნობილია, ფენოლალდეჰიდური პოლიკონდენსაციის დროს, პ-კრეზოლის მოლეკულის ბიფუნქციონალურობის გამო, პ-კრეზოლის საფუძველზე შეუძლებელია სამვალენტობიანი სტრუქტურების მიღება.

ფენოლალდეჰიდური ტიპის კონდენსაციებში ფენოლური ჰიდროქსილი,



ანი რკინისა და ოთხვალენტისანი კალის მარილების ზემოქმედებით ფენოლფორმალდეჰიდურ პოლიმერებს, ხოლო მარცხენა სპირტები წარმოქმნის ფენოლფორმალდეჰიდურ პოლიმერებს, პოლიმერები ფენოლური ჰიდროქსილების საშუალებით ურთიერთქმედებს აღნიშნულ მეტალთა მარილებთან და წარმოქმნის სივრცითი სტრუქტურის უხსნად და უღობად მეტალორგანულ პოლიმერკომპლექსებს.

ლიტერატურა

1. И. М. Гвердцители, Д. Ш. Угрехелидзе, М. Г. Хатиашвили—Авт. свид. № 140198, 1960 г.
2. И. М. Гвердцители, Д. Ш. Угрехелидзе—Авт. свид. № 159643, 1963 г.
3. P. Pfeiffer—Organische Molekularverbindungen, Stuttgart, 1927.
4. В. Мартин Роберт—Химия фенольных смол, Москва, 1962 г., стр. 13—15.
5. O. Manasse, Ber. 1894, 27, 2408.
6. F. Ulmann, K. Brittner—Ber., 1909, 42, 2539.
7. Л. М. Шутер, Я. П. Беркман—Укр. хим. журн., 1957, 23, № 5, 669.

ორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიდა რედაქციაში 11.1.1966 წ.).

И. М. ГВЕРДЦИТЕЛИ,
Д. Ш. УГРЕХЕЛИДЗЕ, Т. И. МИТАИШВИЛИ

ВЗАИМОДЕЙСТВИЕ ФЕНОЛОСПИРТОВ С СОЛЯМИ ТРЕХВАЛЕНТНОГО ЖЕЛЕЗА И ЧЕТЫРЕХВАЛЕНТНОГО ОЛОВА

Резюме

Исследованы реакции взаимодействия ионов трехвалентного железа и четырехвалентного олова с фенолоспиртами. Установлено, что при взаимодействии ионов трехвалентного железа и четырехвалентного олова на фенолоспирты образуются фенол-формальдегидные полимеры, которые, взаимодействуя гидроксильными группами с ионами указанных металлов, образуют металлорганические продукты пространственного строения.

ნ. ციციშვილი, ბ. ციციშვილი,
თ. კივარაცხო, ბ. ლლონტი, დ. ჟაქაძე

საქართველოს ზოგიერთი მცენარის (Veratrum Lobelianum Bernh) ინსექციციდური მოქმედების შესწავლა

სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით შესრულება დიდადაა დამოკიდებული რიგი ღონისძიებების განხორციელებასთან. ასეთებია, მაგალითად, მცენარეთა დაცვა სხვადასხვა დაავადებისა და მრავალი სახის მავნებლისაგან. ამ ღონისძიებათა განხორციელება შეიძლება აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური გზით. მცენარეთა დაცვის ქიმიური გზა გამოყენებას პოულობს იმ შემთხვევაში, თუ სამკურნალო პრეპარატის ქიმიური სინთეზი და დამზადება ეკონომიურად გამართლებული და პრაქტიკაში ადვილად დასანერგი იქნება.


როგორც ლიტერატურული, ისე პრაქტიკული ხასიათის მასალებიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ხალხი მცენარეების სამკურნალოდ იყენებდა სხვა მცენარეებს (ალკალოიდის შემცველ მცენარეებს). ასეთ მცენარეთა შორის მოიძებნება ისეთებიც, რომლებმაც გამოყენება ჰპოვეს სოფლის მეურნეობაში ინსექციციდური პრეპარატების დასამზადებლად.

უკანასკნელ პერიოდში ალკალოიდების შემცველი მცენარეების გამოყენებამ, ფარმაცოლოგიური და ტოქსიკური თვისებების გამო, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. საქართველოში მზარდი ალკალოიდის შემცველი მცენარეები მეტ შესწავლას მოითხოვს.

ჩვენი საკვლევი მუშაობის მიზანს შეადგენდა საქართველოში მზარდ მცენარეებს შორის ინსექციციდური თვისებების მქონე მცენარეთა გამოვლინება და შესწავლა ალკალოიდების შემცველობის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით საკვლევი მუშაობა დავიწყეთ 1961 წლიდან. ჩვენ მიერ გამოვლინებული და ნაწილობრივ შესწავლილია საქართველოში მზარდი მცენარე შხამა.

შხამას გვარი (Veratrum) ეკუთვნის Liliaceae ოჯახს. ვ. ს. სოკოლოვის ცნობებით შხამას Veratrum-ის გვარი საბჭოთა კავშირში წარმოდგენილია 8 სახეობით. შხამა გავრცელებულია და გვხვდება მთელ საბჭოთა კავშირში.

შხამას სახეობიდან შხამა ლობელი (Veratrum Lobelianum Bernh) ნაკლებადაა შესწავლილი. გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებდა სამედიცინო ინსტიტუტში. ჩვენ მიზნად დავისახეთ შხამა ლობელის ინსექციციდური მოქმედების შესწავლა და ინსექციციდური თვისებების მქონე ალკალოიდების გამოყოფა. ჩვენ მიერ შესწავლილია შხამას ქიმიური შედგენილობა, ალკალოიდების საერთო რაოდენობა და შხამას მოქმედება მცენარეების მავნე-



ბელ მწერებზე. უკანასკნელი მიზნისათვის საცდელ ბაზად გამოვიყენეთ უკანასკნელი ბალის მცენარეთა სათბურის (სადაც მცენარეები დიდ ვაჭირვებას განიცდის მავნე მწერებისაგან) და ბორჯომის რაიონის სოფელ რველის აგრონომ გ. თაქთაქიშვილის საკარმიდამო ხილის ნაკვეთი. შხამას გამონაწვლილების ინსექტიციდური მოქმედების უნარი შევისწავლეთ აგრეთვე მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში. შხამას გამონაწვლილზე ცდებს ატარებდნენ მეცნ. კანდ. თ. კურცხალია, მეცნ. მუშაკი თ. სეინიშვილი და ლაბორანტი თ. ლილუაშვილი, მეცნ. კანდ. გ. გეგენავას ხელმძღვანელობით.

ჩატარებულმა ცდებმა დადებითი შედეგი მოგვცა. მოისპო მცენარეთა მავნებლები. ინსექტიციდური თვისების მქონე ალკალოიდების გამოსაყოფად ჩავატარეთ რამდენიმე ცდა. შხამას ფესვები და ფესურები დავამუშავეთ ორგანული გამსხნელებით. შხამა ლობელიდან ალკალოიდები გამოვყავით ფუძის სახით.

ამსკვირმენტული ნაწილი

საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა ბაკურიანისა და ბაშკიჩეთის მიდამოებში შეგროვილი მცენარე შხამა. მცენარე შესამოწმებლად და მისი ბოტანიკური დახასიათებისათვის წინასწარ ვაეგზავნა ბოტანიკოსებს: ა. კახაძეს და ე. ქიქოძეს. მათი დასკვნით ჩვენ ხელთ გვქონდა მცენარე შხამას ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ, *Veratrum Lobelianum Bernh.*

შხამას შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ალკალოიდების შემცველობაზე თვისებითი რეაქციები და განვსაზღვრეთ ზოგიერთი შემადგენელი ნივთიერება. თვისებითმა რეაქციებმა შხამაში ალკალოიდის შემცველობაზე დადებითი შედეგი მოგვცა.

შხამას (*Veratrum Lobelianum Bernh*) ქიმიური შედგენილობა

№№ რიგზე	შხამას ქიმიური შედგენილობა	რაოდენობა %-ით	აბსოლუტურ მშრალზე გადაანგარიშებული %-ით
1	სინესტე	8,4	
2	ალკალოიდების საერთო რაოდენობა, პროტოვერატინზე გადაანგარიშებული	1,75	1,91
3	საერთო მეთიანობა, ვაშლის მჟავაზე გადაანგარიშებული	0,8	0,87
4	ცულულოზა	14,74	16,16
5	ცხიმი	1,77	1,91
6	პექტინური ნივთიერება	1,54	1,68
7	საერთო აზოტის რაოდენობა	3,11	3,40
8	ცილოვანი ნივთიერება	19,43	21,29
9	პენტოზანი	9,93	10,84
10	ფურფუროლი	5,78	6,31

შხამა ლობელის (*Veratrum Lobelianum Bernh*) ინსექტიციდური მოქმედების შესწავლის მიზნით დავამზადეთ წყლიანი გამონაწვლილი ჩვენ მიერ გამომუშავებული სწრაფი და მარტივი გზით, რაც ეკონომიური თვალსაზრისით უფრო გამართლებული და ხელმისაწვდომი იყო. გამონაწვლილი დავამზადეთ შემდეგნაირად.

დაფხვიერებული შხამას ფესვების და ფესურების ნახევარ კილოგრამის (მთლიანად) ელმატით 5 ლიტრი წყალი და ეს მასა გავაცხელებთ 70—90° ტემპერატურის პირობებში, წყლის აბაზანაზე 6 საათის განმავლობაში. გაცხელებიდან 5,5 საათის შემდეგ მას დაეუმატეთ 50 მლ სპირტი, ხოლო გაწურვის შემდეგ ხსნარს—5 გრამი თხიერი საპონი. დავამზადეთ აგრეთვე შხამას წყლიანი გამონაწვლილი აღნიშნული მეთოდით სამკურნალო საპნის გარეშეც. ასეთი (უსაპნო) I გამონაწვლილით დაკვირვება ხდებოდა უნივერსიტეტის ბალისა და სათბურის მცენარეებზე. შხამას წყლიანი გამონაწვლილით მკურნალობამ დადებითი შედეგი მოგვცა. მოისპო მცენარეთა მავნე დაავადებანი და აღნიშნული სათბურის მცენარეები ცრუფარიანისაგან მთლიანად გათავისუფლდა.

შემდეგ შხამას გამონაწვლილით მკურნალობა ჩატარდა სათბურის იმ მცენარეებზე, რომელთაც მიღებული ჰქონდათ ფრთოსნები. აქაც მკურნალობამ დადებითი შედეგი მოგვცა. შხამას გამონაწვლილის შესხურებამ ფრთოსნები უმალ მოსპო როგორც მცენარეთა ფოთლებსა და ღეროებზე, ისე ჰაერშიც.

გარდა თსუ ბალის მცენარეთა სათბურისა, მცენარეთა მავნებლების მოსასობად დაკვირვებებს ვატარებდით ბორჯომის რაიონის სოფელ რველში აგრონომების: გ. და თ. თაქთაქიშვილების საკარმიდამო ხილის ნაკვეთზე. მათ გადაეცათ შხამას წყლიანი გამონაწვლილი ვაშლისა და მსხლის ხეებზე გაჩენილი მავნებლების მოსპობის მიზნით დაკვირვების ჩასატარებლად. მკურნალობამ დადებითი შედეგი მოგვცა. მწერები და პებლები დაიხოცა შესხურებისთანავე. შხამას გამონაწვლილს არავითარი მავნებლობა არ მოუტანია ფოთლისა და ნაყოფისათვის. შხამას გამონაწვლილების ინსექტიციდური მოქმედების უნარი შესწავლილ იქნა ლაბორატორიაშიც.

დაკვირვების ობიექტად გამოვიყენეთ უნივერსიტეტის ბალთან არსებული ყვავილების სათბურიდან მიღებული ცრუფარიანებით დაავადებული მცენარე ფურუსულა პრიმულა (Primula). სათბურის გამგის, ენტომოლოგ-აგრონომ თ. ქართველიშვილის შეფასებით ფურუსულა პრიმულა 80%-ით იყო დაზიანებული. მცენარის ღერო ნიადაგის ზედაპირიდანვე დაწყებული, ასევე მისი ფოთლები მთლიანად იყო დაფარული ცრუფარიანებით. მცენარის მკურნალობა ლაბორატორიაში მიმდინარეობდა შხამას სათანადოდ დამზადებული წყლიანი გამონაწვლილით. მცენარეების შესხურება დღეში ხდებოდა ორჯერ: დილა-საღამოს და გრძელდებოდა ფარიანების სრულ მოსპობამდე, რასაც დასჭირდა 5 დღე. ფარიანების მოსპობას ამოწმებდა აგრ. თ. ქართველიშვილი.

ფარიანების მოსპობის შემდეგ ფურუსულა პრიმულა მეთვალყურეობის ქვეშ დავტოვეთ ლაბორატორიაში 5—6 თვის განმავლობაში. მოხდა მისი სრული განკურნვა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში პრიმულა შეიმოსა მობრდილი ლამაზი მწვანე ფოთლებითა და ყვავილებით. პარალელურად მიმდინარეობდა საკონტროლო დაკვირვება ფურუსულა პრიმულას მეორე, სავსებით ანალოგიურ ეგზემპლარზე. საბოლოო შედეგი ამ შემთხვევაშიც დამაკმაყოფილებელი იყო. შხამას გამონაწვლილმა კვლავ გამონაავლინა ინსექტიციდური თვისება და ეფექტიანი მოქმედება.

დაკვირვებას ვატარებდით აგრეთვე ცრუფარიანებით დაზიანებულ მცენარე ქაქტუს ოპუნციაზე, რომელიც იმავე სათბურიდან იყო მიღებული და დაზიან-



ნება 80%-ს აღწევდა. შესწურებას ვახდენდით ახლად დამზადებულ მონაწვლილით. ამ ობიექტისათვისაც მივიღეთ დადებითი შედეგი. შხამას გამონაწვლილის ინსექტიციდური მოქმედება აღმოჩნდა საკმაოდ ეფექტიანი.

ცრუფარიანებით დაზიანებულ 5 წლის მცენარე ოლეანდრა (*Nerium alexander*) იმდენად იყო ცრუფარიანებით დაზიანებული, რომ მისი განკურნვა შეუძლებლად მიაჩნდათ, რის გამოც ოლეანდრა, როგორც უვარგისი, გამოვიტანეთ სათბურიდან. დაზიანება თითქმის 95% აღწევდა. შხამას ახლად დამზადებული გამონაწვლილით მცენარის შესწურებას ვაგრძელებდით 8 დღის განმავლობაში. შესწურების პროცესში მცენარეს გაჯანსაღების ნიშნები დაეტყო. შხამას გამონაწვლილმა ოლეანდრის მკურნალობის შემდეგაც კიდევ ერთხელ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგი.

შხამას გამონაწვლილების ინსექტიციდური მოქმედების უნარი შევისწავლეთ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში.

გამონაწვლილებს ვამზადებდით ზემოაღნიშნული მეთოდით. გამონაწვლილი № 1 (გამონაწვლილს დაემატა სპირტი და სამკურნალო საპონი) და გამონაწვლილი № 2 (გამონაწვლილი დავამზადეთ სპირტისა და საპნის გარეშე).


გამონაწვლილების შესწურება ჩავატარეთ ზღვისპირა ფქვილისებრ ცრუფარიანებზე (*Pseudococcus maritimus Ehrh*) 1963 წლის 4 ივლისს. შედეგები მოყვანილია 1-ელ ცხრილში, ეტალონად მივიღეთ 30%-იანი თიოფოსის 2%-იანი ხსნარი.

ცხრილი 1

№№ რიგზე	აღრიცხვის შედეგები	სიკვდილიანობა %-ით
1	გამონაწვლილი № 1 (განუზავებული)	100
2	„ № 1 (განზავ. წყალთან 1:1)	85
3	„ № 2 (განზავ. წყალთან 1:3)	75
4	„ № 2 (განუზავებული)	90
5	„ № 2 (განზავ. წყალთან 1:1)	80
6	„ № 2 (განზავ. წყალთან 1:3)	70
7	ეტალონად აღებულია 30%-იანი თიოფოსის 0,2%-იანი ხსნარი	100
8	საკონტროლო (სუფთა წყალი)	34

როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს გამონაწვლილი № 1-ის ინსექტიციდური მოქმედება მსგავსია ეტალონად აღებული თიოფოსის ხსნარის მოქმედებისა. გამონაწვლილის შესრულება ფქვილისებრ ცრუფარიანებზე (მსგავსად თიოფოსის ხსნარისა) იწვევს 100% სიკვდილიანობას. ასევე დადებითია გამონაწვლილი № 2-ის ინსექტიციდური მოქმედება, რომელიც დამზადებულია სპირტისა და საპნის გარეშე. მისი შესწურება ფქვილისებრ ცრუფარიანებზე იწვევს 90% სიკვდილიანობას.

გამონაწვლილების ინსექტიციდური თვისებების შესწავლის მიზნით ცდები ჩავატარეთ ატმის ბუგრზეც (*Muzodes persicaes*). შედეგები მოყვანილია მე-2 ცხრილში. ეტალონად ავიღეთ 30%-იანი თიოფოსის 0,1%-იანი ხსნარი. ცდები ჩავატარეთ 1963 წლის 8 ივლისს.



როგორც მე-2 ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს ეტალონად თიოფოსის უფრო განზავებული ხსნარია აღებული და ატმის ბუგრზე (*Myzodes persicaes*) მეტი ინსექტიციდური თვისებები გამოიჩინა № 2 გამონაწვლილ-

ცხრილი 2

№№ რიგზე	აღრიცხვის შედეგები	სიკვდილიანობა %-ით
1	გამონაწვლილი № 1 (განუზავებელი)	65
2	„ „ № 1 (განზავ. წყალთან 1:1)	55
3	„ „ № 1 (განზავ. წყალთან 1:3)	35
4	„ „ № 2 (განუზავებელი)	100
5	„ „ № 2 (განზავ. წყალთან 1:1)	100
6	„ „ № 2 (განზავ. წყალთან 1:3)	50
7	ეტალონად აღებული 30%-იანი თიოფოსის 0,1%-იანი ხსნარი	100
8	საკონტროლო (სუფთა წყალი)	10

მა. როგორც უკვე იყო აღნიშნული გამონაწვლილი № 2 წარმოადგენს სუფთა წყლიან გამონაწვლილს, რომელსაც სპირტი და საპონი მიმატებული არა აქვს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ № 2 გამონაწვლილის განზავება 1:1 იძლევა დადებით შედეგს. მსგავსად თიოფოსის ხსნარისა და განუზავებელი გამონაწვლილისა, მისი შესურება იწვევს ატმის ბუგრის 100%-ით სიკვდილიანობას.

გამონაწვლილების გამძლეობის შენახვას პირობებში ინსექტიციდური თვისებების შენარჩუნების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ შემდეგი ცდა. 8 ივლისის დამზადებული გამონაწვლილების ინსექტიციდური მოქმედების შესწავლის მიზნით ცდები გავიმეორეთ იგივე გამონაწვლილზე 15 ივლისს. ეტალონად ამ შემთხვევაშიც მივიღეთ 30%-იანი თიოფოსის 0,1%-იანი ხსნარი. შედეგები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

№№ რიგზე	აღრიცხვის შედეგები	სიკვდილიანობა %-ით
1	გამონაწვლილი № 1 (განუზავებელი)	73,1
2	„ „ № 1 (განზავ. წყალთან 1:1)	85,1
3	„ „ № 1 (განზავ. წყალთან 1:3)	11,3
4	„ „ № 2 (განუზავებელი)	41,2
5	„ „ № 2 (განზავ. წყალთან 1:1)	18,5
6	„ „ № 2 (განზავ. წყალთან 1:3)	17,4
7	ეტალონი 30%-იანი თიოფოსის 0,1%-იანი ხსნარი	100
8	საკონტროლო (სუფთა წყალი)	14,7

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ შენახვის დროს ინსექტიციდური თვისებების მხრივ მეტ გამძლეობას იჩენს გამონაწვლილი № 1.

ცდები ჩავატარეთ აგრეთვე ვაშლის ბურგზეც (*Aphis pomi* Deg). შედეგები მოყვანილია მე-4 ცხრილში. ეტალონად ავიღეთ 30%-იანი ანაბაზინსულფატის 0,2%-იანი ხსნარი. ცდები ჩავატარეთ 17 სექტემბერს. გამოსაკვლევად ავიღეთ 8 ივლისს მომზადებული № 1 და № 2 გამონაწვლილები.



ვაშლის ბუგრის (*Aphis pomi*) დაბალი სიკვდილიანობა, ე. ი. მემკვიდრეობით მონაწვლილების ნაკლებ ინსექტიციდურ მოქმედებას იწვევს გამონაწვლილებს საკმაოდ ხანგრძლივი შენახვის პერიოდიც (2 თვე). შენახვის ხანგრძლივი პერიოდი უარყოფით გავლენას ახდენს შხამას ინსექტიციდურ თვისებებზე.

ცხრილი 4

№№ რიგზე	აღრიცხვის შედეგები	სიკვდილიანობა %-ით
1	გამონაწვლილი № 1 (განუზავებელი)	51
2	„ „ (განზავ. წყლითან 1:1)	46
3	„ „ (განზავ. წყლითან 1:2)	40
4	„ „ (განზავ. წყლითან 1:3)	25
5	„ „ № 2 (განუზავებელი)	36
6	„ „ (განზავ. წყლითან 1:1)	29,2
7	„ „ (განზავ. წყლითან 1:2)	24,2
8	„ „ (განზავ. წყლითან 1:3)	15,5
9	ეტალონი 30%-იანი ანაბაზინსულფატის 0,2%-იანი ხსნარი	99,2
10	საკონტროლო (სუფთა წყალი)	12,7

ვაშლის ბუგრზე (*Aphis pomi*) შხამას გამონაწვლილების ინსექტიციდური მოქმედების გამოკვლევის მიზნით დავამზადეთ შხამას ახალი გამონაწვლილი აღნიშნული მეთოდით. გამონაწვლილს დაემატა სპირტი და თხიერი საპონი. ცდის შედეგები მოცემულია მე-5 ცხრილში. ეტალონად ამ შემთხვევაში ავიღეთ 30%-იანი ანაბაზინსულფატის 0,2%-იანი ხსნარი საპნის დამატებით.

ცხრილი 5

№№ რიგზე	აღრიცხვის შედეგები	სიკვდილიანობა %-ით
1	გამონაწვლილი № 1 (განუზავებელი)	75,6
2	„ „ (განზავ. წყლით 1:1)	68,6
3	„ „ (განზავ. წყლით 1:2)	53
4	„ „ (განზავ. წყლით 1:3)	33,2
5	ეტალონი 30%-იანი ანაბაზინსულფატის 0,2%-იანი ხსნარი	99,2
6	საკონტროლო (სუფთა წყალი)	12,7

უკეთესი შედეგები მივიღეთ ახლად დამზადებულ შხამას გამონაწვლილის მოქმედებით.

შევისწავლეთ აგრეთვე ბაშკიჩეთიდან მოტანილი შხამას ინსექტიციდური თვისებები. ნედლი შხამასაგან დავამზადეთ (სინესტე 30%) გამონაწვლილი № 1 ზემოთ აღნიშნული მეთოდით. აღნიშნული გამონაწვლილით ცდები ჩავატარეთ ატმის დიდ ბუგრზეც (*Pterochloroides persicae chlorodek*). ეტალონად ავიღეთ 30%-იანი ანაბაზინსულფატის 0,2%-იანი ხსნარი (საპნის დამატებით). ცდები ჩავატარეთ 1963 წლის 5 ოქტომბერს. შედეგები მოყვანილია მე-5 ცხრილში.

შხამას განუზავებელი გამონაწვლილის ინსექტიციდური მოქმედება ატმის დიდ ბუგრზე დადებითია. მისი მოქმედება თითქმის მსგავსია ეტალონად აღე-

ბული ანაბაზინსულფატის. შედარებით უფრო ნაკლებ ინსექტიციდურ მოქმედებას იჩენს გამონაწვლილის წყლით განზავებული ხსნარები.

ამრიგად, საქართველოს ზოგიერთ რაიონში მზარდი ინსექტიციდური თვისებების მქონე მცენარე შხამა (*Veratrum Lobelianum Bernh*) გამოვლინებული და მრავალჯერ შესწავლილია, როგორც წინა შრომებში ისე ამჟამადაც (მისი მოქმედება მცენარეთა მავნე დაავადებებზე და მავნე მწერებზე).

ცხრილი 6

№№ რიგზე	აღრიცხვის შედეგები	სიკვდილიანობა %-ით
1	გამონაწვლილი № 1 (განუზავებული)	90
2	„ „ (განზავ. წყალთან 1:1)	60
3	„ „ (განზავ. წყალთან 1:2)	55
4	„ „ (განზავ. წყალთან 1:3)	45
5	„ „ (განზავ. წყალთან 1:4)	30
6	ეტალონი 30%-იანი ანაბაზინსულფატის 0,2%-იანი ხსნარი	100
7	საკონტროლო (სუფთა წყალი)	5

გარდა ზემოაღნიშნული ცდებისა, შხამას გამონაწვლილის ინსექტიციდური თვისებების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ საორიენტაციო ცდა წიგნის მავნებლებზე. გამონაწვლილის შესხურებისთანავე წიგნის მავნებლები მოისპო. წიგნის მავნებლებზე ცდები ჩავატარეთ ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრაზე, დოც. ნ. ჯაშის ხელმძღვანელობით. მომავალში ამ მიმართულებით საჭიროა ცდების ჩატარება. დაავადებული მცენარეების მკურნალობასთან ერთად ვატარებდით ცდებს მცენარე შხამადან ალკალოიდების გამოწვლილვაზე. ალკალოიდების გამოსაწვლილვად გამოვიყენეთ როგორც ორგანული გამხსნელები, ასევე გამხსნელების ნარევი. ალკალოიდები გამოვყავით ფუძის სახით. ალკალოიდების გამოწვლილვას ვაწარმოებდით შემდეგი მეთოდით.

შხამას დაფხვიერებული ფესვებისა და ფესურების განსაზღვრული რაოდენობა 100—300 გრამამდე დავამუშავეთ 250—300 მლ 10%-იანი NH_4OH -ის ხსნარით. შემდეგ მას დავამატეთ გამხსნელი ან გამხსნელების ნარევი 750—900 მლ და დავაყოვნეთ 5 დღე, ხშირად შენჯღრევის პირობებში. ვაფილტვრისა და გამონაწვლილიდან გამხსნელების სრული მოცილების შემდეგ მივიღეთ მუქი მოყავისფრო-მოშავო ფხვნილი. გამოყოფილ ალკალოიდებს, შერეულს ფისოვან ნივთიერებებთან ერთად, ვასუფთავებდით ფრაქციული კრისტალიზაციით როგორც ორგანული გამხსნელებით, ისე გამხსნელების ნარევითაც. ამ მიზნით ვიყენებდით ეთერს, პეტროლეინის ეთერს, ბენზოლს, მეთილის სპირტს, ეთილის სპირტს, ეთერისა და ქლოროფორმის ნარევის და სხვ. მიღებული ნივთიერებების სისუფთავეს ვამოწმებდით ლლობის ტემპერატურით. კრისტალებს ფორმის დამადგენად ვსინჯავდით მიკროსკოპში. გამოყოფილი ალკალოიდის ემპირიული ფორმულის დადგენის მიზნით ჩავატარეთ ელემენტარული ანალიზი. შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს 1-ლი და მე-4 ცდის შედეგად მიღებული ალკალოიდების ელემენტარული ანალიზის მიხედვით შხამას გამონაწვლილიდან უნდა მივიღოთ იზომერული ალკალოიდები. განსხვავებული ლლობის ტემპერა-



ტურა იმის საფუძველს იძლევა, რომ 1-ელი და მე-4 ცდის შედეგად ნაპროდუქტის მიღებული ორი ერთნაირი ემპირიული ფორმულის მქონე ალკალოიდი, რომელთაც განსხვავებული ლობის ტემპერატურა ახასიათებს. ელემენტარული

ცხრილი 7

№№ რიგზე	ცდის №	შხამას რაოდენობა	გამხსნელების რაოდენობა	მიკროსკოპუ- ლი სურათი	ლობის ტემპერატურა	ელემენტარული ანალიზი
1	I	100 გ	500 მლ ეთერი, 250 მლ ქლოროფ.	ნემსისებ. კრისტ. ალაგ- ალაგ ვარს- კვლავისებრი	224—225°	C—70,23%; H—9,60% N—2,95%; O—19,23%
2	II	100 გ	750 მლ ქლო- როფორმი	წვრილი ნემ- სისებრი კრი- სტალები.	225°	C—68,59%; H—9,35% N—3,11%; O—18,95%
3	III	100 გ	750 მლ ეთე- რი, 250 მლ ქლოროფორმი	„	225—227°	
4	IV	100 გ	600 მლ ქლო- როფორმი, 200 მლ ეთერი	ნემსისებრი კრისტალები შეკრული მა- რათსმაგვარ კონებად	218°	C—70,67%; H—9,71% N—2,25%; O—17,36%

ანალიზის საფუძველზე გამოყვანილი ემპირიული ფორმულა არ ეთანხმება შხამაში შემავალი ალკალოიდების ემპირიულ ფორმულას.

აღნიშნული მეთოდით ალკალოიდების გამოყოფა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ამ დროს ალკალოიდებთან ერთად გამოიწვლილება ფისოვანი ნივთიერებები დიდი რაოდენობით, რის გამოც ალკალოიდების გასუფთავება ძნელდება. ფისოვანი ნივთიერებებისაგან გასუფთავების მიზნით, მრავალჯერ გადაკრისტალების შედეგად გამოყოფილი ალკალოიდების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, რაც აბრკოლებს მის შესწავლას. ამიტომ ფისოვანი ნივთიერებების მოშორების მიზნით შხამადან ალკალოიდების გამოწვლილის მეთოდი მცირედ შევცვალეთ. შხამა (300 გ) წინასწარ დავამუშავეთ განზავებული ლვინის მჟავას 3%-იანი ხსნარით (750 მლ), რითაც ალკალოიდები გადავიყვანეთ მარილების სახით, ხოლო ფისოვანი ნივთიერება გამოწვლილეთ ეთერით (850 მლ) და ბენზოლით (850 მლ). გამხსნელების მოშორებისა და ჰაერზე შხამას გაშრობის შემდეგ დავამატეთ 300 მლ 10%-იანი NH_4OH -ის ხსნარი და ალკალოიდები პირველ შემთხვევაში გამოწვლილეთ ქლოროფორმით (600 მლ), ხოლო მეორე შემთხვევაში—ბენზოლით (400 მლ). ამ მეთოდით მიღებული გამოწვლილი შედარებით ღია ფერის იყო (განსაკუთრებით ბენზოლის გამოწვლილი) და გამხსნელების შემდეგ, ნაცვლად მოშავო-მოყავისფერო ფხვნილისა, მივიღეთ მოყავისფერო ყვითელი ფხვნილი, რომლისგანაც ალკალოიდების გამოყოფა სუფთა სახით შედარებით ადვილი გახდა. განსაკუთრებით ადვილად გასუფთავდა ბენზოლის გამოწვლილისაგან მიღებული ალკალოიდები. აბსოლუტური ეთილის სპირტში რამდენჯერმე გადაკრისტალების შემდეგ მივიღეთ ბრწყვიალა ნემსისებრი კრისტალები 225—226° ლობის ტემ-

პერატურით. ელემენტარული ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა: C—9,76%, N—3,44%, O—16,40%.

მოყვანილ მეთოდში შევიტანეთ მცირე ცვლილება. შხამა დამუშავებულ იქნა ნაცვლად ღვინის მჟავასა, მარილმჟავას 3%-იანი ხსნარით, რითაც ალკალოიდები გადაეიყვანეთ მარილების სახით. ფისოვანი ნივთიერება გამოვწვ-



სურ. 1. (100-ჯერ გადიდებით).

ლილეთ ბენზოლით. ბენზოლის მოშორებისა და შხამის ჰაერზე გაშრობის შემდეგ დამუშავდა 10% NH_4OH -ის ხსნარით და ალკალოიდები გამოვწვლილეთ ბენზოლით. ბენზოლის მოშორების შემდეგ დარჩა 20—25 მლ ხსნარი. დაყოვნებისას გამოიყო თეთრი ფერის ნალექი. გაფილტვრისა და აბსოლუტური ეთილის სპირტში გადაკრისტალების შემდეგ მივიღეთ ბრწყვიალა ნემსისებრი კრისტალები 225—226° ლ. ტემპ.: ელემენტარული ანალიზით: C—69,49%; H—8,94%; N—3,44%; O—18,13%. ფილტრატის დაყოვნების შემდეგ კვლავ გამოიყო ოდნავ მოყვითალო ფერის ნალექი, რომლის გადაკრისტალების შემდეგ მივიღეთ კრისტალური ნივთიერება 145—146° ლ. ტემპ., რომლის ელემენტარული ანალიზი შემდეგია: C—66,42%;


H—10,28%; N—2,55%; O—20,75%.

225—226° ლ. ტემპ. მქონე კრისტალების მიკროსკოპული სურათი სხვადასხვა გადიდებით მოცემულია 1, 2, 3 სურათებზე.

შხამადან ალკალოიდების მეტი რაოდენობით მიღების მიზნით ალკალოიდების გამოსაწვლილად გამოვიყენეთ პერკოლაციის მეთოდი. შხამის დაფხვიერებული ფესვებისა და ფესურების 500-500 გრამი დავამუშავეთ NH_4OH -ის 10%-იანი ხსნარით. შემდეგ ალკალოიდები გამოვწვლილეთ ბენზოლის მოშორების შემდეგ მივიღეთ ყვითელი ფერის ფხვნილი, რომლის აბსოლუტური ეთილის სპირტში მრავალჯერ გადაკრისტალების შემდეგ გამოიყო



სურ. 2. (300-ჯერ გადილებით).



სურ. 3. (400-ჯერ გადილებით).



კრისტალური ნივთიერება 225° ლ. ტემპ., ელემენტარული ანალიზის მონაცემებით
 გად მივიღეთ: C—71,24%; H—9,43%; N—3,39%; O—15,94%.

შხამადან ალკალოიდების გამოყოფა წარმოებდა სხვა მეთოდებითაც. მაგალითად, დაფხვიერებულ შხამს ფესვებისა და ფესურების NH_4OH -ის ხსნარით დამუშავებისა და ეთერით ალკალოიდების გამოწვლილის შემდეგ ფისოვანი ნივთიერებების მოშორების მიზნით, ეთერის გამონაწვლილი დავამუშავეთ მარილმჟავას 5%-იანი ხსნარით რამდენჯერმე. შემჟავებულ გამონაწვლილზე ამონიუმის ტუტის (ტუტე რეაქციამდე) დამატების შემდეგ ალკალოიდები გამოვწვლილეთ ეთერით ალკალოიდების უარყოფით რეაქციამდე. ეთერის გამონაწვლილიდან ეთერის მოშორების შემდეგ მიღებული მყარი ნივთიერების რამდენჯერმე გადაკრისტალების შედეგად მივიღეთ კრისტალური ნივთიერება $140-142^{\circ}$ ლ. ტემპ. ელემენტარული ანალიზის შედეგად მივიღეთ C—70,15%; H—10,19%; N—3,09%; O—16,57%.

შხამას დაფხვიერებული ფესვები და ფესურები 200 გრ. რაოდენობით დავამუშავეთ 500 მლ NaOH -ის 5% ხსნარით. შემდეგ დავუმატეთ 300 მლ ეთერისა და 150 მლ ქლოროფორმის ნარევი და დავაყოვნეთ რამდენიმე დღის განმავლობაში. ბამბაში გამონაწვლილის გაწურვის შემდეგ დარჩენილ მასას ორჯერ გამოვავლეთ ეთერისა და ქლოროფორმის ნარევი, შეერთებული გამონაწვლილიდან გამხსნელების გამოხდის შემდეგ მივიღეთ სიროპისმაგვარი სითხე, რომელიც გამოვწვლილეთ ძმარმჟავათი. მიღებული გამონაწვლილი დავამუშავეთ მეტაფოსფორის მჟავათი. შემდეგ დავუმატეთ NH_4OH -ის 16% ხსნარი. გამოიყო ნალექი. ვაფილტვრისა და მიღებული ნალექის აბსოლუტური ეთილის სპირტში გადაკრისტალების შემდეგ მიკროსკოპულმა გასინჯვამ გვიჩვენა ნემსისებრი კრისტალები 233° ლ. ტემპ. ელემენტარული ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა C—69,45%; H—9,37%; N—2,62%; O—18,7%.

ფილტრატი გამოვწვლილეთ ეთერით, რომლისგანაც გამოიყო ნალექი. აბსოლუტურ ეთილის სპირტში გადაკრისტალების შემდეგ მივიღეთ სუფთა ნივთიერება, რომლის მიკროსკოპულმა გასინჯვამ გვიჩვენა, მარაოსებრად განლაგებული ნემსისებრი კრისტალების $255-257^{\circ}$ ლობის ტემპერატურა.

დასკვებები

1. შესწავლილია საქართველოში მზარდი მცენარე—შხამას სახეობა (*Veratrum Lobelianum Bernh.*), მცენარის მავნე მწერებსა და დაავადებებზე ინსექტიციდური მოქმედების შესწავლის მიზნით.

2. საკვლევ ობიექტებს წარმოადგენდა ბაკურიანისა და ბაშკიჩეთის მიდამოებში მოკრეფილი შხამა, მისი ფესვები და ფესურები.

3. შემუშავებულია *Veratrum Lobelianum*-ისაგან გამონაწვლილის მიღების მეთოდები და გამოსაცდელად გამოყენებულია წყლიანი გამონაწვლილი როგორც ეკონომიურად უფრო გამოსადეგი.

4. დაკვირვების ობიექტებად გამოყენებულია თსუ ყვავილების სათბუროდან მიღებული და მწერებისაგან დაზიანებული მცენარეები, აგრეთვე ის მცენარეთა მავნებლები, რომელთა გამოცდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში მიმდინარეობდა.

5. შხამას წყლიანი გამონაწვლილის შესტურებამ მოსპო ზღვისპირა ფქვილისებრ ცრუფარიანებზე სიკვდილიანობამ 90—100%—ს მიღწია, ასევე ატმის ბუგრზე—65—100%—ს, ვაშლის ბუგრზე—76,6%, ატმის დიდ ბუგრზე—90%—ს. ასევე დამაკმაყოფილებელი შედეგი უჩვენა სოფ. რველში მიჩურინელ გ. თაქთაქიშვილის ხილის ნაკვეთზე ჩატარებულმა დაკვირვებამ— მოსპო ვაშლის, ატმისა და სხვა ხილის ხეების მავნებლები.

6. შხამადან ალკალოიდთა ფუძეების გამოსაყოფად ფესვები და ფესურები დამუშავებულია სხვადასხვა ორგანული გამხსნელებითა და მათი ნარევით. საბოლოოდ გამოყოფილია რამდენიმე ალკალოიდის ფუძე სუფთა სახით, დადგენილია მათი ლღობის ტემპერატურა, მიკროსკოპული გასინჯვით კრისტალური ფორმა და ზოგიერთისათვის ჩატარებულია ელემენტარული ანალიზი.

7. შესაძლებლად მიგვაჩნია *Veratrum Lobelianum*-ის წყლიანი გამონაწვლილის გამოყენება ყვავილების საბუტრებში—მცენარეთა მავნებლების მოსასპობად.

ლიტერატურა

1. А. Н. Орехов—Химия алкалоидов, Изд. АН СССР, 1955.
2. Г. А. Генри—Химия растительных алкалоидов, Госхимиздат, 1956.
3. В. С. Соколов—Алкалоидоносные растения, Изд. АН СССР, 1952.
4. Н. М. Туркевич—Химия новых гипотенсивных средств, Медгиз, 1961.
5. Н. Надеч—Руководство к фармацевтической и медико-химической практике, т. 5, 1895.
6. А. Л. Ефимов—Краткий справочник для применения ядов для борьбы с вредителями и болезнями растений, Сельхозиздат, 1959.
7. Химические средства защиты растений, Сбор. № 1, 1956.
8. Я. А. Фиалков—Методы исследования лекарственных веществ, Медгиз, 1946.
9. Государственная фармакопия СССР, 1961.
10. Реферативный журнал химии, 1960, 1961, 1962.
11. მ. მაყაშვილი—ბოტანიკური ლექსიკონი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.
12. საქართველოს ფლორა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“, ტ. II, 1941.

ორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიღა რედაქციაში 12.I.1966 წ.).

Н. С. ЦИЦИШВИЛИ, Г. И. ЦИЦИШВИЛИ,
Т. Н. КИФАРЕНКО, Г. Ш. ГЛОНТИ, Д. М. ЦАКАДЗЕ

ИССЛЕДОВАНИЕ НЕКОТОРЫХ РАСТЕНИЙ (*Veratrum Lobelianum* Bernh) ГРУЗИИ НА ИНСЕКТИЦИДНОСТЬ Резюме

Различные виды вредителей сельскохозяйственных культур, а также других растений наносят большой вред урожаю, снижая как качественную, так и количественную его стороны. Поэтому борьба с вредителями растений представляет одну из важнейших задач, стоящих перед сельским хо-

зайством. Среди способов борьбы с вредителями заслуживает внимания способ, направленный к изучению алкалоидоносных растений. Авторами данной работы с этой целью изучено алкалоидоносное растение—один из видов чемерицы (*Veratrum Lobelianum* Bernh), в большом количестве произрастающее в пределах Грузии. Объектом исследования служили образцы, собранные осенью в окрестностях Бакуриани, Башкичети.

В основном изучались инсектицидные свойства корня и корневища чемерицы, приготовлялись вытяжки с различными растворителями, из которых водная вытяжка, как более доступная и экономичная, подвергалась испытанию на токсичность. Базой для наблюдения использована цветочная оранжерея ТГУ с находящимися в ней пострадавшими от вредителей растениями, а также индивидуальный фруктовый участок мичуринца Г. Тактакишвили в селе Рвели. Кроме того испытания изготовленной нами водной вытяжки проводились в лабораторных условиях в Институте защиты растений от вредителей. Предварительные результаты проведенных наблюдений дали удовлетворительный результат. Опрыскиванием пострадавших растений были уничтожены некоторые виды вредителей. Параллельно с этими наблюдениями проводились химические исследования чемерицы Лобеля. Установлен основной химический состав, общее количество входящих в нее алкалоидов. Извлечено несколько оснований алкалоидов, определен их элементарный состав, для каждого из них найдена точка плавления.

На основании проведенных исследований авторы данной работы считают возможным рекомендовать водную вытяжку чемерицы Лобеля (корней и корневища) для опрыскивания растений в цветочных теплицах.

ბ. ციციშვილი, თ. კივარჯიანი, ბ. ციციშვილი,
ზ. ტაბიძე, გ. ლონტი, თ. ბუნცაძე

საქართველოს ზოგირითი პენტიკონსერვაციული მხარეაქტიური ნაღებებისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენი პროდუქტთა გამოყენება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაისის პლენუმმა დასახა ქიმიური მრეწველობისა და კერძოდ ორგანული სინთეზის დაჩქარებული განვითარების გრანდიოზული ამოცანა, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი ნაერთების მიღებას, რომელიც აუცილებელია სახალხო მეურნეობის, ტექნიკის პროგრესისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ნავთობის, ბუნებრივი გაზებისა და კოქს-ქიმიურ ნაწარმთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა პენტონსერვაციული მდიდარ ბუნებრივ ნედლეულსაც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად წყაროს ფურფუროლის მისაღებად, რომელიც თავის მხრივ საუკეთესო ნედლეულია სინთეზური ბოჭკოების, პლასტმასების, სამკურნალო პრეპარატების, სინთეზური ფისებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მისაღებად.

ქიმიური მრეწველობის განვითარების 7-წლიან გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფურფუროლის წარმოების განვითარებას. საბჭოთა კავშირში 1965 წლის ბოლოსათვის დაგეგმილი იყო ფურფუროლის გაზრდა 20-ჯერ 1958 წელთან შედარებით, რაც 50 000 ტონას შეადგენს. ამ ამოცანის განსახორციელებლად დაისახა ახალი პირობიზური ფურფუროლის ქარხნების აგება, რომელთა ნედლეული იქნება გამოუყენებელი ტყის მასალა, მათი გადამუშავების პროდუქტები, სოფლის მეურნეობის ნარჩენი პროდუქტები და სხვა, ყოველივე ეს მოითხოვს გაფართოვდეს კვლევა-ძიება ფურფუროლით მდიდარი ნედლეულის აღმოსაჩენად.

საქართველოს სსრ თავისი მაღალგანვითარებული და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობით, მდიდარი ტყეებით ამ მხრივ შეუსწავლელია და დიდ ინტერესს იწვევს. ამ შრომის ავტორებმა—ორგანული ქიმიის კათედრის თანამშრომლებმა—მიზნად დაისახეს ამ ხარვეზის ნაწილობრივი შეესება.

ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილია მრავალი პენტონსერვაციული ნედლეული: წიწვიანი და ფოთლოვანი ტყის მერქანი და ფოთოლი, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი მცენარეული ობიექტი და მათი გადამუშავების ნარჩენი პროდუქტები. ყველა შესწავლილ მასალაში დავადგინეთ პენტონსერვაციული პროცენტული შედგენილობა, პენტონისა და ფურფუროლის გამოსავალი. განსაზღვრა წარმოებდა ტოლენის მეთოდითა და კრებერის ცხრილის გამოყენებით.

ბით. მიღებული შედეგები გადანაგარიშებულია აბსოლუტურად მოცემულია ცხრილებით.

საანალიზო ნიმუშები მიღებული იყო: საბჭოთა მეურნეობებიდან, სელექციური სადგურიდან, სატყეო ინსტიტუტიდან, სას. სამ. ინსტიტუტის ტყის ტექნოლოგიის კათედრიდან, სატყეო მეურნეობების ექსპლოატაციისა და ეკონომიკის ორგანიზაციებიდან, ნაკრძალებიდან, ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან და სხვა ადგილებიდან. ზოგიერთი წიწვიანი ხის მერქნის გამოკვლევები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

წიწვიანი ჯგუფის სამი ჯიშის: ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის 7 ნიმუშში ნაპოვნია პენტოზანების პროცენტული რაოდენობა და დადგენილია ფურფუროლის გამოსავალი. მათში პენტოზანების რაოდენობა მერყეობს 14,28—9,80% შორის, ფურფუროლის კი — 8,30—5,71%. 7 ნიმუშისათვის საშუალოდ პენტოზანებია 11,64%, ფურფუროლი კი — 6,75%. სხვადასხვა ადგილში მზარდი ფიჭვის 5 ნიმუშში პენტოზანების საშუალო რაოდენობაა 11,92%, ფურფუროლი კი — 6,94%; ნაძვის 2 ნიმუშში პენტოზანებია 12,11%, ფურფუროლი კი — 7,07%; სოჭისათვის 9,80% პენტოზანებია, 5,70% კი — ფურფუროლი; ამ სამი ციფრის ურთიერთშედარებით პენტოზანების შემცველობის მხრივ შემდეგი თანამიმდევრობაა: ნაძვი, ფიჭვი, სოჭი. შესწავლილ ნიმუშებში ზოგიერთი შედეგები ემთხვევა სხვა ავტორთა მონაცემებს, ზოგიერთი კი განსხვავდება, რაც აიხსნება ბუნებრივ ფაქტორთა გავლენით. მაგ., ფიჭვისათვის ნ. ნიკიტინი გვაძლევს 11,20% (ლენინგრადის ოლქში), პ. შორიგინი მიუთითებს 11,60% ხოლო ა. შური — 5,26%. ჩვენ მიერ მიღებული საშუალო 11,64%-ია.

ცხრილი 1

№№ რიგზე	მცენარის სახელწოდება	ნიმუშის აღების ადგილი.	პენტოზანები %-ით	ფურფუროლი %-ით	აღმოცენების ადგილი და წლოვანება
1	ფიჭვი	დიღუბის სახერხი ქარხანა	11,27	6,57	
2	"	"	11,65	6,75	
3	"	სასოფ. სამ. ინსტ. მეტყ. კათ.	10,81	8,30	
4	"	გორის რაიონი (ბოშური)	16,38	9,45	ძირითადი ნაწილი
	"	ჩრდილო ფერდობი (65 წლის)	14,05	8,18	შუა ნაწილი
	"	"	12,41	7,29	კანი
5	"	სამხრეთის ფერდობი	13,07	7,66	ძირითადი ნაწილი
	"	"	10,14	5,93	შუა ნაწილი
		საშუალო 5 ნიმუშისათვის	11,92	6,94	
6	ნაძვი	დიღუბის სახერხი ქარხანა	9,77	5,66	ბორჯომი
	"	სას. სამ. ინსტ. მეტყ. კათ.	14,45	8,48	"
7	სოჭი	დიღუბის სახერხი ქარხანა	9,80	5,71	"
		საშუალო 7 ნიმუშისათვის	11,64	6,79	

პ. კომაროვმა, იაკოვლევმა და ნ. ნიკიტინმა თანამშრომლებთან ერთად სიმაღლის მიხედვით ნიმუშის სხვადასხვა ნაწილის რაოდენობრივი შედგენი

ლობის შესწავლის შემდეგ, იპოვეს უმნიშვნელო სხვაობა, რაც შეიძლება გილმდებარეობის ფაქტორს და წლოვანებას, მათ შესახებ ლიტერატურული მონაცემები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ჩვენ შევამჩნიეთ გეოგრაფიული ფაქტორისა და ხის სიმაღლის გავლენა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, რომ ერთსა და იმავე წლოვანების (სახელდობრ, 65 წლის) ფიჭვი, რომელიც ბოშურში (გორის რაიონი) სხვადასხვა ფერდობებზე იზრდებოდა, შეიცავდა პენტოზანების სხვადასხვა რაოდენობას. ასევე, ფიჭვის ხის ძირა ნაწილი (ჩრ. ფერდობზე მზარდი) შეიცავს მეტ პენტოზანებს, ვიდრე სამხ. ფერდობის ფიჭვი (სახელდობრ, 16,38% ჩრდილოეთის, ხოლო 13,07% სამხრეთის); ანალოგიურ სურათს აქვს ადგილი ხის ტანის სხვადასხვა ნაწილის შედარების დროსაც. ხის შუა ნაწილი ჩრდილოეთ ფერდობზე შეიცავს 14,05%, სამხ. ფერდობზე — 10,14%. საერთოდ კი ხის ტანის ძირითადი ნაწილი უფრო მდიდარია პენტოზანებით, ვიდრე შუა ნაწილი, რაც არ არის მოკლებული პრაქტიკულ მნიშვნელობას.

მე-2 ცხრილი მოიცავს ფოთლოვანი ჯიშის ხეების შემცველ მასალას. ფოთლოვანი ჯიშიდან შესწავლილია სულ 27 ნიმუში, აქედან 4 თელა და 2 მუხა, დანარჩენებიდან კი — თითო ნიმუში. ფოთლოვანთა საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 22,22% პენტოზანს და 13,37% ფურფუროლს. წიწვოვანთა საშუალო მაჩვენებელია 11,64% პენტ. და 6,79% ფურფ. წიწვოვანთა და ფოთლოვანთა შედარების დროს ჩანს, რომ ფოთლოვანი ჯიში შეიცავს პენტოზანების ორჯერ მეტ რაოდენობას, რაც ემთხვევა სხვა მკვლევართა მონაცემებს. ფოთლოვანთათვის პენტოზანების პროცენტული შედგენილობა მერყეობს 28,26% (რცხილა) — 8,64% (კრიმპტომერია) ფარგლებში, ფურფუროლი კი — 16,53 — 4,80% შორის. ცალკეული წარმომადგენლებიდან დიდი რაოდენობის პენტოზანებით ხასიათდება: რცხილა — 28,25%, დაფნა — 27,07%, არყის ხე — 26,68%, თხმელა — 25,60%, წიფელი 25%, მუხა — 22,80%.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა აზრით წყავი, რომელიც შეიცავს 22,64% პენტ. და 12,61% ფურფ., ასევე შქერი, რომელიც შეიცავს 21,72% პენტ. და 12,61% ფურფ., აზიანებს ტყეებს, მათი შენასხლავი ტოტები კი რამდენიმე მილიონ ტონას შეადგენს.

ცხრილი 2

№ ნიმუში	ნიმუშის დასახელება	ნიმუშის აღების ადგილი	პენტოზანები %-ით	ფურფუროლი %-ით
1	მუხა	სასოფლ. სამეურნეო ისტ. მეტყ. კათედრა	22,80	13,34
		კახეთი (თელავი)	22,53	12,67
2	თელა	სასოფლ. სამეურნ. ინსტ. მეტყ. კათედრა	19,05	11,51
		"	19,74	11,54
3	არყის ხე	შეშისავან	22,89	12,79
		კახეთი (თელავი)	21,54	12,24
4	თხმელა	დიღობის ტყის ქარხანა	23,64	12,25
		სასოფლ. სამეურნ. ინსტ. მეტყ. კათედრა	23,95	13,95
5	აკაცია	კახეთი (გურჯაანი)	25,62	14,80
		სასოფლ. სამეურნ. ინსტ. მეტყ. კათედრა	21,65	13,21
6	არყის ხე	კახეთი	26,68	15,51
		გომბორი	25,00	14,48
7	წიფელი			

საქართველო

№№ რიგზე	ნიმუშის დასახელება	ნიმუშის აღების ადგილი	პენტოზანები	ფურფუროლი
			%-ით	%-ით
8	იფანი	შეშისაგან	22,52	13,23
9	რცხილა	"	28,25	16,53
10	"	კახეთი (გურჯაანი)	25,57	14,79
11	ნეკერჩხალი	კახეთი (ლაგოდეხი)	24,45	15,08
12	კრიოტომერია	სასოფლ. სამეურნ. ინსტ. მეტყ. კათედრა	8,64	4,80
13	პანტა მსხალი	კახეთი (უჯარმა)	25,48	14,82
14	კრიოტომერის გული	სასოფ. სამეურნ. ინსტ. მეტყ. კათედრა	13,70	7,90
15	ტირიფი	"	15,93	7,80
16	მეკალიბტი	"	18,35	10,72
17	კვიპაროსი	"	13,49	6,91
18	კატალბა	"	21,30	12,58
19	იელი	სამტრედიის რ. (ნიგოზღვა)	18,04	10,65
20	დაფნა	"	27,07	15,89
21	წყვი	"	22,64	13,24
22	შქერი	"	22,12	12,61
23	ტულფანის ხე	სასოფ. სამეურნ. ინსტ. მეტყ. კათედრა	23,09	13,99
24	ვერხვი	"	19,07	11,99
25	" ბალზამის	"	14,25	8,09
26	ცაცხვი	"	16,21	9,45
27	კაკლის ხე	"	20,10	11,66
საშუალო 27 ნიმუშისათვის			22,22	13,37

ჩვენი აზრით ამ მასალათა გამოყენება მოიტანს ორმაგ სარგებლობას: გაიწმინდება ტყე და მათგან შეიძლება დიდი რაოდენობა ფურფუროლის მიღება. ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას.

შევისწავლეთ სხვადასხვა ხის ჯიშის ფოთოლი: ცაცხვის, თუთის ხის, იაპონიის საფორას, თეთრი აკაციის, პირამიდული ალვის ხის, შავი კაკლის, გარგარის, ქალაღის ხის და ბროწეულის. აღნიშნულ ჯიშებში პენტოზანების რაოდენობა აღწევს 18,3—7,5%, ფურფუროლის გამოსავალი კი 10,2—3,9%. ფოთლის ნიმუშები შეკრებილია თსუ-ის ბაღში. შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

№№ რიგზე	ნიმუშის დასახელება	ნიმუშის ადგილი	პენტოზანები %-ით	ფურფუროლი %-ით	ხის ასაკი
1	ცაცხვი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღი	18,3	10,2	40—50 წლის
2	თუთის ხე		8,2	4,7	
3	იფანი		8,2	4,7	
4	იაპონური საფორა		12,8	7,5	
5	თეთრი აკაცია		13,6	5,9	
6	ქალაღი		8,6	4,9	
7	ალვის ხე (პირამიდა)		10,5	6,9	
8	შავი კაკლის ხე		7,5	3,9	
9	ქალაღის ხე		10,7	6,3	
10	ჭერამი		13,7	7,9	
11	ბროწეული		10,2	5,9	
საშუალო 11 ნიმუშისათვის			11,0	6,25	

შესწავლილი 11 ნიმუშიდან ყველაზე მდიდარი პენტოზანებით ფუროლის გამოსავლით გამოირჩევა ცაცხვის ფოთოლი (18,3% პენტ. და 10,2% ფურფ.)); ფურფუროლით ღარიბია შავი კაკალი (7,5% პენტ. და 3,9% ფურფ.). ჩინარის, იფანისა და თუთის ხის ფოთლების შედგენილობა ახლოს დგას ერთმანეთთან: 8,6% პენტ., 8,2% პენტ. მსგავს შედგენილობას ამჟღავნებს აგრეთვე ქალაღის ხის, ალვის ხის და ბროწეულის ფოთლები, რომლებიც შეიცავს: პენტ. 10,7%, 10,5%, 10,2%. ამ 11 ნიმუშის საშუალო იქნება: პენტ. 11,0%, ფურფ. კი—6,25%, რომლებიც თავიანთი მაჩვენებლებით ახლოს დგას წიწვიან მცენარეებთან.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ნარჩენების გადამუშავების შედეგად ფურფუროლის წარმოებისათვის პრაქტიკაში, როგორც საუკეთესო ნედლეული, გამოიყენება: სიმინდის ნაქუჩი, მუსესუმზირა და ბამბის ჩენჩო.

შევისწავლეთ 5 ჯიშის სიმინდის ნაქუჩი, მათგან 4 ქართული ჯიშის, ერთი ევროპული (ჩრდილო დაკოტა), ქართული კრუგი, აჯამეთის თეთრი, იმერული ჰიბრიდი და სტერლინგი. შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

№№ რიგზე	ჯ ი შ ი	ნიმუშის აღივლი	პენტოზანები %-ით	ფურფუროლი %-ით
1	ქართული კრუგი	ნატახტარის სასელექციო სადგური	41,02	24,11
2	"	"	38,47	22,56
3	"	"	37,96	22,44
4	"	"	44,52	25,64
5	აჯამეთის თეთრი	ძირაგეული, ბათუმი	42,64	24,97
6	"	"	43,03	25,17
7	იმერული ჰიბრიდი	ქართული „სოფნოზი“	35,23	20,56
8	სტერლინგი	"	36,42	21,64
9	ჩრდილო დაკოტა	"	41,06	23,99
		ს ა შ უ ა ლ ო	39,81	23,09
10	იმერული ყვითელი	ვანის რაიონი (ჭყვიში)	29,33	17,10
11	ნაქუჩი	კახეთი (კაჭრეთის რ-ნი)	24,99	14,75
12	სიმინდის ფოთოლი	"	21,92	12,51
13	ღეროს შუა გული	"	27,90	16,56
14	სიმინდის ფოჩვი	"	33,41	19,52

მე-4 ცხრილში მოცემული მასალებიდან ჩანს, რომ კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება აჯამეთის თეთრის ორი ნიმუში. მათში პენტოზანების რაოდენობა აღწევს 43,03% და 42,64%-ს, ფურფუროლის გამოსავალი კი 25,17% და 24,97%-ს. 4 ნიმუშ ქართულ კრუგში, რომელიც მიღებულია ნატახტარის სასელექციო სადგურიდან, პენტოზანების რაოდენობაა 40,49% და ფურფუროლის—23,68%. რაც შეეხება ჯიშ სტერლინგს მასში პენტოზანები არის 36,42%, ფურფუროლი კი—21,64%, იმერულ ჰიბრიდში—35,23% პენტოზანი, 20,55% ფურფუროლი. აქედან ჯიშ სტერლინგის გარეშე საშუალო—40,49% პენტ. და 23,67% ფურფ., სტერლინგის ჩათვლით კი—39,81% პენტ. 23,08% ფურფ. ა. შურის შედეგების მიხედვით სიმინდის ნაქუჩში პენტ. რაოდენობა 30—40%-ია.

ჩვენი შედეგები ახლოსაა მაქსიმუმთან, რაც მიუთითებს აღებულ პენტოზანების საუკეთესო ხარისხზე. გარდა სიმინდის ნაჭურისა ჩვენ მიერ შესწავლილი იყო პენტოზანების შემცველობის მხრივ ფოჩვი და ღეროს შეგთავსი (რბილი გული). იმერული ჯიშის ჰიბრიდისათვის მიღებულია შემდეგი: პენტოზანებით და ფურფუროლით მიღებია ფოჩვი (33,41% პენტ., 19,51% ფურფ.), მას მოყვება გული (27,90% პენტ. და 16,56% ფურფ.), შემდეგ კი — ფურჩვი (24,99% პენტ. და 14,75% ფურფ.), ყველაზე ღარიბი აღმოჩნდა სიმინდის ფოთოლი (21,92% პენტ., 12,51% ფურფუროლი).

პენტოზანების შემცველობის მხრივ შესწავლილია შემდეგი ნაყოფის ნაჭურები: თხილის, ნუშის და კაკლის. ეს ნიმუშები მიღებული იყო დასავლეთ საქართველოდან. სულ შესწავლილია 22 ნიმუში, მათგან 10 კაკლის, 6 ნუშის, 6 თხილის. პენტოზანებისა და ფურფუროლის პროცენტული შემცველობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ნუშის ნაჭურს, რომელშიც პენტ. რაოდენობაა 31,3—32,06%, ფურფ. — 19,8—18,7%. 6 ნიმუშისათვის საშუალო — 35,5% პენტ., 19,40% ფურფ. მეორე ადგილზე დგას კაკლის ნაჭურში, რომელშიც პენტოზანების პროცენტული რაოდენობაა 28,00—17,9%, ფურფ. კი — 16,3—10,5%. საშუალოდ 10 ნიმუშისათვის პენტ. 24,16%, ფურფუროლი 14,3%.

თხილის ნაჭურში პენტოზანების რაოდენობაა 25,7—16,2%, ფურფუროლის — 15,0—9,4%, საშუალოდ 21,6% პენტოზანები, 12,75% ფურფუროლი.

ცხრილი 5

№№	სახეწოდება	ნიმუშის აღების ადგილი	პენტოზანები %	ფურფუროლი %	დახასიათება
1	კაკალი	კახეთი (თელავი)	17,9	10,5	თხელკანიანი
2		ქარელის რაიონი	19,4	11,7	"
3		საშ. ოსეთის ახსრ	24,5	14,3	საშ. სიმკვრივის კანით
4		ქარელის რაიონი	24,9	15,3	სქელკანიანი
5		ბაზარზე შექნილი	26,3	16,0	"
6		კასპის რაიონი	26,1	15,9	"
7		სოფ. ხოვლე (გორის რ.)	28,0	16,3	"
8		ბოლნისის რაიონი	25,1	14,6	თხელკანიანი
9		ბაზარზე შექნილი	24,9	14,5	"
10		"	"	24,5	14,3
		საშუალო	24,16	14,3	
1	ნუში	ღუშეთის რაიონი	33,4	19,5	სქელკანიანი
2		კუმისის (სამგორის რ.)	36,1	19,8	"
3		სოფ. ნანიანი (გურჯაანის რ.)	32,5	19,9	"
4		ბაზარზე შექნილი	32,0	18,7	"
5		"	33,8	19,1	"
6		"	33,0	19,3	"
		საშუალო	33,5	19,4	
1	თხილი	ზაქათალი	24,7	14,5	"
2		სოფ. ალვანი (თელავის რ.)	16,2	9,4	"
3		კახეთი	17,3	10,1	"
4		ქარდანახი (გურჯაანის რ.)	25,2	14,7	"
5		სოფ. წკარლაკო	21,9	12,8	თხელკანიანი
6		ბაზარზე შექნილი	25,7	15,0	"
		საშუალო	21,6	12,75	

ნაჭუქის გამოსავალი (%-ით) ნუში — 78,92
 თხილი — 53,01
 კაკალი — 31,66

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით ნედლეულის ეს სახე (ნაჭუქი) პენტოზანების სიმდიდრისა და ფურფუროლის გამოსავალის მხრივ დიდ ყურადღებას იქცევს, ასევე—მისი მარაგის მხრივაც. ნაჭუქის გამოსავალი (%-ით) ასეთია: ნუში 78,92%, თხილი 53,01%, კაკალი 31,66%.

მიღებული შედეგები მოცემულია მე-5 ცხრილში.

განსაკუთრებით საყურადღებოა მევენახეობისა და მეღვინეობის ნარჩენი პროდუქტები, რომლითაც მიიღარია საქართველოს სსრ. როგორც ცნობილია გაზაფხულზე ვაზის გასხვლა ტარდება საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობისა და აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთებზე. ჩვეულებრივ, ნასხლავებს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს საწვავ მასალად. ჩვენ მიზნად დავისახეთ ნასხლავის შესწავლა პენტოზანების სიმდიდრისა და ფურფუროლის გამოსავალის მხრივ. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა 12 ჯიშის ვაზის ლერწი, რომელიც მივიღეთ დიღომის საბჭოთა მეურნეობიდან. ლერწებიდან იყო: რქაწითელი, საფერავი, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, განჯური, ბუდემური, ნომრანგი, შავთითა, ხარისთვალა, კარდანახი, გორული.

აღნიშნულ 12 ჯიშის ვაზის ლერწში და მათ ნასხლავებში პენტოზანების შედგენილობა და შესაბამისად ფურფუროლის გამოსავალი იყო შემდეგი: საშუალოდ 12—18,5% პენტოზანები, 10,81% ფურფუროლი, მათი რაოდენობა ირყეოდა შემდეგ შუალედში: 22,39—11,8% პენტოზანები, 13,07—7,17% ფურფუროლი. მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება კარდანახის ჯიშის ნასხლავი: 22,39% პენტოზანები და 13,67% ფურფუროლი, დაბალი მაჩვენებლით კი— განჯური: 11,8% პენტოზანები, 7,17% ფურფუროლი.

ვაზის ნასხლავი ლერწების გარდა გამოვიყენეთ მეღვინეობის ნაჩვენები: ყურძნის დანაწნეხი (ჭაჭა) ორი ჯიშის ყურძნის (რქაწითელი და ციცქა) ჭაჭისათვის მიღებულია: 8,26% პენტოზანები და 9,75% ფურფუროლი, ხოლო შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება წიპწა: 10,22% პენტ., შემდეგ—კლერტო: 8,54% პენტ. და კანი—2,91% პენტოზანები. ნარჩენების ეს სახე დამატებით კიდევ უფრო ძვირფასს ხდის ნასხლავებს, როგორც ფურფუროლის ნედლეულს. შედეგები მოცემულია მე-6 ცხრილში.

მზესუმზირის ჯიშებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო გიგანტმა, რომელიც მოტანილი იყო მუხრანის სასელექციო სადგურიდან. მზესუმზირის ჩენჩოს ზედაპირი დაფარულია საღებავის (მასზე მუშაობისას ხელები იღებება იისფერად) თხელი ფენით, რომელიც ადვილად იხსნება ცივ და ცხელ წყალში, აგრეთვე—მყავებში. საღებავის ძმარმყავას სხნარი ადვილად ღებავს აბრეშუმს, შალს სასიამოვნო ყოლოსფრად, რომელიც არ გადადის წყლით გარეცხვის დროს გაცხელებითაც კი. მზესუმზირის ეს ჯიში იძლევა დიდ პროცენტ ზეთს (მშრალ ნაშთზე გადაანგარიშებით 58,66%). საღებავის გამოსავალია 6,2%. ჩენჩოსა და ნაყოფის შეფარდებაა 1:1. ჩენჩოში პენტოზანების რაოდენობაა 27,25%, ფურფუროლის—16,09%; მზესუმზირის კოლოფში პენტოზანების რაოდენობაა 15,5%, ხოლო ფურფუროლის—9,09%; ლეროში—16,82% პენტ., 9,8% ფურფ.

ჯიში	ნიმუშის აღების ადგილი	პენტოზანები %	ფურფუროლი
განჯური	დიღმის საბჭ. მეურნეობა	11,80	7,17
რქაწითელი	"	19,03	11,11
ვორული	"	20,45	11,95
ჩინური	"	18,82	10,97
ბუდეშური	"	17,90	10,46
ნიგრანგი	"	19,02	11,15
შავითია	"	15,93	9,29
ცოლიკაური	ზესტაფონის რ-ნი	18,05	10,53
ციცქა	"	18,96	11,05
ხარისთვალა	"	20,07	11,85
კარდანახი	"	22,39	13,07
სათერავი	"	19,59	11,44
საშუალო		18,50	10,81
რქაწითელი	ქაჯა	8,26	4,71
	კურკები	5,69	3,30
	კანი	3,76	2,06
	მტევანი	4,55	2,63
ციცქა	ქაჯა	9,75	5,65
	კურკები	10,22	5,90
	კანი	2,91	2,88
	მტევანი	8,54	4,94

ამრიგად, ამ ჯიშის მზესუმზირის ჩენჩო შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპლექსურად ფურფუროლისა და საღებავის მისაღებად. ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ დაწვრილებით შესწავლას.

შედგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7

ჯიში	ნიმუშების აღების ადგილი	პენტოზანები %-ით	ფურფუროლი %-ით	ზეთი %-ით
გიგანტი	მუხრანის სასელექციო სადგ. 1957 წ. მოსავალი	27,25	16,09	58,65
ჩენჩო უსაღებავოდ	"	30,07	18,14	(მშრალი ნაშთი)
ლერო	"	16,82	9,8	საღებავი 6,2%
კოლოფი	"	15,56	9,09	ჩენჩოს და ნაყოფის შ
უცნობი ჯიში	სოფ. ქარელი			ფარდება 1:1
ლერო	"	20,13	12,11	
ჩენჩო	ბაზარზე შექმნილი	27,42	16,01	

სხვა პენტოზანშემცველი მცენარეული ნედლეულიდან შესწავლილია 1 სხვადასხვა ობიექტი, ხოლო შედეგები მოცემულია მე-8 ცხრილში.

მკვლევარ კრივიცკის მონაცემების მიხედვით პენტოზანებით მდიდარ პერპეტუელ ნედლეულად მოწოდებული იყო ლაქაში, რომელშიც პენტოზანების არის 20—30%. ჩვენ შევისწავლეთ კაჭრეთის რაიონიდან მიღებული ლაქაშის თავთავი და ლერო. თავთავში ნაპოვნია 29,91% პენტოზანები და 17,66% ფურ

ფურთოლი, ღეროში კი—12,37% პენტოზანები და 7,33% ფურფუროლი რივად, ლაქაშის თავთავი ორჯერ უფრო მდიდარია ვიდრე ღერო და მისი რაოდენობა ახლოსაა კრივიცკის მონაცემებთან. შედეგები მოცემულია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8

მცენარის სახელწოდება	ნიმუშის აღების ადგილი	პენტოზანები %-ით	ფურფუროლი %-ით
ლაქაში	კაჭრეთის რ-ნი	21,14	12,40
თავთავი	"	29,91	17,66
ღერო	"	12,37	7,33
შაქრის სორგო	მუხრანის სასელექციო სად- გური	29,20	17,09
სელი	"	23,75	13,89
თივა	ვანის რ-ნი (ჭყვიში)	21,96	12,83
აბზინდა	"	17,79	10,27
თამბაქო (ფოთოლი, ღერო)	"	5,75	3,34
ხავსი	"	11,65	6,75
მდელოს წივანა	"	26,91	15,75
ორკბილა	"	15,95	9,30
ანწლი	"	20,76	12,30
ზაფრანა	ზესტაფონის რ-ნი	23,48	13,71
მანდარინი	ბაზარზე შექმნილი	19,67	11,51
ჯონჯოლი	"	22,75	13,25

შესწავლილ ნიმუშებიდან აღმოჩნდა, რომ პენტოზანების შემცველობის მიხედვით პირველ რიგში დგას: შაქრის სორგო—29,20%, წივანა—26,91%, სელი—23,75%, ზაფრანა—23,48%, ჯონჯოლი—22,75%, თივა—21,96%, ანწლი—20,76%.

ზემოთ შესწავლილ მასალიდან ვასკვნით, რომ ყურადღების ღირსი და საქართველოსათვის პერსპექტიულია მევენახეობისა და მეღვინეობის ნარჩენი პროდუქტები ფურფუროლის მისაღებად, რომელიც თავის მხრივ ძვირფასი კომპონენტია მაღალმოლეკულურ ნაერთთა სინთეზისათვის, რომელთა რიცხვს ეკუთვნის: პლასტმასები, ფისები, ხელოვნური ბოჭკოები და სხვა ნაერთები.

დასკვნები

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მათის პლენუმის დადგენილება ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარების შესახებ ითვალისწინებს ფურფუროლის მისაღებ ნედლეულთა გამოვლინებას.
2. საბჭოთა საქართველოს მცენარეული ნედლეული ამ მიმართულებით შეუსწავლელია. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა დიდძალი მცენარეული ნედლეული: ფოთლოვანი და წიწვიანი ხის მერქანი და ფოთოლი, სოფლის მეურნეობის ნარჩენი პროდუქტები და სხვადასხვა მცენარეულობა მათში პენტოზანების შე-
ცულობისა და ფურფუროლის რაოდენობრივი გამოსავლის მხრივ.
3. ფოთლოვანი ჯიშის 27 ობიექტზე შესწავლილია 44 ნიმუში. სოფლის მეურნეობის მცენარეული პროდუქტებიდან შესწავლილია: სიმინდის ნაჭუჭი,

მწესუმზირის ჩენჩო, ვაზის ღერწის ნასხლავი, ყურძნის გამონაწნეხი (ჭაჭა), კაკლის, თხილისა და ნუშის ნაჭუჭი და სხვა მცენარეული მასალები.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ: წიწვიანი ჯიშის მერქანში (მშრალ ნაშთზე ვადაანგარიშებით) პენტოზანების შემცველობა მერყეობს 14,28—9,80%-ის ფარგლებში, ფურფუროლის გამოსავალი კი—8,30—5,71%, ასეთი თანმიმდევრობით: ნაძვი, ფიჭვი და სოჭი. 7 ნიმუშისათვის პენტოზანების საშუალო შემცველობა 11,27%-ია, ფურფუროლი—6,79%; ფოთლოვანი ჯიშისათვის პენტოზანების რაოდენობაა 28,25—8,64%, საშუალო 27 ნიმუშისათვის—22,22%. ფურფუროლის გამოსავალი 15,66—4,80, საშუალოდ—13,77%; საუკეთესო მაჩვენებლებით ხასიათდება შემდეგი ჯიშები: რცხილა—28,20%, დაფნა—27,07%, არყის ხე—26,68%, თხმელა—25,68%, იფანი—22,52%, მუხა—21,80%. ყურადღებას იქცევს აგრეთვე წყავი—22,64% და შქერი—21,82% (ტყის პარაზიტები). ფურფუროლის საწყის ნედლეულად მათ გამოყენებას მოყვება ტყის გაწმენდაც. პენტოზანების შემცველობის მხრივ კარგი მონაცემებით ხასიათდება ლაქაში (21,14% პენტოზანები და 12,49% ფურფუროლი). ფოთლები მერქანთან შედარებით ღარიბი აღმოჩნდა. 11 ნიმუშისათვის პენტოზანების რაოდენობა მერყეობს 18,3—7,5%-ის ფარგლებში. საშუალოა 11,0% პენტოზანები და 6,25%—ფურფუროლი.

4. ოთხი ჯიშის სიმინდის ნაჭუჭმა (სტერლინგის გამოკლებით) მოგვცა კარგი მაჩვენებლები. მათში პენტოზანების საშ. რაოდენობაა 40,6%, აჯამეთის თეთრის ორი ნიმუშის საშუალო მაჩვენებელია 43,03% და 42,64%. ფურფუროლი კი შესაბამისად 25,17% და 24,97%. სიმინდის ღეროს რბილი გული, ფოთოლი და ფოჩვი პენტოზანების შემცველობის მხრივ ერთნაირია და განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ფოჩვი—33,41%, გული—27,90%, ფოთოლი—24,99% პენტოზანები და შესაბამისად—19,52%, 16,56%, 14,75% ფურფუროლი.

5. კაკლის ნაყოფებიდან შესწავლილ იქნა შემდეგი წარმომადგენლები: კაკალი, ნუში, თხილი. პენტოზანების შემცველობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ნუშს (36,1—30% პენტოზანები, 19,8—18,7% ფურფუროლი), კაკალშია 28,0—17,9% პენტოზანები და 16,3—10% ფურფუროლი; თხილშია 17,7—16,2% პენტოზანები და 15,0—9,4% ფურფუროლი. ამ სახის ნედლეული მათი დიდი რაოდენობის გამო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფურფუროლის მისაღებად.

6. ჩენჩი აზრით საქართველოსათვის სპეციფიკურ და პერსპექტიულ ნედლეულად შეიძლება გამოდგეს მევენახეობისა და მეღვინეობის ნარჩენები. 12 ჯიშის ვაზის ნასხლავის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათში პენტოზანების საშუალო რაოდენობაა 18,50%. შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება ჯიში კარდანახი—22,39% პენტოზანები და 13,07% ფურფუროლი, შემდეგ—განჯური—11,80% პენტოზანები და 7,17% ფურფუროლი. დამატებით ნედლეულად გამოდგება ყურძნის გამონაწნეხი (ჭაჭა, კლერტო, კანი). რქაწითელის ჭაჭა იძლევა 8,26% ფურფუროლს, ხილო ციცქა—9,95%—5,69% ფურფუროლს.

7. მწესუმზირის ჯიში გივანტი წარმომადგენს კომპლექსური გამოყენების ნედლეულს ფურფუროლისა და საღებავისას. ჩენჩო შეიცავს 27,25% პენტოზა-

ნებს და 16,09% ფურფუროლს. ზეთის გამოსავალია 58,65% (მშრალ მასაზე) და საღებავის გამოსავალი კი—6,2%.

8. დანარჩენ მცენარეულ მასალებიდან ანალოგიური მიზნისათვის შესწავლილ იქნა 15 სხვადასხვა ობიექტი, რომელთაგანაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა: შაქრის სორგომ—29,20% პენტოზანები; მდელოს წივანამ—26,91% პენტოზანები და 15,75% ფურფუროლი; ჯონჯოლმა—22,75% პენტოზანები; სელმა—23,75% პენტოზანები და 13,89% ფურფუროლი; თივამ—21,96 პენტოზანები, 12,83% ფურფუროლი; ანწლმა 20—76% პენტოზანები და 12,13% ფურფუროლი.

ლიტერატურა

1. Н. И. Никитин — Химия древесины, 1954.
2. А. М. Шур — Фурфурол и его народнохозяйственное значение, 1958.
3. А. С. Садыков, В. К. Лекомцев — Исследование некоторых пентозансодержащих растительных отходов. Гидролизная и лесохимическая промышленность, № 7, 1958.
4. Н. П. Мельников — Тезисы докладов на Всесоюзном совещании по вопросам использования пентозансодержащего сырья, АН Латв. ССР.
5. В. И. Шаров — Гидролизное производство, 1950 г.

ორგანული ქიმიის კათედრა

(შემოვიღა რედაქციაში 15.I.1966 წ.):


Н. С. ЦИЦИШВИЛИ, Т. Н. КИФАРЕНКО,
Г. И. ЦИЦИШВИЛИ, З. С. ТАБИДЗЕ,
Г. Ш. ГЛОНТИ, Т. П. ГУНЦАДЗЕ

ИССЛЕДОВАНИЕ НЕКОТОРОГО ПЕНТОЗАНСОДЕРЖАЩЕГО РАСТИТЕЛЬНОГО СЫРЬЯ И ОТХОДОВ ПЕРЕРАБОТКИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРОДУКТОВ ГРУЗИИ

Резюме

В связи с постановлением майского Пленума ЦК КПСС развертывается большая работа по синтезу высокомолекулярных соединений: пластических масс, естественных и синтетических волокон, смол и других материалов, спрос на которые предъявляют различные области народного хозяйства, прогресс техники и растущие потребности населения на товары широкого потребления. Среди источников исходного сырья для получения вышеозначенных синтетических материалов большое значение имеет древесина деревьев разных пород, остатки их обработки и отходы переработки разных сельскохозяйственных продуктов, богатых пентозанами, из которых в результате кислотного гидролиза и дегидратации получается фурфурол—первоисточник для получения высокомолекулярных соединений.

Растительные ресурсы Грузии в этом направлении еще не изучены. Между тем, Грузия, с ее высокоразвитым и весьма разнообразным сель-



ским хозяйством, могла бы быть базой для создания в ней гидролизной промышленности, а в частности — фурфурольного производства. Авторы представленной работы поставили себе целью решение этой задачи. Авторами исследован большой материал, касающийся древесины лиственных и хвойных деревьев, сельскохозяйственных растений и продуктов их переработки. В числе таковых: кочерыжки кукурузы разных сортов, подсолнечная лузга, выжимки винограда, обрезки виноградной лозы, скорлупа ореха, миндаля, орешка и другие виды сырья, изученные на содержание процентного количества пентозанов и соответственно — количества пентозы и фурфурола. Исследованы 44 образца хвойных и лиственных деревьев. Лиственные оказались почти в два с лишним раза богаче хвойных по содержанию пентозанов, что подтверждается результатами и других исследователей.

Из изученных образцов большим содержанием пентозанов в расчете на абсолютно сухое вещество характеризуется древесина деревьев: граб — 28,25%, ольха — 25,62%, бук — 25,00%, береза 26,68%.

Авторы считают заслуживающими внимания рододендрон (21,72%) и лавровишню (22,64%), которые считаются сорняками леса и использование их как сырья для получения фурфурола принесет двойную пользу. Хорошие показатели дал камыш (21,14%), признанный в Советском Союзе перспективным сырьем. Из остатков сельскохозяйственной продукции к перспективному и специфическому для Грузии сырью авторы относят обрезки виноградных лоз (23,39%), накапливающиеся в громадных количествах и употребляемые местным населением как топливо. Кроме употребляемых 44,52% — 35,23% кукурузной кочерыжки и подсолнечной лузги (27,42%) с такой целью может быть использована скорлупа ореха, миндаля и орешка. Все эти источники сырья требуют изучения экономической стороны для установления наличия количества их запасов. Однако проведенное исследование далеко еще не охватывает имеющегося в Грузии сырья, а лишь дает некоторое представление о наличии в Грузии базы для создания фурфурольного производства, тем более, что здесь имеется целлюлозно-бумажная фабрика.

А. И. КАХНИАШВИЛИ, Д. С. ПАРДЖИКИЯ

КОНДЕНСАЦИЯ МЕТИЛЭТИЛВИНИЛКАРБИНОЛА С ГВЯКОЛОМ В ПРИСУТСТВИИ ФОСФОРНОЙ КИСЛОТЫ

Ранее нами была изучена конденсация гваякола с диметилвинилкарбинолом в присутствии фосфорной кислоты [2]. Было показано, что конденсация диметилвинилкарбинола с гваяколом в присутствии фосфорной кислоты сопровождается изомеризацией и продукт конденсации отвечает не третичному спирту, а изомерному ему первичному карбинолу. Кроме этого, вышеупомянутая конденсация оказалась практически интересной, так как продукт конденсации с монохлоруксусной кислотой оказался физиологически активным веществом.






Интересно было выяснить какое влияние окажет на реакцию конденсации замена одного метилового радикала этиловым радикалом. С этой целью нами была изучена конденсация метилэтилвинилкарбинола с гваяколом в присутствии фосфорной кислоты. При конденсации был выделен непредельный монозамещенный гваякол, отвечающий первичному карбинолу. Для доказательства строения полученного нами вещества было проведено гидрирование, метилирование и окисление метилированного продукта.

Несколько ранее до настоящей работы одним из нас была изучена конденсация гваякола с диэтилметилкарбинолом в присутствии фосфорной кислоты [3]. Продукт конденсации гваякола с предельным карбинолом (VI) резко отличается от продукта (IV), который получен гидрированием монозамещенного непредельного гваякола (III).

Этот факт еще раз подтверждает, что конденсация метилэтилвинилкарбинола с гваяколом в присутствии фосфорной кислоты сопровождается изомеризацией третичного карбинола (I) в первичный (II).

При конденсации метилэтилвинилкарбинола с гваяколом в присутствии фосфорной кислоты образуется непредельный паразамещенный гваякол (III), который гидрированием превращается в соответствующий продукт (IV).

Метилированием непредельного монозамещенного гваякола (III) получается диметилвый эфир (V), окислением которого выделены диметоксибензойная кислота и метилэтилкетон.



Т_{кип.} 125—127° (2 мм); n_D²⁰ 1,5252; d₄²⁰ 1,0162.

Экспериментальная часть

Метилэтилвинилкарбинол готовился неполным гидрированием метилэтилацетиленилкарбинола в присутствии Pd/CaCO₃. Т_{кип.} 114—116°.

Конденсация метилэтилвинилкарбинола с гваяколом в присутствии фосфорной кислоты.

К смеси 12 г гваякола и 13 г фосфорной кислоты было прибавлено по каплям при комнатной температуре (17°) и непрерывном перемешивании 24 г метилэтилвинилкарбинола. Реакция протекает с разогреванием и температура смеси к концу приливания карбинола достигает 45°. После прибавления карбинола перемешивание продолжалось еще 4 часа.

Реакционная масса разбавлена эфиром; промыта водой, а затем несколько раз 10%-ным раствором едкого натра. Щелочные вытяжки объединены вместе, подкислены разбавленной соляной кислотой, экстрагированы эфиром, эфирный раствор высушен сульфатом натрия и после отгонки эфира перегнан в вакууме. При этом выделено 14 г 3-метил-5 (3-метокси-4-оксифенил) пентена-3 (III); $T_{\text{кип.}} 142^\circ$ (5 мм); $n_D^{20} 1,5310$; $d_4^{20} 1,0195$, $M_D^R 62,55$; выч. 61,63.

Найдено %: С 75,97; 75,93; Н 8,88. $C_{13}H_{18}O_2$, вычислено %: С 75,72; Н 8,95.

Гидрирование монозамещенного непредельного гваякола (III)

При гидрировании 3 г вещества в 25 мл метилового спирта в присутствии Pd/CaCO₃ поглотилось 380 мл водорода (24°; 724 мм) (теоретически требовалось 372 мл). Катализатор отфильтрован, спирт отогнан и продукт перегнан в вакууме.

Получено 2,6 г 3-метил-5-(3-метокси-4-оксифенил) пентана (IV); $T_{\text{кип.}} 115-116^\circ$ (2,5 мм); $n_D^{20} 1,5090$; $d_4^{20} 0,9965$.

Найдено MR 62,32; вычислено MR 62,10; найдено %: С 75,40; 75,12; Н 9,82; 9,88. $C_{13}H_{20}O_2$, вычислено %: С 75,00; Н 9,61%.

Метилирование монозамещенного непредельного гваякола (III)

5 г вещества растворено в 25 мл 10 %-ного едкого натра и добавлено 6 мл диметилсульфата. Смесь встряхивалась в течение получаса. Затем добавлялся раствор едкого натра до щелочной реакции, и жидкость нагревалась до кипения. Продукт извлечен эфиром, высушен и перегнан в вакууме. Получено 4 г вещ. (V). $T_{\text{кип.}} 113-115^\circ$ (1 мм); $n_D^{20} 1,5252$; $d_4^{20} 1,025$; MR 67,16.

Вычислено 66,48; найдено %: С 76,63; 76,48; Н 9,33; 9,45; $C_{14}H_{20}O_2$. Вычислено %: С 76,36; Н 9,09.

Окисление метилированного продукта (V)

3 г вещества (V) было внесено в раствор 2 г поташа в 100 мл воды; к полученной смеси при размешивании и охлаждении было добавлено



постепенно 7 г измельченного перманганата калия. Двухкислородная дивинилная отфильтрована и несколько раз промыта горячей водой; от объединенного раствора в количестве 200 мл отогнано 12 мл воды вместе с летучими нейтральными продуктами. Дистиллят при прибавлении водного раствора йода и едкого натра дает обильный осадок йодоформа (метил-этил-кетон).

После отгонки нейтральных продуктов остаток выпарен до малого объема, подкислен соляной кислотой. Выпали кристаллы 3,4-диметоксибензойной кислоты с $T_{пл.}$ 178—180° (из воды). Проба смешения с 3,4-диметоксибензойной кислотой депрессии не дает.

Выводы

1. При конденсации гваякола с метилэтилвинилкарбинолом в присутствии фосфорной кислоты образуется 3-метил-5 (3-метокси, 4-оксифенил) пентен-3 (З).

2. Гидрированием монозамещенный непредельный гваякол (III) в присутствии Pd/CaCO₃ превращается в 3-метил-5-(3-метокси-4-оксифенил) пентан (IV).

3. При метилировании непредельного монозамещенного гваякола с помощью диметилсульфата образуется 3-метил-3 (3,4-диметоксифенил) пентен-3 (V), окислением которого перманганатом калия получены 3,4-диметоксибензойная кислота и метил-этил-кетон.

ЛИТЕРАТУРА

1. А. Кахниашвили, Т. Ломя, Л. Мургулия — ЖОХ, 117 (1955).
2. А. И. Кахниашвили, Д. С. Парджикя — Труды Тбилисского государственного университета, т. 80. 117 (1961)
3. А. Кахниашвили, Д. Бугианишвили и др. — Труды ТГУ, т. 104, 280 (1964).

Кафедра органической химии
(Поступило в редакцию 17.1.1966)

კ. კახნიაშვილი, დ. ფარჯიკია

მეთილეთილვინილკარბინოლის კონდენსაცია გვაიაკოლთან ფოსფორმჟავას თანდასწრებით

რეზიუმე

იმის დასადგენად თუ რა გავლენას მოახდენდა სხვადასხვა რადიკალი გვაიაკოლის კონდენსაციის რეაქციაზე უჯერ სპირტებთან ფოსფორმჟავას თანდასწრებით, ჩვენ შევისწავლეთ მეთილეთილვინილკარბინოლის კონდენსაცია გვაიაკოლთან ფოსფორმჟავას თანდასწრებით.

დიმეთილენილკარბინოლის კონდენსაციის ანალოგიურად, მეთილეთილენილკარბინოლის კონდენსაცია გვაიაკოლთან მიმდინარეობს გამოსავალი მესამადი სპირტის იზომერიზაციით პირველადში და შემდგომი ალკილირებით მიიღება მონოხანაცვლებული უჯერი გვაიაკოლი.

მიღებული ნაერთის აგებულება დადგენილია ჰიდრირებით, მეთილირებით და მეთილირებული პროექტის დაქანგვით.

მონოხანაცვლებული უჯერი გვაიაკოლის ჰიდრირებით მიღებულია შესაბამისი ნაჯერი პროდუქტი. უჯერი მონოხანაცვლებული გვაიაკოლის მეთილირებით მიიღება შესაბამისი დიმეთილის ეთერი, რომლის დაქანგვითაც გამოყოფილია მეთილ-ეთილკეტონი და 3,4-დიმეთოქსიბენზოის მჟავა.


ა. ნოლაიძე, ა.

რ. ტყეშელაშვილი, ი. ხითარაძე

ნაფტალინის რიგის ზოგადი ალკილსილანის სინთეზი


ნაფტალინის რიგის ზოგადი ალკილსილანებიდან სინთეზირებული და შესწავლილია შემდეგი ტიპის ნაერთები: $R=Si(R_1)_3$, სადაც R არის $\alpha-C_{10}H_7$, ხოლო $R_1=CH_3, C_2H_5, C_3H_7, C_4H_9$, რომლებიც მიღებულია ნაფტალინის სხვადასხვა წარმოებულადან მაგნიუმორგანული და ლითიუმორგანული სინთეზით.

ა. დ. პეტროვისა და ტ. ი. ჩერნიშოვას [1] მიერ მაგნიუმორგანული სინთეზის გზით მიღებული იყო $\alpha-C_{10}H_7Si(CH_3)_3$ და შემდეგი მისი ჰომოლოგები ასეთი სქემით:



იგივე ნაერთები მიღებული იყო α -ნაფტილიტრიეთოქსისილანიდანაც [2]. სანინის [3] მიხედვით $\alpha-C_{10}H_7SiCl_3$ -ში ქლორები რომ შეიცვალოს რადიკალებით, საჭიროა $80-100^\circ$ ტემპერატურა და რაც უფრო იზრდება რადიკალის მოლეკულური წონა, მით უფრო ძნელდება Cl -ების ჩანაცვლება რადიკალით. ასეთი გზით სანინმა მიიღო $\alpha-C_{10}H_7Si(CH_3)_3$ და $\alpha-C_{10}H_7Si(C_2H_5)_3$.

ამ ბოლო ხანებში შესაძლებელი გახდა მსგავსი ნაერთების მიღება ლითიუმორგანული სინთეზის გზით [4].




ეს მეთოდი მიზანშეწონილია უფრო მაღალი ჰომოლოგების სინთეზის შემთხვევაში.

ა. დ. პეტროვისა და ს. ი. სადიხაძეს (5) მიერ ნაფტილითიუმზე ან ტოლილითიუმზე სხვადასხვა ალკილ (არილ) ქლორსილანების მოქმედებით მიღებულია ტოლილისა და პროპილის რადიკალის შემცველი ნაფტილსილანები.



ლიტერატურაში არ არის აღწერილი $\alpha-C_{10}H_7Si=(R_1)_2$ ტიპის ნაერთები, სადაც $R_1=C_2H_5, C_3H_7, C_4H_9$ -ს და ა. შ. აღნიშნული ნაერთები ჩვენ მიერ სინთეზირებულ იქნა მაგნიუმორგანული ნაერთების მეშვეობით ქვემოთ ნაჩვენები სქემის მიხედვით:



სინთეზირებული ნაფტილსილანები გამჭვირვალე, ადვილად მოძრავი სითხეებია, რომლებიც კარგად იხსნება ორგანულ გამსხნელებში.

α -ნაფტილმეთილდიქლორსილანზე 1 გრამ-მოლი $\text{C}_2\text{H}_5\text{MgBr}$ -ის მოქმედებით კი მიღებულია α -ნაფტილმეთილეთილქლორსილანი ($\alpha\text{-C}_{10}\text{H}_7\text{Si}(\text{CH}_3)(\text{C}_2\text{H}_5)\text{Cl}$) 45%-ის გამოსავლით, რომელიც წარმოადგენს უფერო, მოძრავ სითხეს, რომელიც ჰაერზე ბოლავს HCl -ის გამოყოფით.

მძსპერიმენტული ნაწილი

1. α -ნაფტილმეთილდიქლორსილანის სინთეზი. α -ნაფტილმეთილდიქლორსილანი ჩვენ მიერ მიღებულ იქნა მ. შოსტაკოვსკისა და ხ. კონდრატიევის (6) მეთოდით როგორც მაგნიუმორგანული, ისე ლითიუმორგანული გზით. მისი დულ. ტემპერატურაა $122\text{--}123^\circ$ (1 მმ):

d_4^{20} 1,2350; n_D^{20} 1,6025, ლიტერატურული მონაცემებით დულ. ტემპ. $122\text{--}125^\circ$ (1,5 მმ); d_4^{20} 1,2337; n_D^{20} 1,6026.

2. α -ნაფტილმეთილდიეთილსილანის სინთეზი. კოლბში, რომელსაც მორგებული ჰქონდა უკუმაცივარი, საწვეთი ძაბრი და მექანიკური სარეველი, მოვთავსეთ 23 გ (0,09 მოლი) α -ნაფტილმეთილდიქლორსილანი ($\text{Cl}^0_0 = 29,5$), განზავებული აბსოლუტურ დიეთილის ეთერში და საწვეთი ძაბრიდან წვეთობით მულმივი მორევის პირობებში დავუმატეთ (0,27 მოლი) $\text{C}_2\text{H}_5\text{MgBr}$ -ის ეთერხსნარი; (რომელიც მომზადებულია 6 გ Mg -ისა და 26 გ ეთილბრომიდისაგან). სარეაქციო ნარევის ორ საათს ვაცხელებდით ეთერის დუღილის ტემპერატურამდე და ეთერის გადაღენის შემდეგ კი $80\text{--}90^\circ$ -იან წყლიან აბაზანაზე 2—3 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევი ეთერით განზავების შემდეგ დავშალეთ 3%-იანი გოგირდმჟავათი, გამოვწვლილეთ ეთერით, ეთერხსნარი გავრეცხეთ წყლით და 4%-იანი სოდით.

ეთერის მოშორების შემდეგ რეაქციის ძირითადი პროდუქტი α -ნაფტილმეთილდიეთილსილანი გამოიხადა $130\text{--}135^\circ$ (1 მმ), რომლის გამოსავალი 12,5 გ (56%) შეადგენს.

$[d]_D^{20}$ 0,9932; n_D^{20} 1,5735; MR_D 75,56. გამოთვლილია 76,98;

ნაპოენია %: C 78,1, 78,45; H 8,92; 8,72; Si 11,87; 11,9;

$\text{C}_{15}\text{H}_{20}\text{Si}$. გამოთვლილია %: C 78,9; H 8,77; Si 12,23.

3. **α-ნაფტალმეთილდიპროპილსილანის სინთეზი.** ანალოგიურ პირობებში α -ნაფტილმეთილდიქლორსილანისა და C_3H_7MgBr -ისაგან (მომზადებულია Mg -ისა და ბრომპროპილისაგან) მიღებულია 53%-ის გამოსავალი α -ნაფტილმეთილდიპროპილსილანი, იმ განსხვავებით, რომ ეთერის გადაღენის შემდეგ სარეაქციო ნარევი ცხელდება $125-130^\circ$ ტემპერატურაზე.

დულ. ტემპ. 155° (2 მმ); d_{20}^4 0,9673; n_D^{20} 1,5520; MR_D 84,54 გამოთვლილია 86, 46%.

ნაპოვნია %: C 79, 68; 79, 30; H 9,37; 9,40; Si 10,93; 10,70.

$C_{17}H_{24}Si$. გამოთვლილია %: C 78,75; H 9,25; Si 10,01.

4. **α-ნაფტილმეთილდიბუტილსილანის სინთეზი.** α -ნაფტილმეთილდიქლორსილანისა და C_4H_9MgBr -ისაგან (მომზადებულია Mg -ისა და ბრომბუტილისაგან) $145-150^\circ$ ტემპერატურის დაცვით მიღებულია α -ნაფტილმეთილდიბუტილსილანი 43% გამოსავლით.

დულ. ტემპ. 175° (2 მმ); d_{20}^4 0,9468; n_D^{20} 1,5482;

MR_D 94,96. გამოთვლილია 95,58.

ნაპოვნია %: C 80, 30; 79, 92; H 9,65; Si 9,80; 9,55;

$C_{19}H_{28}Si$. გამოთვლილია %: C 79,70; H 9,10 Si 9,30.

5. **α-ნაფტილმეთილეთილქლორსილანის სინთეზი.** კოლბში, რომელსაც მორგებული აქვს უკუშაბივი, საწვეთი ძაბრი და მექანიკური სარეველი, მოვთავსებთ აბსოლუტურ ეთერში განზავებული 10 გ (0,04 მოლი) ნაფტილმეთილდიქლორსილანი და საწვეთი ძაბრიდან წვეთობით დავუმატებთ 9,04 მოლი C_2H_5MgBr (რომელიც მომზადებული იყო 0,92 გ Mg და 4,5 გ ეთილბრომიდისაგან). მაგნიორგანული ნაერთის დამატების პროცესში შეიმჩნეოდა სითბოს დიდი რაოდენობით გამოყოფა. სარეაქციო ნარევი 5 საათის განმავლობაში ცხელდებოდა $35-40^\circ$ -ის პირობებში. რეაქციის ძირითადი პროდუქტია α -ნაფტილმეთილეთილქლორსილანი 45% გამოსავლით.

დულ. ტემპ. $115-117^\circ$; d_{20}^4 1,1805; n_D^{20} 1,5942;

ნაპოვნია %: Cl 16,00; 16,35 Si 11,50; 10,75.

$C_{13}H_{15}SiCl$. გამოთვლილია %: Cl 15,13; Si 11,93.

ქლორი განვსაზღვრეთ ტიტრაციით, ხოლო სილიციუმი—დაწვის მეთოდით, რომლის დროსაც სინჯის დამუშავება მოვახდინეთ მბოლავი გოგირდ-მჟავათი და ნაშთი დავწვით მუდმივ წონამდე.

დასკვნები

1. ჩვენ მიერ პირველად მიღებული და შესწავლილი ლიტერატურაში უცნობი ნაფტალინის რიგის ალკილსილანები: α -ნაფტილმეთილდიეთილსილანი, α -ნაფტილმეთილდიპროპილსილანი, α -ნაფტილმეთილდიბუტილსილანი და α -ნაფტილმეთილეთილქლორსილანი.

2. რეაქციის მსვლელობამ უჩვენა, რომ, რაც უფრო იზრდება ალკილის

რადიკალის მოლეკულური წონა, მით უფრო ძნელდება ქლორების რადიკალით, რაც იწვევს ალკილსილანების პროცენტული გამოსავლის კანონზომიერ შემცირებას.

ლიტერატურა

1. А. Д. Петров, Т. И. Чернышева—Изв. АН СССР, ОХН, 820 (1951).
2. А. Д. Петров, В. С. Чугунов—ДАН, 73, № 2 (1950), 77, № 5 (1955).
3. П. С. Санин—ЖОХ, 27, 1286 (1957).
4. М. Ф. Шостаковский, Х. И. Кондратьев—ЖОХ, 1955.
5. А. Д. Петров, С. И. Садыхзаде—ДАН, 1952, т. 85, в. 2, 345.
6. М. Ф. Шостаковский, Х. И. Кондратьев—Изв. АН СССР, 8, 1956.

ორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიდა რედაქციაში 23. I. 1966 წ.).

А. И. НОГАИДЕЛИ,
Р. Ш. ТКЕШЕЛАШВИЛИ, И. С. ХИТАРИШВИЛИ

СИНТЕЗ НЕКОТОРЫХ АЛКИЛСИЛАНОВ НАФТАЛИНОВОГО РЯДА

Резюме

Нами впервые синтезированы следующие алкилсиланы нафталинового ряда: α -нафтилметилдиэтилсилан, α -нафтилметилдипропилсилан, α -нафтилметилдIBUTИЛСИЛАН и α -нафтилметилэтилхлорсилан.


Установлено, что с увеличением молекулярного веса алкильного радикала осложняется замещение хлора радикалами, что закономерно вызывает уменьшение выхода нафтилалкилсиланов.

ა. ნოღაიღილი,
 ლ. ნაღარაიზგილი, ე. თაგღორაძე

**6- (1-ოქსიცელოჰექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4 ის. მისი ძმარქვეს რთული
 ეთარის სინთუზი ლა კავალიზური ჰიდრირება**


უჯერი რთული ეთერებიდან საკმაოღაღა შესწავლილი აცეტილენის რი-
 გის ო-გლიკოლების რთული ეთერები [1], თუმცა ამ მხრივ ასეთი გლიკოლე-
 ბის მერად-მესამადი აგებულების მქონე ნაერთები ნაკლებადღა შესწავლილი,
 რისთვისაც ვადავწყვიტეთ მიგველო შესაბამისი გლიკოლი ლა შეგვესწავლა
 აგრეთვე მისი კატალიზური ჰიდრირება.

კვლევის ობიექტად ავირჩიეთ 6- (1- ოქსიცელოჰექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4




რომელიც სინთეზირებულ იქნა მავნიუმბრომციკლოჰექსილალკოჰოლატის მოქ-
 მედებით ერბოს აღდეჰიდზე. აღნიშნული გლიკოლი წარმოადგენს ძნელად
 მოძრავ, ოღნავ მოყვითალო ზეთს 130—132° დუღილის ტემპერატურით 2 მმ
 წნევაზე, რომლის ვამოსავალი 56 %-ს შეადგენს.

ხსენებულ გლიკოლის ჰიდრირებამ პლატინის შავის თანდასწრებით,
 დაადსტურა უკვე არსებული მონაცემები მსგავსი ნაერთების ჰიდრირების შე-
 სახებ [2], რომ ჰიდრირება მიმდინარეობს რეაქციის სიჩქარის თანდათანობითი
 შენელებით, იგი იერთებს 4 ატომ წყალბადს ლა ვადადის ნაჯერ გლიკოლში,
 რომლის აგებულებაა




ნაჯერი გლიკოლი უფერო, შედარებით მოძრავი სითხეა, 128—130° დუ-
 ლილის ტემპერატურით 2 მმ წნევაზე. დაყოვნებით ნაერთი ვამოკრისტალდა.
 კრისტალები ლღვება 125—127°-ზე. ცდის დროს შეგნიშნეთ, რომ ჰიდრირე-
 ბის პროდუქტი ვამოიხადა 144—145°-ზე 4 მმ წნევისას ლა იგი დაყოვნებით
 არ ვამოკრისტალდა; აღბათ ვამონახადში ამ დროს სტერეოიზომერიდან თხე-
 ვადი იზომერი სჭარბობს, რაც ხელს უშლის ნაერთის ვამოკრისტალებას. ანა-
 ლიზი კი საესებით ემთხვევა ნაჯერი გლიკოლის ფორმულას.

აცეტილენური გლიკოლის ეთერიფიკაცია ჩავატარეთ ძმარქვეს ანჰიდ-
 რიდის მონაწილეობით ლა აღმოჩნდა, რომ აღნიშნული გლიკოლი 165—170°-ზე



გაცხელებით (ზეთის აბაზანაზე) იძლევა სრულ დიეთერს—6-(აცეტილ-3-ჰექსილ)-ჰექსინ-5-აცეტილ-4:



რომელიც მოყვითალო ფერის სითხეა, 125—127° დულილის ტემპერატურით 4 მმ წნევაზე და რომლის გამოსავალი 70% აღწევს.


ხსენებული აცეტილენური ეთერის ჰიდროგენიზაცია შევისწავლეთ Pd/CaCO₃-ისა და კოლოიდური პალადიუმის (დამზადებული ხორბლის სახამებელზე) თანდასწრებით. Pd/CaCO₃ ადვილად აჰიდრირებს ეთერს ორმაგ კავშირებამდე 27 წუთში და ორი ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ რეაქცია გრძელდება შედარებით შესუსტებული ინტენსივობით; ამიტომ ჰიდრირების რეაქციის ხელოვნური შეწყვეტის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეთილენური კავშირი აცეტილენური კავშირის მონაწილეობის შემთხვევაში არ ჰიდრირდება და ამიტომ 2 ატომი წყალბადის მიერთების პროდუქტი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა ეთილენური რთული ეთერი, 140—122° დულილის ტემპერატურით 44 მმ წნევაზე.

4 ატომი წყალბადის მიერთებას დასჭირდა 57 წუთი, რის შემდეგ ჰიდრირება მაინც გრძელდებოდა აცეტილის ჯგუფის ელიმინირების ხარჯზე, რისთვისაც ჰიდრირების პროცესი ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი.

ნაჯერი ეთერი დულს 117—119°-ზე 4 მმ წნევის დროს.

ხორბლის სახამებელზე მომზადებული კოლოიდური პალადიუმის მონაწილეობით ჰიდრირების დროს, რეაქცია უფრო ნელა მიმდინარეობს (80 წუთი), აგრეთვე ჰიდრირების სიჩქარის თანდათანობითი შენელებით და 4 ატომი წყალბადის მიერთებისა და ჰიდრირების პროცესის ხელოვნურად შეწყვეტის შედეგად მიიღება ნაჯერი რთული ეთერი ზემოაღნიშნული კონსტანტებით.

ამრიგად, ხსენებული აცეტილენური ეთერის ჰიდრირება Pd/CaCO₃-ის მონაწილეობით მიმდინარეობს ასეთი სქემის მიხედვით:



მესპერიმენტული ნაწილი

1. 6-(1-ოქსიციკლოჰექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4-ის სინთეზი

20,5 გ მაგნიუმისა და 68 გ ეთილბრომიდისაგან მომზადებულ მაგნიუმ-ორგანულ ნაერთს ცივი წყლით ვაცივების პირობებში წვეთ-წვეთობით დავუმატეთ ეთერში განზავებული 52 გ ციკლოჰექსილაცეტილენილკარბინოლი. სარეაქციო ნარევეს, რომელიც ცივდება წყლით, დავუმატეთ მშრალ ეთერში განზავებული 34 გ ახლად გამოხდილი ერბოს ალდეჰიდი. 12 საათის დაყოვნების შემდეგ სარეაქციო ნარევი დაიშალა ჯერ 15 %-ანი ამონიუმის სულფატით, ხოლო შემდეგ—5 %-ანი გოგირდმჟავათი. ნივთიერების ეთერით რამდენჯერმე ექსტრაგირების, გლაუბერის მარილით ეთერთხსნარის გაშრობისა და ეთერის მოცილების შემდეგ დარჩენილი ძნელად მოძრავი ზეთი 2 მმ წნევაზე გამოიხადა 130—132°-ზე, რომლის გამოსავალი 56—60 %-ს აღწევდა.

ძნელად მოძრავი სითხის ანალიზი 130—132° დულ. ტემპ. 2 მმ წნევაზე

d_{20}^{20} 1,0103; n_D^{20} 1,4920; MR_D 56,26; გამოთვლილია 56,47.

ნაპოვნია %: C 73,47; H 10,2; OH 19,50; $C_{12}H_{20}O_2$.

გამოთვლილია %: C 72,98; H 10,7; OH 17,34.

2. 6-(1-ოქსიციკლოჰექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4-ის ძმარმჟავა რთული ეთერის სინთეზი

15 გ აცეტილენური გლიკოლი მოვათავსეთ მრგვალძირა კოლბში, რომელსაც მორგებული ჰქონდა უკუმაცივარი. მას დავუმატეთ ახლად გამოხდილი 78 გ ძმარმჟავა ანჰიდრიდი და 1 გ უწყლო ნატრიუმის აცეტატი. სარეაქციო ნარევეს 5—6 საათის განმავლობაში ვაცხელებდით ზეთის აბაზანაზე 165—170° საზღვრებში. რეაქციის დამთავრების შემდეგ წყლით განზავებული ნარევი გავანეიტრალეთ სოლით, ნივთიერება გამოვწვლილეთ ეთერით და გავაშრეთ გლაუბერის მარილზე. ეთერის მოცილების შემდეგ დარჩენილი ზეთი ძირითადად გამოიხადა 125—127°-ზე 4 მმ წნევისას, რომლის გამოსავალი 70 % აღწევდა.

ნივთიერების ანალიზი 125—127° დულ. ტემპ. 4 მმ წნევაზე

d_{20}^{20} 1,0156; n_D^{20} 1,4650; MR_D 76,20; გამოთვლილია 75,2.

ნაპოვნია %: C 68,49; H 8,75; $2CH_3CO$ 30,6.

$C_{18}H_{24}O_4$. გამოთვლილია %: C 68,5; H 8,5; $2 CH_3CO$ 30,7.

აქტიურ წყალბაღზე რეაქცია უარყოფით შედეგს იძლევა.

6-(1-ოქსიციკლოჰექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4-ის კატალიზური ჰიდრირება P_2 შავის მონაწილეობით

2,004 გლიკოლი (0,01 გ-მოლი), 50 მლ C_2H_5OH , 0,97 გ, პლატინის შავი, 740 მმ, 18°, 2 H_2 , 525 მლ. ყოველ 6 წუთში შეიერთა წყალბადი (მოლით): 185, 140, 110, 92, 75, 31 და ა. შ. სულ 72 წუთში შეიერთა 530 მლ.



ჰიდრირების პროდუქტის სათანადო გადამუშავების შემდეგ დაჩქარებული ზეთისებრი სითხე 4 მმ წნევის პირობებში გამოიხადა 128—130°-ზე (n_D^{20} 1,4830), რომელიც რამდენიმე დღეში დაკრისტალდა. კრისტალები გადნა 125—127°-ზე.

კრისტალების ანალიზი 125—127° დნობის ტემპერატურით

ნაპოვნია %: C 71,97; H 12,20; OH 16,8;

$C_{12}H_{24}O_2$. გამოთვლილია %: C 72,0; H 12,0; OH 17,0.

6- (1-აცეტილციკლოჰექსილ)-ჰექსინ-5-აცეტილ-4-ის ჰიდრირება
Pd/CaCO₃-სა და კოლოიდური პალადიუმის მონაწილეობით

1. ჰიდრირება Pd/CaCO₃ მონაწილეობით

ა) ორმაგ კავშირამდე. კატალიზატორის აქტივობა შემოწმებულ იქნა ტეტრაჰეტილბუთინდიოლზე, რომლის 0,01 გ-მოლი 0,5 გ კატალიზატორმა ორმაგ კავშირამდე დააჰიდრიდა 27 წუთში.

2,821 გ საკვლევი ნივთიერება (0,01 გ-მოლი), 50 მლ C_2H_5OH , 0,5 გ კატალიზატორი, 726 მმ, 20°. H_2 257 მლ. ყოველ 3 წუთში შეიერთა წყალბადი (მლ-ით): 69,55, 40,35, 39,21 და ა. შ. სულ 270 შეიერთა 23 წუთში.

ჰიდრირების პროცესი ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი, რადგან ჰიდრირება კვლავ გრძელდებოდა ერთის ჯგუფის აღდგენის ხარჯზე.

ჰიდრირების პროდუქტის გადამუშავებით და გამობლით მიღებულ იქნა ნივთიერება 120—122° დუღილის ტემპერატურით 4 მმ წნევაზე.

ნივთიერების ანალიზი 120—122° დუღილის ტემპერატურით 4 მმ წნევაზე

d_{20}^{20} 0,9928; n_D^{20} 1,4610; MR_D 77,53; გამოთვლილია 76,73.

ნაპოვნია %: C 67,96; H 9,06; 2 CH_3CO ; 30,6; $C_{16}H_{24}O_4$.

გამოთვლილია %: C 68,08; H 9,22; 2 CH_3CO 30,46.

აქტიურ წყალბადზე რეაქციას არ იძლევა.

ბ) ჰიდრირება ცალმაგ კავშირამდე. ჰიდრირება ჩატარებულ იქნა იმ განსხვავებით, რომ კატალიზატორის რაოდენობა გავზარდეთ ორჯერ, რის შედეგადაც ჰიდრირების სიჩქარე მკვეთრად გაიზარდა პირველ 9 წუთში (დაახლოებით ორჯერ), თუმცა ცალმაგ კავშირამდე თეორიულად გაანგარიშებული 532 მლ წყალბადის მიერთებას დასჭირდა 57 წუთი.

დაჰიდრირებული პროდუქტი, რომელიც გამოხდამდე გავანეიტრალეთ ძმარმჟავას მონაწილეობის გამო, 4 მმ წნევაზე დუღს 117—119°-ზე. იგი ოდნავ მომწვანო ფერის ზეთია.

ნივთიერების ანალიზი, რომელიც დუღს 117—119°-ზე და 4 მმ წნევაზე

d_{20}^{20} 0,9798; n_D^{20} 1,4590; MR_D 78,06; გამოთვლილია 77,19.

ნაპოვნია %: C 67,50, H 9,51, 2 CH_3CO 30, 2.

$C_{16}H_{28}O_4$. გამოთვლილია %: C 67,60; H 9,5; 2 CH_3CO 29,67.

აქტიურ წყალბადზე რეაქციას არ იძლევა.

2. აცეტილენური რთული ეთერის ჰიდრირება ხორბლის სახამებელზე
 მომზადებული კოლოიდური პალადიუმით

2,813 გ ეთერი (0,01 გ-მოლი), 50 მლ C_2H_5OH , 0,6 მლ კატალიზატორი (1 მლ შეიცავდა 2,5 მგ პალადიუმს), 725 მმ, 20°, 2 H_2 520 მლ. ყოველ 5 წუთში შეიერთა წყალბადი (მლ-ით): 82,75, 60, 45, 40 და ა. შ.

სულ 80 წუთში შეიერთა 545 მლ.

აღნიშნული მოვლენა იმის მაჩვენებელია, რომ ჰიდრირების დროს 2 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ რეაქციის სიჩქარეში შესამჩნევი გარდატეხა არ იგრძნობა და აგრეთვე ჰიდრირება გრძელდება 4 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგაც, რაც საერთოდ დამახასიათებელია მსგავსი რთული ეთერებისათვის.

ჰიდრირების პროდუქტი სათანადო გადამუშავების შემდეგ იხდება 117—119°-ზე 4 მმ წნევის დროს და აქვს ნაჯერი ეთერისათვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული კონსტანტები.

დასკვნები

წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად პირველადაა აღწერილი აცეტილენური მეორად-მესამადი ავებულების მქონე გლიკოლი 6-(1-ოქსიცელოპექსილ)-ჰექსინ-5-ოლ-4, რომელიც P_4 -ის სევადის მონაწილეობით ჰიდრირდება მარტივ კავშირამდე, სადაც ამჟღავნებს მსგავსი ნაერთების ჰიდრირების ხასიათის თავისებურებებს. ნაჯერი გლიკოლი 6-(1-ოქსიცელოპექსილ)-ჰექსანოლ-4 პირველადაა აღწერილი ჩვენ მიერ.

აცეტილენური გლიკოლის ეთერიფიკაციის შედეგად სინთეზირებული და აღწერილია ძმარმჟავა რთული ეთერი 6-(1-აცეტილ-ციკლოპექსილ)-ჰექსინ-5-აცეტილ-4, რომელიც $Pd/CaCO_3$ -ის მონაწილეობით 2 ატომი წყალბადის მიერთების შედეგად იძლევა ეთილენურ რთულ ეთერს 6-(1-აცეტილ-ციკლოპექსილ)-ჰექსენ-5-აცეტილ-4, ხოლო 4 ატომი წყალბადის მიერთებით—6-(1-აცეტილციკლოპექსილ)-4-აცეტილ-ჰექსანს, რომლებიც პირველადაა აღწერილი ჩვენ მიერ. რთული ეთერის ბოლომდე ჰიდრირების პროცესში შემჩნეულია ეთერის ჯგუფის ელიმინირება, რისთვისაც ჰიდრირების პროცესის ხელოვნურად შეწყვეტა გვიხდებოდა.

აღნიშნული აცეტილენური რთული ეთერი მარტივ კავშირამდე ჰიდრირდება აგრეთვე კოლოიდური პალადიუმის მონაწილეობით და ამჟღავნებს იმ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია მსგავსი ეთერებისათვის.

ლიტერატურა

1. Ю. С. Залькин, П. С. Батаев, ЖОХ, 17, 1858 (1947); Ю. С. Залькин, И. Бессонова, ЖРХО, 53, 286 (1921); Ю. С. Залькин и И. М. Гвердцители, ЖОХ, 9,855 (1939); А. И. Ногаидели и К. Я. Дзагნიдзе, ЖОХ, II, 136 (1941).

2. Ю. С. Залькин—ЖРХО, 52, 191 (1920).

3. А. И. Ногаидели и Ш. В. Пичхадзе—ЖОХ, 29, 1574 (1959).

ორგანული ქიმიის კათედრა
 (შემოვიდა რედაქციაში 25. I. 1966 წ.).



А. И. НОГАИДЕЛИ,
Л. Ю. НАДАРЕИШВИЛИ, Э. Ч. ТЕВДОРАДЗЕ

СИНТЕЗ И КАТАЛИТИЧЕСКОЕ ГИДРИРОВАНИЕ
6-(1-ОКСИЦИКЛОГЕКСИЛ)-ГЕКСИН-5-ОЛА-4
И ЕГО УКСУСНОГО ЭФИРА

Резюме

Нами впервые описан апетиленовый гликоль вторичнотретичного строения—6-(1-оксициклогексил)-гексин-5-ол-4 и продукт его гидрирования—6-(1-оксициклогексил)-гексанол-4.

Синтезированный нами сложный уксусный эфир 6-(1-ацетил-циклогексил)-гексин-5-ацетил-4 присоединением двух атомов водорода, в присутствии Pd/CaCO₃, образует этиленовый эфир 6-(1-ацетилциклогексил)-гексен-5-ацетила-4, а присоединением же 4-х атомов водорода—предельный эфир 6-(1-ацетил-циклогексил)-4-ацетилгексан.

ა. ნოლაძელი, ჯ. მანუჩაძე


ბენზოლის ალკილირება ეთილის სპირტითა და ეთილის ეთერით აირად ფაზაში გააქტივებული გუმბრინის მონანილაობით

ა. ვ. ფროსტისა და სხვათა მიერ დადგენილია აქტიური თიხების მონანილაობით ნორმალური ალკენების ალკანებსა და იზოალკანებში გარდაქმნის შესაძლებლობანი [1], ორმაგი ბმის გადაჯგუფება ბოლოდან ცენტრისაკენ და ზოგჯერ იზოალკენების წარმოქმნითაც კი. ქ. არეშიძის მიერ თანამშრომლებთან ერთად შესწავლილია ალკენების ქცევა გააქტივებულ გუმბრინზე წარმოქმნის მომენტში (სპირტებიდან დეჰიდრატაციით) და დადგენილია პერიფერიიდან ორმაგი ბმის მოლეკულის გადანაცვლება ცენტრისაკენ, აგრეთვე ნორმალური ალკენების დატოტვრულჯაჭვიან ნაერთებში გარდაქმნა [2].

გ. ნატანსონმა და მ. კავანმა ბენზოლის ალკილირებისათვის გამოიყენეს როგორც ბუნებრივი, ისე სინთეზური ალუმოსილიკატები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი აქტიური თიხები, რომლებიც ნავთობის ნახშირწყალბადების კრეკინგს ადვილად ახდენს, არ გამოდგება ბენზოლის ალკილირებისათვის $200-450^{\circ}$ ტემპერატურის საზღვრებში [3]. აღნიშნული მიზნებისათვის გამოსადეგი დარჩა მხოლოდ სინთეზური ალუმოსილიკატები, რომლებიც ბენზოლის ალკილირებას ახდენს ოლეფინებით, სპირტითა და ჰალოგენალკილებით 400° ტემპერატურის პირობებში.

1946 წელს მამედალიევმა ჩაატარა ცდები გააქტივებული გუმბრინის მონანილაობით და აღმოჩნდა, რომ 350° ტემპერატურასა და 70 ატმ. წნევაზე აირად ფაზაში ბენზოლზე პიროლიზის პროპან-პროპილენური ფრაქციის მოქმედების შედეგად მიიღება ალკილატი 60%-ის გამოსავლით, რომელშიც მთავარი მასა არის კუმოლი [4]. ამგვარად, შედარებით მკაცრ პირობებში აღმოჩენილ იქნა აქტიური გუმბრინის მაალკილირებელი თვისება. შემდგომში ამ მიმართულებით კვლევა-ძიება საგრძნობლად შენედა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ნაშრომს, სადაც აქტიური თიხები და მათ შორის გუმბრინიც გამოუყენებელია ფენოლებისა და კრებოლების მაალკილირებელ საშუალებად [5].

ტუროვა-პოლიაკისა და სხვათა მიერ სინთეზური ალუმოსილიკატების გამოყენების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეთილის სპირტით აირად ფაზაში ალკილირება იძლევა 28 %-მდე ეთილბენზოლს და მასთან პირველადი სპირტებით ალკილირება უკეთ ხდება მაღალ ტემპერატურაზე (450°), მაშინ როდესაც იზოპროპილის სპირტისათვის უკეთესი გამოსავალი 325° ტემპერატურაზეა [6]. ალკილირების პროცესის ინტენსივობა იზრდება სპირტების გამოყენების შექთხვე-



ვაში პირველადებიდან მესამედებისაკენ როგორც ალუმოსილიკატურმა კატალიზატორების, ისე ქლორიდის მონაწილეობითაც, რაც მრავალ მაგალითზე დადგენილი ი. პ. ცუკერვალიკისა და მისი თანამშრომლების მიერ [7]; აგრეთვე ნაჩვენებია, რომ ნორმალური სპირტებით ბენზოლის ან მისი ალკილ- და ოქსი-წარმოებულების ალკილირების დროს უპირატესად იზოსტრუქტურის ალკილწარმოებულები წარმოიქმნება.


ამგვარად, ბენზოლის ალკილირების პროცესი სპირტებით, გააქტივებული გუმბრინის მონაწილეობით და აგრეთვე ბენზოლის ალკილირების შესაძლებლობანი მარტივი ეთერებით როგორც ქლორიანი ალუმინის, ისე გააქტივებული გუმბრინის მონაწილეობით, კვლავ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს, რისთვისაც სპირტებით ბენზოლის ალკილირების დროს კატალიზატორებად გამოვიყენეთ გააქტივებული გუმბრინი, ხოლო ეთერთი ალკილირების შემთხვევაში ალუმინის ქლორიდი [8] და გააქტივებული გუმბრინი.

კვლევა-ძიება ჩატარდა აირად ფაზაში და აღმოჩნდა, რომ 450°-ზე ჰაერის ნაკადით ღუმელში გამომწვარ არააქტიურ გუმბრინზე ბენზოლისა და ეთილის სპირტის ნარევის გატარების შედეგად, როდესაც მათი მოლური შეფარდება ტოლია 4:1, ეთილბენზოლის უკეთესი გამოსავალი (6,81 %) მიიღება 310° ტემპერატურის პირობებში და სპირტის შეფარდების გადიდება (4:3) ამცირებს ეთილბენზოლის გამოსავალს. ამ რეაქციის დროს ჰომოლოგები არ წარმოიქმნება.

გააქტივებული გუმბრინის (მარილმჟავათი) მონაწილეობით ეთილბენზოლის გამოსავალი (სპირტზე გადაწვარის შემთხვევაში) უკეთეს შედეგს იძლევა 320° ტემპერატურაზე, ბენზოლისა და სპირტის შეფარდებით 4:1, რა დროსაც ალკილატის უკეთესი გამოსავალი 17 % უდრის. აქაც დადგენილია სპირტის რაოდენობის გაზრდის უარყოფითი გავლენა ეთილბენზოლის გამოსავალზე. საგულისხმოა ის, რომ ალკილატში ერთადერთი პროდუქტი ეთილბენზოლია, მაგრამ როდესაც მორეაგირე ნივთიერებათა შეფარდება იყო 4:3, შევნიშნეთ უმნიშვნელო რაოდენობით პ-დიეთილბენზოლის წარმოქმნა ($\text{H}_D^{20} 1,4990$).

ცდის დროს გამოყოფილი წყლის რაოდენობა ეფარდება აღებული სპირტის დეჰიდრატაციის შედეგად მიღებული წყლის რაოდენობას და აგრეთვე რეაქციაში შეუსვლელი ბენზოლი სპირტს არ შეიცავს. იმის დასადგენად, რომ კატალიზის პირობებში სპირტი მთლიანად განიცდის დეჰიდრატაციას ეთილენის წარმოქმნით, ჩატარებულ იქნა ცდა (სპირტის გატარებით გააქტივებულ გუმბრინზე 320° ტემპერატურაზე), რამაც გვიჩვენა, რომ ამ დროს ეთილის სპირტი საკვებით დეჰიდრატირდება ეთილენის (97 %) წარმოქმნით. ამრიგად, ეჭვს არ იწვევს მოსაზრება, რომ გარკვეული სტრუქტურის სპირტები ალკილირებას ახდენს დეჰიდრატაციის შედეგად წარმოქმნილი ეთილენური ნახშირწყალბადების ხარჯზე.


აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც თვით ეთილენით ვაწარმოებთ ბენზოლის ალკილირება გააქტივებულ გუმბრინზე გატარებით (ჩვენ მიერ ნაჩვენებ პირობებში), ეთილბენზოლის გამოსავალი ეთილის სპირტთან შედარებით 20-ჯერ შემცირდა (0,75 %), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეთილენი მხოლოდ წარმოქმნის მომენტში ინარჩუნებს აქტივობას, მანამ, სანამ დეჰიდრატაციის შედეგად წარმოქმნილი ბიპოლარული იონი არ წარმოქმნის მტკიცე π კავშირს, არააქტიურ ეთილენში გადასვლით, ასეთი სქემის მიხედვით:



რაც აპირობებს ალკილირების პროცესის ინტენსიურ ხასიათს.


ამრიგად, გ. ნატანსონისა და მ. კაგანის მოსაზრების საწინააღმდეგოდ დამტკიცდა აქტიური თიხებით ბენზოლის ალკილირების შესაძლებლობა და უპირატესობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ალკილირების შედეგად, სხვა კატალიზატორებისაგან (მათ შორის სინთეზური ალუმოსილიკატებისაგან) განსხვავებით ძირითადად მიიღება ინდივიდუალური პროდუქტები და აღწერილი ცდების პირობებში პოლიალკილნაწარმები იშვიათად წარმოიქმნება.

თავის მხრივ, კატალიზატორებისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით წარმოებს ბენზოლის C-H ბმის აქტივაცია გაწყვილებული ელექტრონების ნახშირბადისაკენ მიზიდვით, რის გამოც ბენზოლი პროტონის გამოყოფის ხარჯზე გარდაიქმნება ანიონად ასეთი სქემის მიხედვით:




სპირტისა და ბენზოლის ნაჩვენები გარდაქმნა ერთდროულად მიმდინარეობს და ამიტომ წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის იონები ერთიმეორესთან რეაგირობს, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ რიგში ბენზოლიდან გამოყოფილი პროტონი უერთდება ეთილენის აქტიურ ფორმას ალკილიონის წარმოქმნით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნებოდა თანამდე პროდუქტების (პოლიმერის) წარმოქმნა. აგრეთვე ფენილანიონისა და პროტონს შორის შეიძლება რეაქცია შებრუნებულყო ბენზოლის წარმოქმნით. გარდა ამისა ალკილირების პროდუქტებში არ შეგვიინიშნავს დიფენილისა და სხვა პროდუქტების თანამდე წარმოქმნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბენზოლის ალკილირების დროს ნაჩვენებ პირობებში თითქმის გამორიცხულია რადიკალური გარდაქმნის სქემა $\text{C}_6\text{H}_5\cdot$ ან $\text{C}_2\text{H}_5\cdot$ წარმოქმნით. ამრიგად, ეთილის სპირტით ბენზოლის ალკილირების შეჯამებული სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

II



აღნიშნულ სქემაში სპირტის დეჰიდრატაციის პროცესში ბენზოლიდან გამოყოფილი პროტონის მონაწილეობა გამორიცხულია და ეს სქემა მართებულია მხოლოდ ისეთი სპირტებისათვის, რომლებსაც დეჰიდრატაციის უნარი აქვს. მაგალითად, დიფენილკარბინოლში ფენილის რადიკალები ნაერთის დისოციაციის ხარისხს საგრძნობლად ზრდის. ამიტომ მეტ-ნაკლებად დისოცირებულ მდგომარეობაში მყოფ ჰიდროქსილს დიდი სწრაფვა ექნება ბენზოლიდან გამო-



ყოფილი პროტონის მიერთების, რაც განაპირობებს ამ უკანასკნელის მონაწილეობას კარბინოლის დეჰიდრატაციის პროცესში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდები გვარწმუნებს იმ მეცნიერთა მოსაზრებათა სისწორეში, რომლებიც განსაზღვრული აგებულების სპირტებით ალკილირების პროცესში უპირატესობას ეთილენის (ეთილის სპირტის შემთხვევაში) შუალედურ წარმოქმნას ანიჭებენ (9) და იგი მიაჩნიათ ჰემმარიტ მაალკილირებელ საშუალებად [7].


აღნიშნული მოსაზრება მტკიცდება აგრეთვე ეთილის ეთერით ბენზოლის ალკილირების დროს გააქტივებული გუმბრინის მონაწილეობით.

ჩვენ მიერ [8] დადგენილ იქნა, რომ ბენზოლი ეთილის ეთერით ალკილირებისას $AlCl_3$ -ის მონაწილეობით იძლევა 74 % რაოდენობით ალკილატს.

გააქტივებული გუმბრინის გამოყენების შემთხვევაში (320° ტემპერატურის პირობებში) ალკილატის საერთო გამოსავალი 23 %-ია, რომელშიც მონოეთილბენზოლის რაოდენობაა 35 %, დიეთილბენზოლია 12 %, ტრიეთილბენზოლი—13,3 %, ხოლო უმაღლესი ალკილატები 7 %-ს აღწევს.


აქტიურ გუმბრინზე მხოლოდ ეთერის გატარებისას, ალკილირების ცდის პირობებში ეთერი მთლიანად ეთილენად გარდაიქმნება, რომლის შეცულობა გამოყოფილ გაზში 96 %-ს უდრის.

ამრიგად, ირკვევა, რომ ეთერით ალკილირების დროს ბენზოლიდან გამოყოფილი პროტონი ეთერის დეჰიდრატაციაში (ეთილენის წარმოქმნით) მონაწილეობას არ ღებულობს, რისთვისაც ვვარაუდობთ, რომ ეთერის ეთილენად გარდაქმნა მიმდინარეობს შიგამოლეკულურად და ფაზობრივად ასეთ სქემის მიხედვით:



ეთილენის აქტიური ფორმა განაგრძობს ზემოთმოყვანილი სქემის მიხედვით (II) რეაგირებას. ეთერებით ალკილირების დროსაც (ისე როგორც სპირტებით ალკილირების შემთხვევაში) დიდი მნიშვნელობა აქვს ეთერის აგებულებას. მაგალითად, ეთერის სრული ან არასრული შინაგანი დეჰიდრატაციის შეუძლებლობის შემთხვევაში უკვე სხვა ფაქტორები შეასრულებს ალკილირების დროს გადამწყვეტ როლს და ალკილირება განსხვავებული მექანიზმით წარმართება [10], სადაც უკვე ბენზოლიდან გამოყოფილი პროტონი მიიღებს მონაწილეობას დეჰიდრატაციაში.

ქლორიანი ეთილით ბენზოლის ალკილირების შემთხვევაში 320° -ზე ეთილბენზოლის გამოსავალი 20 %-ს აღწევს და სხვა ალკილწარმოებულები არ წარმოიქმნება. კატალიზის შედეგად გამოყოფილ გაზში 99 % ეთილენია. მხოლოდ პროპილქლორიდის გატარებისას კატალიზატორზე იმავე პირობებში იგი მთლიანად (99 %) პროპილენად გარდაიქმნება, რაც აგრეთვე მიუთითებს აქ-



ტიური ეთილენური ფორმის შუალედური წარმოქმნის აუცილებლობა შეიძლება გენალკილებიდან ალკილირების დროს.

ის ფაქტი, რომ HCl-ის მონაწილეობა ხელს უწყობს ოლეფინებით ბენზოლის ალკილირების პროცესს [9], არ შეიძლება მივიჩნიოთ იმის დამადასტურებლად, რომ თითქოს ამ დროს ოლეფინიდან წარმოიქმნება პალოგენალკილი, რომელიც ახდენს ბენზოლის ალკილირებას, რადგან მრავალი ფაქტით დადგენილია, რომ HCl-ის გარეშეც წარმოებს ოლეფინებით ბენზოლის ალკილირება, როგორც ალუმინქლორიდის, ისე ჩვენს შემთხვევაში აქტიური გუმბრინის მონაწილეობითაც. შეიძლება დავუშვათ, რომ HCl-ის მონაწილეობა ხელს უწყობს ბენზოლისა და ოლეფინის აქტიურ ფორმაში გადაყვანას, პროტონის კონცენტრაციის ზრდას. თუ ასეთ პირობებში პალოგენალკილი წარმოიქმნებოდა, იგი მყისვე უნდა დაშლილიყო აქტიური ეთილენისა და HX-ის წარმოქმნით, რაც რეაქციის შენიშნულ ინტენსივობას გამოიწვევდა. აქ მართლაც შეიძლებოდა გვეთქვა HCl-ის, როგორც კატალიზატორის ხასიათზე აღნიშნული რეაქციის დროს, რადგან მას შეუძლია ეთილენთან ჯაჭვური პროცესი აწარმოოს. ამრიგად, ოლეფინით ბენზოლის ალკილირების დროს პალოგენალკილის შუალედური წარმოქმნა HCl-ის მონაწილეობით და მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა აღნიშნულ პროცესში ეწინააღმდეგება ექსპერიმენტულ მონაცემებს. ექსპერიმენტით მიღებული შედეგები ეწინააღმდეგება ნენიცესკუს მოსაზრებას—კატალიზატორთან წყლის კომპლექსური ნაერთის წარმოქმნის შესახებ [11], აგრეთვე ცუკერვანიკის მოსაზრებას—სადაც სპირტების ალკილირების შემთხვევაში მაალკილირებელ აგენტს შერეული ალკოჰოლატები წარმოადგენს [7]. მხენისა და სოვას [12], ნ. ლებედვის [9] მოსაზრებანი, რომ თითქოს ალკილირების დროს წარმოებს ჯერ ოლეფინის შუალედური წარმოქმნა, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის ჰიდროპალოგენირება (ზოგჯერ იზოაგებულების პალოგენალკილების წარმოქმნით), რომელსაც უკავშირებენ ნორმალური და იზოალკილბენზოლების წარმოქმნას, ვერ ასახავენ რეაქციის მექანიზმს. რა თქმა უნდა, ალკილირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეაქციის პირობებსა და კატალიზატორის ბუნებას [13], რასაც შეუძლია რეაქციის მიმართულების ნაწილობრივი შეცვლა.

მსკვირვებულნი ნაწილი

I. ბენზოლის ალკილირებას ეთილის სპირტით ვახდენდით ჩვეულებრივ დანადგარზე, რომელიც მიღებულია აირად ფაზაში კატალიზური რეაქციებისათვის გამდინარე სისტემით. გააქტივებული გუმბრინიდან [2] მოვამზადეთ 0,5 სმ დიამეტრის მქონე სფეროსმაგვარი ბურთულები, რომელიც თერმოსტატში გასრობის შემდეგ (110—120°-ზე) შეგვექონდა 70 სმ³ მოცულობის მქონე ლუმელში მოთავსებულ სარეაქციო მილში. რეაქტორში ჰაერის ზომიერი ნაკადის გატარებასთან ერთად ლუმელს ვაცხელებდით 450°-ზე 2—2,5 საათის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ლუმელი ცივდებოდა ცდის ტემპერატურამდე და მილიდან ხდებოდა ჰაერის გამოძევება მშრალი აზოტით ან CO₂-ით. ამის შემდეგ სათანადოდ მორეგებული საწვეთი ძაბრიდან წვეთობით, საჭირო სიჩქარით, ტარდებოდა გამოსავალ კომპონენტთა კარგად შერეული ნარევი. ცდის დამთავრების შემდეგ მილში დარჩენილი ნივთიერებები აზოტის ნაკადით



იღენებოდა. მიმღებში, ხოლო კატალიზატორის რეგენერაციას ვახდენდით მისი ქანგბადით 450° -ზე 2—2,5 საათის განმავლობაში. მიღებულ კატალიზატს ვყოფდით წყლისაგან, ვაშრობდით ნატრიუმის სულფატით და ვახდენდით მის ფრაქციონირებას. კატალიზატორზე სარეაქციო ნარევის გატარების მოცულობითი სიჩქარე ყველა შემთხვევაში უდრიდა 0,03-ს. ალკილირების ძირითადი პროდუქტი ეთილბენზოლია.

ეთილის სპირტით ბენზოლით ალკილირების შედეგები მოყვანილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

№ № რიგზე	ულის ტემპერატურა	შეფარდება ბენზოლი: სპირტი გრ-ით	კატალიზატის ფრაქციონირება გრ-ით			ძირითადი პროდუქტის (130° — 140°) n_D^{20}	ძირითადი პროდუქტის d_4^{20}	გამოსავალი პროცენტებით
			83° -მდე	130° -მდე	130° — 140° -მდე			
1	310°	78: 11,5	62	1	1,6	1,4950	0,8630	6,00
2		39: 11,5	33	0,4	1,2	1,4945	0,8640	4,42
3		39: 17,3	38	1,3	1,1	1,4953	0,8670	2,80
4		39: 23	32	0,2	1,2	1,4957	0,8660	2,26
1	320°	78: 11,5	60	2	4,5	1,4950	0,8660	17,00
2		39: 11,5	42	0,5	3	1,4940	0,8650	11,32
3		39: 17,2	32	0,5	2,6	1,4960	0,8670	6,60
4		39: 23	29	0,6	2,3	1,4970	0,8640	4,32
1	330°	78: 11,5	69	0,7	2,1	1,4960	0,8680	7,84
2		39: 11,5	31	0,6	1,5	1,4950	0,8680	5,66
3		39: 17,2	24	0,8	1,8	1,4940	0,8670	4,54
4		39: 23	30	0,5	2,3	1,4952	0,8660	4,34

როგორც 1-ელი ცხრილიდან ჩანს მოცემულ სამივე ტემპერატურაზე ბენზოლის რაოდენობის გადიდება და შესაბამისად სპირტის რაოდენობის შემცირება საგრძნობლად ზრდის ეთილბენზოლის გამოსავალს, რაც განსაკუთრებით შეიმჩევა 320° -ზე. 320° -ზე რეგენერირებულ კატალიზატორზე 0,03 მოცულობით სიჩქარით 10 გ ეთილის სპირტის გატარების დროს გამოყოფილი გაზი შეიცავს 96,3 პროცენტ ეთილენს.


II. ბენზოლის ალკილირება ეთილენით ჩატარებულ იქნა 320° -ზე. 150 გ ბენზოლისა და 12 ლ ეთილენის კატალიზატორზე გატარებისას მიღებულ იქნა კატალიზატი, რომელიც ბენზოლის მოცილების შემდეგ გამოიხადა 132 — 136° -ის საზღვრებში (0,4 მლ).

III. ბენზოლის ალკილირება ეთილის ეთერით. 39 გ ბენზოლისა და 37 გ ეთერის ნარევი კატალიზატორზე გატარებით იძლევა 15 გ ალკილატს. გამოხდის შედეგად მიღებულ იქნა ფრაქციები:

130° -მდე 3 გ; 130 — 140° -მდე 5 გ; 160 — 180° -მდე 0,6 გ; 180 — 185° -მდე 1,8 გ; 180 — 210° -მდე 0,8 გ; 210 — 225° -მდე 2,0 გ.

განმეორებითი გამოხდის შედეგად შესწავლილია შემდეგი ფრაქციები:

1. ფრაქცია 135 — 136° ეთილბენზოლის დამახასიათებელი სუნით; იგი გამჭვირვალე უფერო სითხეა: n_D^{20} 1,4945; d_4^{20} 0,8680.



2. ფრაქცია 182—184° გამჭვირვალე სითხეა: n_D^{20} 1,4989; d_4^{20} 0,8748

რაც პარა-დიეთილბენზოლს პასუხობს.

3. ფრაქცია 211—218° დულ. ტემპ.-ით მოყვითალო დამახასიათებელი სუნის მქონე სითხეა, n_D^{20} 1.50520; d_4^{20} 0,8750, რომელიც ტრიეთილბენზოლების ნარევის უნდა წარმოადგენდეს.

IV. ბენზოლის ალკილირება ქლორიანი ეთილით ჩატარებულ იქნა წინათ აღწერილ პირობებში 39 გ ბენზოლისა და 8 გ ეთილქლორიდის ნარევის გატარებით 320°-ზე. გამოყოფილი HCl-ის შთანქმეხა ხდებოდა ლუმელსა და გაზომეტრს შორის სისტემაში ჩართული ნატრიუმის ტუტიანი გამრეცხით. ბენზოლის მოცილების შემდეგ მიღებული ალკილატი 2-ჯერ გამოხდის შედეგად იძლევა 2,6 გ (1,89 % ეთილბლორიდზე გადაანგარიშებით) გამჭვირვალე სითხეს 135—136° დულ. ტემპ.-ით. n_D^{20} 1,4952; d_4^{20} 0,8660, რაც ეთილბენზოლს პასუხობს.

გაზის ანალიზი ტარდებოდა BTU-2 ტიპის გაზანალიზატორზე. ანალიზის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

№ რიგზე	კატალიზატორზე გატარებული ნივთიერებები C 320°-ზე	გამოყოფილ გაზში შემავალი კომპონენტები პროცენტებით			
		C _n H _{2n}	CO ₂	H ₂	C _n H _{2n} +2
1	ბენზოლი: სპირტი	97,3	0,5	0,3	0,4
2	სპირტი	97	0,3	0,4	0,2
3	ბენზოლი : ეთერი	96,1	0,6	0,2	0,1
4	ეთერი	95,7	0,6	1,13	0,4
5	ბენზოლი: ქლორეთილი	99,1	—	0,18	0,55
6	პროპილქლორილი	93,3	—	0,2	0,3

დასკვნები


კვლევა-ძიების შედეგად დადგენილია ბენზოლის ალკილირების შესაძლებლობა ეთილის სპირტით, ეთილის ეთერით, ეთილენით და ეთილქლორიდით აირად ფაზაში გააქტივებული გუმბრინის მონაწილეობით.

აღმოჩნდა, რომ სპირტისა და ჰალოგენალკილის შემთხვევაში ბენზოლის ალკილირების შედეგად უპირატესად მონოალკილნაწარმები წარმოიქმნება, ხოლო ეთერის შემთხვევაში ხდება მონო- დი- და ტრიალკილწარმოებულთა ნარევის წარმოქმნა, რომელშიც აგრეთვე ძირითადი პროდუქტი მონოალკილბენზოლია.

ყველა შემთხვევაში ალკილირების მთავარ აგენტად შეიძლება მივიჩნიოთ შიგამოლეკულური დეჰიდრატაციისა და დეჰიდროჰალოგენების შედეგად წარმოქმნილი აქტიური ეთილენი, რის საფუძველზეც მოწოდებულია ბენზოლის ალკილირების სქემები.

ლიტერატურა

1. А. В. Фрост—ДАН, 37,255 (1942); А. А. Миховская и А. В. Фрост—ДАН, 37, 255 (1942); Д. М. Рудковский, Е. К. Серебрякова и А. В. Фрост—ДАН, 4, 359 (1936); А. Ф. Николаева и А. В. Фрост—ЖОХ, 13, 733 (1943); М. Д. Турова-Поляк и О. Б. Латиг—ЖПХ, 20, 251 (1947).



2. Х. И. Арешидзе—Исследование природы нефти Грузии и превращений углеводородов в присутствии гумбина, Изд. АН ГССР (1960).
3. Г. Л. Натансон и М. Я. Коган—ЖФХ, 17, 381 (1943).
4. Ю. Г. Мамедалиев—Изв. АН. ГССР, ОХ, 458 (1946).
5. И. Н. Самсонова—ЖОХ, 27, 2697 (1957); И. Н. Самсонова и И. Хостинцева—ЖОХ, 27, 3189 (1957).
6. М. Б. Турова-Поляк, Н. В. Руденко—ЖОХ, 30, 94 (1960).
7. М. Б. Турова-Поляк, Г. И. Левин, М. Е. Куимова, Л. М. Волкова—ДАН СССР, 89, 495 (1953); М. Б. Турова-Поляк, Н. В. Денисова и Г. Трешева—ЖОХ, 34, 1558 (1954); М. Б. Турова-Поляк, Н. В. Данилова и Н. В. Куклина—ЖОХ 26, 1936 (1956); И. П. Цукерванник и Н. Г. Сидорова—ЖОХ, 8, 1899 (1938).
8. А. Ногандели, Н. Схиртладзе—ЖОХ, 33, 1414 (1963).
9. Н. Н. Лебедев—ЖОХ, 24, 1782 (1954).
10. И. П. Цукерванник—ЖОХ, 20, 310 (1950).
11. K. D. Nenifzescu—J. ang. Chem., 52, 231 (1939).
12. McKenna, Sowa—J. Am. chem. Soc., 59, 470 (1937), 59, 1904 (1937).
13. Pines, Schmerling—J. Org. Chem., 5, 253 (1940). Heise, Ber. 27, 768 (1891); Коновалов—ЖРФХО, 27, 457 (1895); И. П. Цукерванник и др.—ЖОХ 7, 632 (1937); Bowden—J. Am. Chem. Soc., 60, 645 (1938).

ორგანული ქიმიის კათედრა

(შემოვიღა რედაქციაში 29. I. 1966 წ.).

А. И. НОГАДЕЛИ, Д. П. МАИСУРАДЗЕ

АЛКИЛИРОВАНИЕ БЕНЗОЛА ЭТИЛОВЫМ СПИРТОМ И ЭТИЛОВЫМ ЭФИРОМ В ГАЗОВОЙ ФАЗЕ В ПРИСУТСТВИИ АКТИВИРОВАННОГО ГУМБИНА

Резюме

В результате исследования установлена возможность алкилирования бензола этиловым спиртом, этиловым эфиром, этиленом и этилхлоридом в присутствии активированного гумбина. При этом оказалось, что в случае спирта и галогеналкила преимущественно образуется моноалкилбензол, а в случае эфира—смесь моно-, ди- и триалкилпроизводных бензолов, в которых, однако, преобладает моноалкилпроизводное.


Нам кажется, что во всех случаях главным агентом алкилирования был активный этилен, образовавшийся внутримолекулярной дегидратацией и дегидрогалогенированием спирта и галогеналкила, на основании которого нами предложены схемы алкилирования бензола.

ა. ნოლაძელი, ნ. კთვილიაშვილი

**5- (1-ოქსიცეკლოპენტილ)- 5-მეთილ-პენტენ-3-ენ-1-ოლ-5-ის
 სინთეზი და გარდაქმნები**


წინა შრომებში აღწერილი იყო როგორც ნორმალური [1], ისე იზო- [2] და ციკლური [3] რადიკალების შემცველი ოქსიკეტონების კონდენსაცია ვინილაცეტილენთან ფხვიერი KOH-ის მონაწილეობითა შენიშნული იყო, რომ ოქსიკეტონის აგებულება რეაქციის ნორმალურ მსვლელობაზე გავლენას ვერ ახდენს [4]. სინთეზირებული α ენინგლიკოლების Pd/CaCO₃ თანდასწრებით ჰიდრირებისას შევნიშნეთ ზოგიერთი კანონზომიერება.

წინამდებარე შრომაში ჰიდრირების პროცესზე რადიკალის გავლენის შესწავლის მიზნით ჩვენ მიერ სინთეზირებულ იქნა α -ენინ-გლიკოლების კიდევ ერთი წარმომადგენელი. 1-ოქსიცეკლოპენტილ—აცეტილკარბინოლზე ვინილაცეტილენის მოქმედებით (ცნობილ პირობებში) მივიღეთ 5- (1-ოქსიცეკლოპენტილ)-5-მეთილ-პენტენ-3-ენ-1-ოლ-5 ასეთი სქემის მიხედვით:



იგი ძნელად მოძრავი სითხეა დამახასიათებელი სუნით, რომელიც იხდება 109—112° 1 მმ წნევაზე. მისი გამოსავალია 47 0/0. α ენინგლიკოლების ჰომოლოგიური რიგის სხვა წევრების ჰიდრირებისას შენიშნული კანონზომიერებანი გვაფიქრებინებს, რომ ორი ჰიდროქსილის მეზობლად ყოფნა α მდგომარეობაში Pd/CaCO₃ მონაწილეობისას რეაქციას წარმართავს განაპირა ორმაგ ბმასთან. არ არის გამორიცხული ეთილენური α გლიკოლის წარმოქმნა, თუმცა ეს უკანასკნელი იმდენად სუსტად შეიმჩნევა, რომ მისი კვალის არსებობის დადგენა მხოლოდ სპექტრალური ანალიზითაა შესაძლებელი.


5- (1-ოქსიცეკლოპენტილ)- 5-მეთილ - პენტენ-3-ენ-1-ოლ-5 ჰიდრირება Pd/CaCO₃-ის მონაწილეობით წარმართა ჰომოლოგიური რიგის სხვა წევრების ანალოგიურად; 2 ატომი წყალბადის მიერთება ხდება ასეთი სქემის მიხედვით:



მიღებული ნივთიერება მოყვითალო ფერის ძნელად მოძრავი აცეტილენური α გლიკოლი 5-(1-ოქსიცეკლოპენტოლი)-5-მეთილ-პენტანოლ-5 იხდება 152° -ზე (4—5 მმ).

ჰიდრირების პროდუქტი არ მონაწილეობს დიენურ სინთეზებში მალენის ანჰიდრიდთან. ბუხოვეციტ (5) აცეტილენურ ბმაზე იგი იძლევა დადებით რეაქციას. სპექტრალური ანალიზი, ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურად აცეტილენური α -გლიკოლის წარმოქმნას პასუხობს.

ხსენებული α ენინგლიკოლი 4 ატომი წყალბადის მიერთების შედეგად იძლევა მხოლოდ ეთილენურ α გლიკოლს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორი ატომი წყალბადის მიერთების შედეგად წარმოქმნილი აცეტილენური α გლიკოლში— $C\equiv C$ —ბმა შერჩევითად ჰიდრირდება და იგი გარდაიქმნება მთლიანად ეთილენურ ბმაში:



ეთილენური გლიკოლი 5-(1-ოქსიცეკლოპენტოლი)-5-მეთილ-პენტან-3-ოლ-5 1 მმ წნევაზე იხდება $98-99^{\circ}$ -ზე, 4 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ ჰიდრირების სიჩქარეში გარდატეხა ხდება.

6 ატომი წყალბადის მიერთებით α ენინგლიკოლი ნაჯერში გადადის და უკანასკნელი 2 ატომი წყალბადის მიერთება გაცილებით დროის განმავლობაში მიმდინარეობს, რის შემდეგ რეაქცია პრაქტიკულად წყდება.

ნაჯერი α გლიკოლი 5-(1-ოქსიცეკლოპენტოლი)-5-მეთილ-პენტანოლ-5 ზეთისებრი სითხეა, დამახასიათებელი სუნიით და 1 მმ წნევაზე დულს 90° -ზე. ჰიდრირება ჯერადი კავშირების აღდგენის შემდეგ წყდება. ჰიდროქსილის ჯგუფები გლიკოლში საკმაოდ მდგრადია და ჰიდრირება მათ არ ეხება,

α ენინგლიკოლები ეთერიფიცირდება ოთახის ტემპერატურაზე ხანგრძლივი დაყოვნებისას, ძმარმუავა ანჰიდრიდისა და ფოსფორმუავას თანდასწრებით. გლიკოლის აგებულებისაგან დამოკიდებულებით ზოგჯერ მონო- ან დიეთერი წარმოიქმნება.

ანალოგიურ პირობებში 5-(1-ოქსიცეკლოპენტოლი)-5-მეთილ-პენტან-3-ენ-1-ოლ-5 იძლევა მხოლოდ დიეთერს. რთული დიეთერი, [5-(1-აცეტილ ცეკლოპენტოლი)-5-მეთილ-პენტან-3-ენ-1-აცეტილ-5] გლიკოლთან შედარებით მოძრავი სითხეა და 2—3 მმ წნევაზე დულს 127° -ზე. იგი მიიღება 25% გამოსავლით. ხსენებულ α ენინგლიკოლში გამოირიცხულია სივრცითი ფაქტორის გავლენა, რამაც განაპირობა დიეთერის წარმოქმნა.

მძვპრინიშნულ ნაწილი

5-(1-ოქსიცეკლოპენტილ)-5-მეთილ-პენტინ-3-ენ-1-ოლ-7 სინთეზი

ენინგლიკოლის მისაღებად გამოვიყენეთ ოქსიკეტონი ოქსიცეკლოპენტილ-აცეტილკარბინოლი, რომლის კონსტანტები ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს. რეაქციისათვის ავიღეთ 100 გ KOH და 30 გ ოქსიკეტონი, სარეაქციო ნარევი რეაქციის დროს გავაცივეთ ყინულიანი წყლით და თან გავატარეთ ვინილაცეტილენის სწრაფი ნაკადი. რეაქციის დაწყებიდან 5 საათის შემდეგ სარეაქციო ნარევის სათანადოდ დამუშავების შემდეგ მიღებული ნივთიერება 1 მმ წნევაზე ძირითადად გამოიხადა 109—112°-ზე. გლიკოლი ყვითელი ფერის ძნელად მოძრავი სითხეა, რომელიც მიიღება 14 გ (თეორიულის 47%) რაოდენობით.

ანალიზი ნივთიერებისა 109—112° დუღილის ტემპერატურით 1 მმ წნევაზე

d_4^{20} 1,0513; n_D^{20} 1,5238; MR_D 52,38; გამოთვლილია 51,66. ნაპოვნია %: C 73,64, 73,73; H 9,23, 9,32; OH 19,1, 18; $C_{11}H_{16}O_2$. გამოთვლილია %: C 73,33; H 8,88; OH 18,75.

5-(1-აცეტილციკლოპენტილ)-5-მეთილ-5-აცეტილ-პენტინ-3-ენ-1-ის სინთეზი

უკუმაცივრით მორგებულ მრგვალძირა კოლბში მოთავსებულ ახლად გამოხდილ 6 გ α ენინგლიკოლს დავუმატეთ 24 გ ახლადგამოხდილი ძმარმჟავა ანჰიდრიდი და 1 მლ ფოსფორმჟავა. ოთახის ტემპერატურაზე (24—25°) 160 საათით დაყოვნების შემდეგ სარეაქციო ნარევი დავამუშავეთ ჩვეულებრივი გზით. მივიღეთ 2 გ (თეორიულის 25%) გამჭვირვალე, შედარებით მოძრავი სითხე, დამახასიათებელი სუნით.

ანალიზი სითხისა, რომელიც 2—3 მმ წნევაზე დუღს 127°-ზე


d_4^{20} 1,0615; n_D^{20} 1,4868; MR_D 71,526. გამოთვლილია 70,806; ნაპოვნია %: C 68,45, 68,47; H 8,14, 7,97; $C_{15}H_{20}O_4$. გამოთვლილია %: C 68,22; H 7,57.

5-(1-ოქსიცეკლოპენტილ)-5-მეთილ-პენტინ-3-ენ-1-ოლ-5-ის ჰიდრირება Pd/CaCO₃ მონაწილეობით

1. ჰიდრირება 2 ატომი წყალბადის მიერთებით

α ენინგლიკოლის ჰიდრირება ვაწარმოეთ 50 მლ ეთილის სპირტში; P 728 მმ, t 19°, 1,44 გ ენინგლიკოლი. კატალიზატორის აქტივობა შემოწმებულ იქნა ტეტრამეთილბუტინდიოლზე, რომლის 0,01 გ-მოლმა 525 მლ წყალბადი შეიერთა 180 წუთში.

0,5 გ Pd/CaCO₃ თანდასწრებით ყოველ სამ წუთში შეერთებული წყალ-



ბადის რაოდენობაა 30, 25, 35, 50, 50, 10; სულ 18 წუთში შეიერთა (გამოთვლილია 191,6 მლ).

ჰიდრირების პროდუქტი, რომელიც გამოყავით სათანადო გადამუშავების შედეგად, 4—5 მმ წნევაზე იხდება 152°-ზე. იგი გამჭვირვალე, ძნელად მოძრავი სითხეა.

ანალიზი სითხისა, რომელიც 4—5 მმ წნევაზე 152°-ზე დუღს

d_4^{20} 1,0151; n_D^{20} 1,4968; MR_D 52,38; გამოთვლილია 52,28. ნაპოვნია %: C 72,55, 72,66; H 9,31, 9,89; $C_{11}H_{18}O_2$. გამოთვლილია %: C 72,41; H 9, 89.

აღნიშნული ნაერთი მალეინის ანჰიდრიდთან დიენურ სინთეზში არ მონაწილეობს, ბუხოვეციით იგი იძლევა აცეტილენისათვის დამახასიათებელ რეაქციას. სპექტრალური ანალიზი წინათ შესწავლილი ენინგლიკოლის ჰიდრირების დროს მიღებული შედეგის ანალოგიურია. სპექტრალური ანალიზი ერთხელ კიდევ ადასტურებს α აცეტილენური გლიკოლის მიღებას.

2. ჰიდრირება 4 ატომი წყალბადის მიერთებით

50 მლ C_2H_5OH , P 731 მმ, t 20° 1,25 გ α ენინგლიკოლი.

0,5 გ Pd/CaCO₃-ის კატალიზატორობით ყოველ სამ წუთში შთანთქმული წყალბადის რაოდენობა: 39, 39, 25, 30, 40, 30, 25, 25, 30, 25, 25; სულ მიერთებულ იქნა 342 მლ 36 წუთში (გამოთვლილია 350 მლ).

გამხსნელის მოცილების შემდეგ ჰიდრირების პროდუქტი მთლიანად გამოიხდა 98—99°-ზე 1 მმ. გამოსახდელ კოლბში დარჩა უმნიშვნელო რაოდენობით შეფისული მასა.

ანალიზი სითხისა, რომელიც 1 მმ წნევაზე დუღს 98—99°-ზე

d_4^{20} 1,0154, n_D^{20} 1,4900; MR_D 52,38; გამოთვლილია 53,018.

ნაპოვნია %: C 72, 30, 72, 54; H 12,34, 12,0;


$C_{11}H_{20}O_2$. გამოთვლილია %: C 71, 73; H 10, 90.

ბუხოვეციით ნივთიერება აცეტილენისათვის დამახასიათებელ რეაქციას არ იძლევა.

3. ჰიდრირება 6 ატომი წყალბადის მიერთებით

1,4 გ α ენინგლიკოლი, 50 მლ C_2H_5OH , P 729 მმ, t 18°, 3 H₂ 580 მლ. 0,5 Pd/CaCO₃-ის კატალიზატორობით ყოველ სამ წუთში შთანთქმული წყალბადის რაოდენობა: 30, 40, 40, 35, 40, 30, 20, 10, 10, 10, 15, 10, 5, 7, 5, 5. დარჩენილი რაოდენობა შეიერთა 24 საათში, 580 მლ შთანთქმულ იქნა 24 საათში და 51 წუთში (გამოთვლილია 574 მლ).

ჰიდრირების პროდუქტს მოვაშორეთ კატალიზატორი და გამხსნელი, დარჩენილი სითხე გამოიხდა 1 მმ წნევაზე 90°-ზე. იგი ძნელად მოძრავი სითხეა.



ანალიზი ხითხისა, რომელიც 1 მმ წნევაზე დუღს 90°-ზე

d_4^{20} 1,0233; n_D^{20} 1,4881; MR_D 52, 31; გამოთვლილია 53,99. ნაპოვნია %: C 71,49, 71,19; H 11,47, 11,30; OH 18,24, 19,7; $C_{11}H_{20}O_2$. გამოანგარიშებულია %: C 70, 96; H 11,82; OH 18, 62.

დასკვნა

1. ჩვენ მიერ პირველადაა სინთეზირებული და აღწერილი α ენინგლიკოლი -5- (1-ოქსიციკლოპენტილ) -5-მეთილ-პენტინ-3-ენ-1-ოლ-5.

2. შესწავლილია აღნიშნულ ციკლოპენტოლის რადიკალის შემცველი ენინგლიკოლის საფეხურებრივი ჰიდრირება Pd/CaCO₃-ის მონაწილეობით. ჰომოლოგიური რიგის სხვა წევრების ჰიდრირებისას შენიშნული კანონზომიერებანი ამ შემთხვევაშიც ანალოგიურად მეორდება: 2 ატომი წყალბადის მიერთება მიმდინარეობს ვინილის ჯგუფთან და წარმოიქმნება აცეტილენური α გლიკოლი 5-(1-ოქსიციკლოპენტილ)-5-მეთილ-პენტინ-3-ოლ-5. ოთხი და 6 ატომი წყალბადის მიერთების შედეგად შესაბამისად მიიღება: 5-(1-ოქსიციკლოპენტილ)-5-მეთილ-პენტინ-3-ოლ-5 და 5-(1-ოქსიციკლოპენტილ)-5-მეთილ-პენტანოლ-5. პირველადაა აგრეთვე აღწერილი ხსენებული ჰიდრირების პროდუქტები. α ენინგლიკოლის ეთერიფიკაციის შედეგად პირველადაა აღწერილი ძმარმჟავა რთული ეთერი—5-(1-აცეტილციკლოპენტილი)-5-მეთილ-პენტინ-3-ენ-1-აცეტილ-5.

ლიტერატურა

1. А. И. Ногандели, Н. А. Ртвелиашвили—ЖОХ, 6, 1737 (1964).
2. ა. ნოღაიდელი, ე. რთველიაშვილი—თსუ შრომები, ტ. 104 (1964).
3. ა. ნოღაიდელი, ნ. რთველიაშვილი—თსუ შრომები, ტ. 104 (1964).
4. И. Н. Назаров, И. В. Торгов—Изв. АН СССР, 129 (1943).
5. С. В. Буховец—ЖОХ, 11, 1046 (1941).

ორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიდა რედაქციაში 7. 11. 1966 წ.).

А. И. НОГАИДЕЛИ, Н. А. РТВЕЛИАШВИЛИ

**СИНТЕЗ И ПРЕВРАЩЕНИЕ 5- (1-ОКСИЦИКЛОПЕНТИЛ)-
5-МЕТИЛПЕНТИН-3-ЕН-1-ОЛА-5**

Резюме

Нами впервые синтезирован и описан α -енин-гликоль-5-(1-оксициклопентил)-5-метилпентин-3-ен-1-ол-5.

Изучено ступенчатое гидрирование указанного α -енин-гликоля в присутствии Pd/CaCO₃. Установлено, что гликоль гидрируется ступенчато и присоединением первых двух атомов водорода к винильной группе обра-

16.03.53
202 01101335


зует ацетиленовый α -гликоль-5-(1-оксициклопентил)-5-метилпентин-3-ол-5. Присоединением же 4 и 6 атомов водорода соответственно образуется 5-(оксициклопентил)-5-метилпентен-3-ол-5 и 5-(1-оксициклопентил-5)-5-метилпентанол-5. α -енингликоль в присутствии уксусного ангидрида образует сложный уксусный эфир 5-(1-ацетилциклопентил)-5-метилпентин-3-ен-1-ацетил 5, который также впервые описан нами.

ა. ნოდელიძე,
 ბ. ძაბანიძე, ე. ხონელიძე

4-მეთილ-დიკენ-5-ენ-8-დიოლი-4,7-ის სინთეზი და გარდაქმნები

წინა ნაშრომში [1] შევისწავლეთ 3-მეთილ-ნონინ-4-ენ-7-დიოლი-3,6-ის სინთეზისა და კატალიზური ჰიდრირების საკითხი, რამაც გვიჩვენა, რომ მისი ჰიდრირება პლატინის შავით ნელა მიმდინარეობს; 6 ატომი წყალბადის მიერთების შედეგად ნაჯერი გლიკოლის ნაცვლად სპირტი წარმოიქმნება, კალციუმის კარბონატზე დალექილი პალადიუმის მონაწილეობით ჰიდრირების შედეგად ხსენებული ენინგლიკოლი ენერგიულად იერთებს 4 ატომ წყალბადს და 6 ატომი წყალბადის მიერთებით იძლევა ნაჯერ სპირტს.

წინამდებარე შრომში განვიზრახეთ კიდევ ერთ მაგალითზე შეგვესწავლა ხსენებული ტიპის ნაერთთა სინთეზისა და ჰიდრირების პროცესი, რისთვისაც ზემოაღნიშნული ენინგლიკოლის ჰომოლოგი—4-მეთილ-დიკენ-5-ენ-8-დიოლი-4,7.



სინთეზირებულ იქნა მაგნიუმბრომმეთილპროპილეთინილალკოჰოლატის მოქმედებით კროტონის ალდეჰიდზე. ენინგლიკოლი [1] ზეთისებრი მოყვითალო გამჭვირვალე სითხეა 120—121° დუღილის ტემპერატურით 1—2 მმ წნევაზე, რომლის გამოსავალი 32,4% აღწევს.

ამრიგად, ამ შემთხვევაშიც დასტურდება ჩვენ მიერ წინათ გამოთქმული მოსაზრება—უჯერი ალდეჰიდის ვინილის ჯგუფში ჩანაცვლებული მეთილის რადიკალის უარყოფითი გავლენის შესახებ ენინგლიკოლის გამოსავალზე.

პლატინის შავის მონაწილეობის შემთხვევაში ჰიდრირების დროს განმეორდა წინათ შენიშნული მოვლენა—ენინგლიკოლი 6 ატომი წყალბადის მიერთების შედეგად ნაჯერ კარბინოლში გადადის, ე. ი. ხდება ერთ-ერთი ჰიდროქსილის ჯგუფის მოხლეჩა. ჰიდრირებული პროდუქტი (ნაჯერი კარბინოლი) 1—2 მმ წნევაზე იხდება 72—74°-ზე; იგი გამჭვირვალე უფერო სითხეა. მაღალ ფრაქციაში შემჩნეულია აცეტილენური ნაერთის არსებობა. 6 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ რეაქციის ხელოვნურად შეწყვეტის გარეშე ენინგლიკოლი იერთებს 4 მოლეკულა წყალბადს (1087 მლ) 6 საათსა და 30 წუთში, რის გამოც მიღებული ნაერთი მხოლოდ ნაჯერ კარბინოლს წარმოადგენს.



კალციუმის კარბონატზე დალექილი პალადიუმის მონაწილეობით ენინგლიკოლი [1] შედარებით ენერგიულად იერთებს 4 ატომ წყალბადს. შეიმჩნევა რადიკალის გართულების გავლენა ჰიდრირების რეაქციის სიჩქარეზე [2]. გლიკოლი



საბოლოოდ იერთებს 6 ატომ წყალბადს და ნაჯერი გლიკოლის ნაცხით (ნაჯერი სპირტი მიიღება, 72—74° დულ. ტემპ. 1—2 მმ წნევაზე. ეს ნაცხი იმასვე მიგვითითებს, რომ მხოლოდ კატალიზატორის ბუნებით არ განისაზღვრება ჰიდრირების დროს ჰიდროქსილის მოხლეჩის შესაძლებლობა, არამედ ამ დროს თვით ნაერთის ბუნება და რადიკალების გავლენაც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ამრიგად, ენიგლიკოლის 2 ჰიდროქსილიდან ორთავე კატალიზატორის გამოყენების შემთხვევაში ერთი და იგივე ჰიდროქსილი შორდება ნაერთს და ერთი და იგივე ნივთიერება წარმოიქმნება.

მიუხედავად იმისა, რომ 6 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ ჰიდრირება ნელა წარიმართა და ამიტომ იგი შევწყვიტეთ ხელოვნურად, მაინც ნარევიდან ინტენტიფიცირებულ იქნა მხოლოდ ნაჯერი სპირტი და აგრეთვე მცირე რაოდენობით რეაქციაში შეუსვლელი აცეტილენური გლიკოლი, რომლის ხარჯზედაც ალბათ ხდებოდა სპირტის ჯგუფის ჰიდრირება და მოხლეჩა.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ენიგლიკოლის ჰიდრირების პროცესი შეიძლება გამოისახოს ასეთი სქემის მიხედვით:



მოსალოდნელი ორი იზომერული ნაჯერი სპირტიდან, როგორც წინათაც იყო შენიშნული, მიღებული ნაერთი 72—74° დულილის ტემპერატურით 1—2 მმ წნევაზე შეესაბამება (II) ფორმულას, რადგან (III) ფორმულაში ჰიდროქსილი სივრცითი ფაქტორის გავლენის შედარებით ნაკლებ ზონაში იმყოფება და მისი მოხლეჩა ადვილად უნდა მოხდეს.

მესპერიმენტული ნაწილი

4-მეთილ-დეკინ-5-ენ-8-დიოლი-4,7-ის სინთეზი

მაგნიუმორგანულ ნაერთს, რომელიც მიღებული იყო 17 გ მაგნიუმისა და 77 გ ეთილბრომისაგან, ოთახის ტემპერატურაზე მექანიკური არევის პირობებში წვეთობით დაუმატეთ 38 გ მეთილპროპილენთინილკარბინოლი, რომელიც განზავებული იყო ამდენივე მშრალ ეთერში. სარეაქციო ნარევი დავაყოფეთ დღე-ღამის განმავლობაში და მას—14—15°-ზე გაცივების პირობებში წვეთობით დაუმატეთ ტოლი რაოდენობა მშრალ ეთერში განზავებული ახლად გამოხდილი 23,7 გ კროტონის ალდეჰიდი, დანარჩენი პროცედურები ჩატარდა წინა შრომაში აღწერილი წესების დაცვით. მიღებული პროდუქტის შემცირებულ წნევაზე ორჯერ გამოხდის შედეგად 1—2 მმ წნევაზე საბოლოოდ მივი-

ღებ ნივთიერება 120—121° დუღილის ტემპერატურით. იგი სქელი მოყვითალო ფერის გამჭვირვალე მოძრავი სითხეა და მისი გამოსავალი 32—34 % აღწევს.

ანალიზი ნივთიერებისა, რომელიც 1—2 მმ წნევაზე დუღს 120—121°-ზე

d_{20}^{20} 0,9708, n_D^{20} 1,4803; MR_D 53,3; გამოთვლილია 53,58. ნაპოვნია %: C 71, 61; 71, 74; H 10, 22; 10, 15; M 182,5; OH 19,09; გამოთვლილია %: C 72,4; H 9, 88; M 182; OH 18,77.

ენინგლიკოლის 4-მეთილ-დეკინ-5-ენ-8-დიოლი-4,7-ის ჰიდრირება პლატინის შავის მონაწილეობით

ჰიდრირებისათვის აღებული იყო 2,184 გ ენინგლიკოლი, 50 მლ სპირტი, 1 გ პლატინის შავი. t 21°, P 721 მმ, 3H₂ 939 მლ ყოველ 3 წუთში ენინგლიკოლმა შეიერთა წყალბადი (მლ-ით): 235, 129, 101, 68, 62, 55, 50, 42, 41, 37 და ა. შ. სულ 3,30 წუთში შეიერთა 935 მლ წყალბადი.

შემდეგი ცდა ჩავატარეთ ჰიდრირების რეაქციის შეუწყვეტლად 6 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ და აღმოჩნდა, რომ ენინგლიკოლი სულ იერთებს 8 ატომ წყალბადს 6 საათსა და 30 წუთში. ჰიდრირების სიჩქარე ზემოაღნიშნულის ანალოგიურია და ჰიდრირების პროდუქტის გამოხდის შედეგად მიიღება მხოლოდ შესაბამისი იგივე ნაჯერი სპირტი 72—74° დულ. ტემპერატურით 1—2 მმ წნევაზე.

ანალიზი ნივთიერებისა, რომელიც 1—2 მმ წნევაზე დუღს 82—74°-ზე

d_{20}^{20} 0,0608, n_D^{20} 1,4380; MR_D 52,5; გამოთვლილია 54,2; ნაპოვნია %: C 76,55; H 14,0; OH 9,08; C₁₁H₂₄O. გამოთვლილია %: C 76,74; H 13,9; OH 9,9.

ენინგლიკოლის 4-მეთილ-დეკინ-5-ენ-8-დიოლი-4,7-ის ჰიდრირება Pd/CaCO₃-ის მონაწილეობით

ჰიდრირებისათვის აღებული იყო 2,0436 გ ენინგლიკოლი, 50 მლ C₂H₅OH 1,5 გ კატალიზატორი. t 20°, P 124 მმ, 3H₂ 872 მლ. ყოველ 3 წუთში ენინგლიკოლმა შეიერთა წყალბადი (მლ-ით): 275, 170, 65, 26, 20, 10 და ა. შ. სულ 19 საათში შეიერთა 1003 მლ წყალბადი. ნივთიერების გამოხდის შედეგად 1—2 მმ წნევაზე მიღებულ იქნა ფრაქცია 70—72° და 90—108° დუღილის ტემპერატურით (მცირე რაოდენობით), რომელთაგან უკანასკნელი ფრაქცია ბუხოვეციით იძლევა აცეტილენზე დამახასიათებელ რეაქციას და ენინგლიკოლის დამახასიათებელ თვისებას ამჟღავნებს. განმეორებით ჰიდრირებამ ანალოგიური შედეგი მოგვცა.



ანალიზი ნივთიერებისა 70—72° დუღილის ტემპერატურით 1—2 მმ წვევსა

d_{20}^{20} 0,8590; n_D^{20} 1,439; MR_D 52,54; გამოთვლილია 54,52; ნაპოვნია: C 76, 11; 76,31; H 14,02; 14,22; OH 12,8; $C_{11}H_{24}O_3$. გამოთვლილია %: C 76,74; H 13,9; OH 11,35.

დასკვნები

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადასტურებულია წინათ შემჩნეული ფაქტი, რომ γ -ჰუჯერ ალდეჰიდებში ვინილის ჯგუფში რადიკალის ჩანაცვლებით მაგნიუმორგანული ნაერთების მოქმედების დროს მცირდება შესაბამისი ენინგლიკოლის გამოსავალი.

პირველადაა სინთეზირებული და აღწერილი ენინგლიკოლი 4-მეთილ-დეკინ-5-ენ-8-დიოლი-4,7. აღნიშნული ენინგლიკოლი პლატინის შავის მონაწილეობით ენერგიულად, რეაქციის თანდათანობითი შენელებით იერთებს 6 ატომ წყალბადს და იგი ერთი ჰიდროქსილის დაკარგვის შედეგად ნაჯერ სპირტს—4-მეთილ-დეკანოლ-4-ს იძლევა, რომელიც ჩვენ მიერ აგრეთვე პირველადაა აღწერილი.

ენინგლიკოლი პალადიუმის კატალიზატორით ჰიდრირების შედეგად აგრეთვე იერთებს 6 ატომ წყალბადს და ამ დროს შეიმჩნევა რადიკალის გართულების გავლენა ჰიდრირების რეაქციის სიჩქარეზე, მასთან ამ შემთხვევაშიც ჰიდრირების საბოლოო პროდუქტია ნაჯერი კარბინოლი—4-მეთილ-დეკანოლ-4.

ლიტერატურა

1. ა. ნოღაიდელი, ქ. ძაგნიძე—3-მეთილ-ნონან-4-ენ-7-დიოლი-11-6-ის სინთეზი და კატალიზური ჰიდრირება. 1962 წლის სამეცნიერო კვლევის ანგარიში.

2. А. И. Ногаидели, К. Я. Дзагнидзе и Р. Ю. Папава—ЖОХ, 28, 116 (1958); А. И. Ногаидели, К. Я. Дзагнидзе и Н. Уридия—ЖОХ, 25, 2225 (1955). А. И. Ногаидели, К. Я. Дзагнидзе, Г. Пагава и Т. К. Кверенчхладзе—ЖОХ, 29, 123 (1959).

ორგანული ქიმიის კათედრა
(შემოვიდა რედაქციაში 8. II. 1966 წ.).

А. И. НОГАИДЕЛИ, К. Я. ДЗАГНИДЗЕ, Е. А. ХОНЕЛИДЗЕ

СИНТЕЗ И ПРЕВРАЩЕНИЕ 4-МЕТИЛ-ДЕКИН-5-ЕН-8-ДИОЛА-4,7

Резюме


В результате исследования подтвержден ранее замеченный нами факт, что выход енингликолей, в зависимости от усложнения строения α -, β -непределных альдегидов, снижается.

Впервые нами описан енингликоль 4-метил-декин-5-ен-8-диол-4,7, который присоединением 6 атомов водорода в присутствии платиновой черни и отщеплением одного из двух гидроксидов образует 4-метил-деканол-4. Такое же явление наблюдается и при гидрировании в присутствии коллоидального палладия.


ა. ნოლაიძელი, ძ. ძაგნიძე

3-მეთილ-ნონინ-4-მ-7-დიოლი-3.6-ის სინთეზი და კაგალიზური ჰიდრირება

სისტემატური გამოკვლევების შედეგად ჩვენ მიერ ამ უკანასკნელ პერიოდში შესწავლილია α, β -უჯერ აღდებიდებზე უჯერი მაგნიუმორგანული ნაერთების მოქმედების საკითხი, რამაც გვიჩვენა, რომ აღნიშნული ტიპის აღდებიდებიდან შედარებით ენერგიულად რეაგირდება და უკეთესი გამოსავლით იძლევა ენინგლიკოლს ჰომოლოგიური რიგის პირველი წევრი აკროლეინი (61%-მდე), ხოლო კროტონის აღდებიდებთან მაგნიუმბრომდიმეთილითილა-კოპოლატი ძნელად შედის რეაქციაში, რის შედეგადაც ენინგლიკოლის გამო-სავალი 26% არ აღემატება [1]. ეს ალბათ იმიტომ არის გამოწვეული, რომ მეტილის რადიკალის ზეგავლენით რადიკალთან დაკავშირებული ორმაგი ბმის პოლარიზაციის შედეგად II ელექტრონების გადაწევის გამო კარბონილის ჯგუფის მიმართულებით, ამ უკანასკნელის მეზობლად მდებარე ნახშირბადაზე იზრდება ელექტრონული სიმკვრივე, რაც ამცირებს კარბონილის ნახშირწყალ-ბადის დადებითი მუხტის სიდიდესა და მის გავლენას კარბინოლის ჯგუფის პოლარიზაციაზე:



ამიტომ მეტალორგანული ნაერთი ძნელად უერთდება კარბონილის ჯგუფს, რაც თავისთავად ცხადია ამცირებს მისაღები პროდუქტის გამოსავალს. აკროლეინი, რომელსაც ორმაგი ბმის მაპოლარიზებელი ჩანაცვლებული ჯგუფი არ გააჩნია, უკეთესად რეაგირდება მეტალორგანულ ნაერთთან, ალბათ ვინილის რადიკალის გავლენით, რომელიც ხელს უწყობს კარბონილის ჯგუფის პოლარიზაციას ასეთი სქემის მიხედვით:




ვინილის რადიკალის შედარებითი სტაბილურობა გაპირობებულია ჩანაცვლებული ჯგუფის უქონლობით. მეორე მხრივ შევისწავლეთ ხსენებული ენინგლიკოლების ჰიდროგენიზაცია კოლოიდური პალადიუმისა და პლატინის შავის




მონაწილეობით, რამაც გვიჩვენა, რომ მიღებული ენინგლიკოლის ტენ-1-ინ-4-დიოლი-3, 6-ის 0,01 გ მოლი კოლოიდური პალადიუმის მოხაჯებით 6 ატომ წყალბადს იერთებს 48 წუთში, ხოლო პლატინის შავის მონაწილეობით 6 ატომი წყალბადი ენინგლიკოლს უერთდება 60 წუთში.

სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მივიღეთ კროტონის ალდეჰიდიდან და მაგნიუმბრომიდითილეთილეთინილაკოლატისაგან მიღებული ენინგლიკოლის—7-მეთილ-ოქტენ-2-ინ-5-დიოლი-4,7-ის ჰიდრირების დროს. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ენინგლიკოლის 0,01 გ მოლი მხოლოდ კოლოიდური პალადიუმის რაოდენობის ვადიდებით იერთებს 6 ატომ წყალბადს 4 საათის განმავლობაში, ხოლო პლატინის შავის იმავე რაოდენობა ნაჯერამდე აჰიდრირებს გლიკოლს 20 საათის განმავლობაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც აკროლენიდან მიღებულ ენინგლიკოლის ვინილის ჯგუფთან დაკავშირებული რადიკალი მახოლარიზებულ გავლენას ახდენს მოლეკულაში ერთი ვინილის ჯგუფის მიმართულებით:




რაც აპირობებს ჰიდრირების რეაქციის ინტენსივობას; რაც შეეხება ისეთ ენინგლიკოლს, რომელშიც ვინილის ჯგუფთან დაკავშირებულია რადიკალი. ე. ბ. იგი ორჩანაცვლებულია, მაშინ მეზობელ ნახშირბადებთან მყარდება ელექტრონული სიმკვრივის ერთგვარი წონასწორობა ასეთი სქემის მიხედვით:



თუმცა აღნიშნული რადიკალების გავლენა პოლარიზაციის ხარისხზე შესაძლოა სხვადასხვა იყო და ამიტომ ცალკეულ ნახშირბადზე მოსალოდნელია ელექტრონული სიმკვრივის მეტ-ნაკლები სიდიდე. ასეთ სისტემებში ჰიდრირება ძნელად უნდა მიდიოდეს, რაც ექსპერიმენტით დასტურდება.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ მიგველო და შეგვესწავლა კიდევ ერთი წარმომადგენელი ისეთი ენინგლიკოლებისა, რომლებიც ვინილის ჯგუფთან დაკავშირებულ რადიკალს შეიცავს, რისთვისაც მაგნიუმბრომიდითილეთილეთინილაკოლატისა და კროტონის ალდეჰიდის ურთიერთმოქმედების შედეგად მივიღეთ ენინგლიკოლი—3-მეთილ-ნონი-4-ენ-7-დიოლი-3,6





იგი ზეთისებრი მოყვითალო ფერის სითხეა 127—129° დუდილის ტემპერატურით 5—6 მმ წნევაზე. მისი გამოსავალი 30% არ აღემატება, რაც ეთანხმება ჩვენ მიერ მოწოდებულ ზემოაღნიშნულ რეაქციის სქემას.

მეორე მხრივ ჩვენ გვანტერესებდა ხსენებული ენინგლიკოლის ჰიდრირების ხასიათის შესწავლა პლატინის შავისა და კალციუმის კარბონატზე დალექილი

პალადიუმის მონაწილეობით. აღმოჩნდა, რომ პლატინის შავის მონაწილეობით ენინგლიკოლი ჰიდრირდება ნელა და ჰიდრირების დროს შეიმჩნევა ის კანონზომიერებანი, რომელიც შენიშნული იყო მსგავსი ენინგლიკოლის პირველი ჰომოლოგიის ჰიდრირების შემთხვევაში.

ხსენებული ენინგლიკოლის ჰიდრირების შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ნაჯერი ერთატომიანი სპირტი, რაც წინა ჰომოლოგიის ჰიდრირების დროს არ შეგვიძინა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ენინგლიკოლს არ შეუერთებია თეორიულად გაანგარიშებულ წყალბადზე მეტი, აცეტილენური ენინგლიკოლის მცირე ნაწილი რეაქციაში შეუსვლელი დარჩა, რომლის ხარჯზე მოხდა ერთ-ერთი ჰიდროქსილის ჯგუფის ელიმინირება ასეთი სქემის მიხედვით:



ჰიდროქსილის ჯგუფის მოხლეჩა ჰიდრირების დროს შენიშნეთ სხვა მაგალითზეც (2).

მიღებული ნაჯერი სპირტი უფრო გამჭვირვალე მოძრავი სითხეა 58—60° დუღილის ტემპერატურით 2—3 მმ წნევაზე. რადგან მეორადი ჰიდროქსილი შედარებით უფრო სივრცითი დაბრკოლების სფეროს გარეთ მდებარეობს, ამიტომ მოსალოდნელია სწორედ ეს ჰიდროქსილი აღსდგეს და მიღებული კარბინოლი 1 სტრუქტურას პასუხობდეს.

ჩვენ პირველად ვაწარმოეთ ხსენებული ტიპის ენინგლიკოლის ჰიდრირება კალციუმის კარბონატზე დალექილი პალადიუმით, რამაც გვიჩვენა, რომ ენინგლიკოლი ენერგიულად იერთებს 4 ატომ წყალბადს, რის შემდეგ ჰიდრირება ძალზე ნელა მიმდინარეობს და ენინგლიკოლი სულ 3 მოლეკულა წყალბადს იერთებს 11 საათის განმავლობაში. ხორბლის სახამებელზე დალექილ კოლოდიურ პალადიუმთან შედარებით აღნიშნული კატალიზატორი ენინგლიკოლს ნელა აჰიდრირდებს, მაგრამ კანონზომიერება, რომ 4 ატომი წყალბადი ენინგლიკოლს ენერგიულად უერთდება, ძალაში რჩება ამ შემთხვევაშიც.

6 ატომი წყალბადის მიერთების შედეგად მიღებული ნივთიერება 2—3 მმ წნევაზე იხდება 60—62°-ზე. იგი გამჭვირვალე, უფრო, შედარებით მოძრავი სითხეა და წარმოადგენს ნაჯერ სპირტს [1].

მესპერიმენტული ნაწილი

3-მეთილ-ნონინ-4-ენ-7-დიოლი-3,6-ის სინთეზი

მაგნიუმორგანულ ნაერთს, რომელიც მიღებული იყო 16,6 გ მაგნიუმისა და 75 გ ეთილბრომიდისაგან, ოთახის ტემპერატურაზე მექანიკური არევის



პირობებში წვეთობით დაჯუმატეთ 33 გ მეთილეთილეთინილკარბინის მონაწილეობით მელიც განზავებული იყო იმავე რაოდენობა მშრალ ეთერში. სარეაქციო ნარევი დაჯუჯვენეთ 24 საათის განმავლობაში, რომელსაც—12—13°-ზე წვეთობით დაჯუმატეთ ტოლი რაოდენობა მშრალ ეთერში განზავებული ახლად გამოხდილი კროტონის ალდეჰიდი. 15 საათით დაჯუჯვენების შემდეგ (ზოგჯერ მორევით) სარეაქციო ნარევი დაჯუმალეთ 26 % ანი ამონიუმის ქლორიდით; ეთერსნარის გამოყოფის შემდეგ წყალსნარიდან რამდენიმეჯერ ვაწარმოეთ ეთერით გამოწვლილვა. გაერთიანებული ეთერსნარი ნატრიუმის სულფატზე გაშრობის შემდეგ გამოვხადეთ ვაკუუმზე, რის შედეგად 5—6 მმ წნევაზე მივიღეთ შემდეგი ფრაქციები: 105—120°, 120—127° და 127—129°.

მეორე და მესამე ფრაქციის განმეორებით გამოხდის შედეგად, საბოლოოდ იმავე წნევაზე მივიღეთ ნივთიერება 127—129° დუღილის ტემპერატურით, რომლის თეორიული გამოსავალი 30—35 % აღწევს. ნივთიერება სქელი ზეთისებრი ძნელად მოძრავი, ოღნავ მოყვითალო გამჭვირვალე სითხეა.

ანალიზი ნივთიერებისა, რომელიც 5—6 მმ წნევაზე დუღს 127—129°-ზე

d_{20}^{20} 0,9897; n_D^{20} 1,4860; MR_D 48, 78; გამოთვლილია 48, 96; ნაპოვნია %: C 70,74; 71, 50; H 9,89; 9,77; M 169,0; 165,2; OH 22,59, $C_{10}H_{12}O$. გამოთვლილია %: C 71,42; H 9,4; M 168; OH 22,97.

მ-მეთილ-ნონინ-4-ენ-7-დიოლი-მ, ნ-ის ჰიდრირება პლატინის შავის მონაწილეობით

ჰიდრირებისათვის აღებული იყო 2,414 ენინგლიკოლი, 50 მლ C_2H_5OH , 1 გ პლატინის შავი. 18°, 730 მმ, $3H_2$ —1095 მლ ყოველ 3 წუთში ენინგლიკოლმა შეეერთა წყალბადი (მლ-ით): 154, 62, 48, 36, 24 და ა. შ. სულ 7 საათში შეეერთა 1095 მლ წყალბადი.

გამოხდის შედეგად მივიღეთ ფრაქციები 58—60° დუღ. ტემპერატურით (ძირითადი ფრაქცია) და 90—103° 2—3 მმ წნევაზე (მცირე რაოდენობით), რომელიც ბუზოვეცით იძლევა აცეტილენისათვის დამახასიათებელ რეაქციას.

ჰიდრირების განმეორებამ ანალოგიური შედეგი მოგვცა.

ანალიზი ნივთიერებისა, რომელიც 2—3 მმ წნევაზე დუღს 58—60°-ზე

d_{20}^{20} 0,8545, n_D^{20} 1,4450, MR_D 49,21; გამოთვლილია 49,9; ნაპოვნია %: C 75, 05, 75, 09; H 13, 38; 13, 41; OH 12, 82; $C_{10}H_{12}O$. გამოთვლილია %: C 75, 94; H 13, 92; OH 12, 12.

მ-მეთილ-ნონინ-4-ენ-7-დიოლი-მ, ნ-ის ჰიდრირება Pd/CaCO₃-ის მონაწილეობით

ჰიდრირებისათვის აღებული იყო 2,3665 გ ენინგლიკოლი, 50 მლ ეთილის სპირტი, 1 გ კატალიზატორი. 18°, 733 მმ, $3H_2$ 1068 მლ. ჰიდრირება

დაიწყო კატალიზატორისა და დასაჰიდრირებელი ნაერთის სპირტის ურთიერთში არევიდან 9 წუთის შემდეგ და აგრეთვე გარკვეულ მომენტამდე ჰიდრირების რეაქციის სიჩქარის თანდათანობით მკვეთრი ზრდით—ყოველ 3 წუთში ენინგლიკოლმა შეიერთა წყალბადი (მლ-ით): 145, 300, 190, 82, 42, 23 და ა. შ. სულ 11 საათში შეიერთა 1068 მლ წყალბადი.

ჰიდრირების პროდუქტის სათანადოდ გადამუშავების შემდეგ ნაერთი იხდება 2—3 მმ წნევაზე, 60—62° ტემპერატურაზე. იგი გამჭვირვალე, მოძრავი სითხეა.

d_{20}^{20} 0,8469; n_D^{20} 1,440; M_{rD} 49,18; გამოთვლილია 49,9; ნაპოვნია %: C 76,03 76,00; H 14, 11, 14, 11; OH 11, 35; $C_{10}H_{22}O$. გამოთვლილია %: C 75,94; H 13, 92; OH 10, 59.

დასკვნები

წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად, ცხიმოვანი რიგის α, β -უჯერი ალდეჰიდებისა და მაგნიუმბრომეთინილალკოჰოლატების ურთიერთქმედების დროს შემჩნეულია გარკვეული კანონზომიერება, რაც მდგომარეობს შემდეგში: ჰომოლოგიური რიგის პირველი წევრი აკროლენი გაცილებით ენერგიულად რეაგირდება უჯერ მაგნიუმორგანულ ნაერთებთან, რის გამოც ენინგლიკოლის გამოსავალი უკეთესია, ვიდრე კროტონის ალდეჰიდის გამოყენების შემთხვევაში.

პირველადაა აღწერილი და სინთეზირებული ენინგლიკოლი—3-მეთილ-ნონინ-4-ენ-7-დიოლი-3,6.

ენინგლიკოლი, პლატინის შავის მონაწილეობით, ჰიდრირების სიჩქარის თანდათანობითი შესუსტებით, იერთებს 6 ატომ წყალბადს და იძლევა ერთატომიან ნაჯერ სპირტს—3-მეთილ-ნონინ-ოლი-3, რომელიც პირველადაა აღწერილი ჩვენ მიერ.

$Pd/CaCO_3$ -ის მონაწილეობით ჰიდრირების ხასიათი დაახლოებით ანალოგიურია ხორბლის სახამებელზე მომზადებული კოლოიდური პალადიუმით ჰიდრირების ხასიათისა. აქაც დადასტურებულია 4 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ რეაქციის სიჩქარეში მკვეთრი გარდატეხა.

ლიტერატურა

1. А. И. Ногаидели, К. Я. Дзагнидзе и Р. Ю. Папава—ЖОХ, 28, 116 (1958); А. И. Ногаидели, К. Я. Дзагнидзе и Н. Уридия—ЖОХ; 25, 2225 (1955); А. И. Ногаидели, К. Я. Дзагнидзе, Г. Пагава и Т. К. Кверенчхиладзе—ЖОХ, 29, 1931 (1959).

2. ა. ნოღაიდელი, ქ. ძაგნიძე—თსუ შრომები, 104, 1964.

3. ი. გვერდწითელი და რ. პაპავა—ციკლოპექსილ- და ციკლოპენტილაცეტონილ-კარბინოლების მაგნიუმორგანულ ნაერთებზე დარიჩინის ალდეჰიდის მოქმედება. 1961 წლის სამეცნიერო კვლევის ანგარიში.

ორგანული ქიმიის კათედრა

(შემოვიდა რეაქციაში 0. II. 1966 წ.).

А. И. НОГАИДЕЛИ, К. Я. ДЗАГНИДЗЕ

**СИНТЕЗ И КАТАЛИТИЧЕСКОЕ ГИДРИРОВАНИЕ
3-МЕТИЛ-НОНИН-4-ЕН-7-ДИОЛА-3,6****Резюме**

При исследовании действия непредельных магнийорганических соединений на α , β -непредельные альдегиды замечены следующие закономерности: первый член гомологического ряда акролеин энергично реагирует с непредельными магнийорганическими соединениями с образованием енингликолей.


Замещением радикала у винильной группы скорость реакции гидрирования, в зависимости от характера радикала, постепенно падает вследствие уменьшения поляризации двойной связи. Впервые нами синтезирован 3-метил-нонин-4-ен-7-диол-3,6, гидрированием которого в присутствии платиновой черни образуется предельный спирт—3-метил-нона-ол-6.

В присутствии Pd/CaCO₃ енингликоль энергично присоединяет 4 атома водорода, после чего скорость реакции значительно уменьшается; при этом образуется предельный спирт—3-метил-нонан-ол-3. Предельный спирт впервые описан нами.


ბ. ნოღაიელი, ბ. გონაძე

**მაგნიუმპროქსილოქოქსილასხაგილანის მოქმედება ფლუორენზე
 და მიღებული პროდუქტის ჰიდროგენირება**

ფლუორენის რადიკალის შემცველი აცეტილენური γ გლიკოლებიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელია შესწავლილი [1], რომელიც სინთეზირებულია დიმეთილეთინილკარბინოლის მაგნიუმბრომფარმოებულზე ფლუორენონის მოქმედებით. ი. ზალკინდისა და მისი მოწაფეების მიერ შესწავლილ იქნა ფლუორენის რადიკალის შემცველი აცეტილენური გლიკოლის ჰიდრირება, რამაც უჩვენათ, რომ თუ მაგალითად აცეტილენურ გლიკოლებში მეთილის რადიკალებს თანდათანობით შევცვლით ფენილის რადიკალებით, მაშინ ჰიდრირების სიჩქარეც შესაბამისად თანდათანობით მცირდება. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ფენილის რადიკალებს შევკრავთ ფლუორენის რადიკალად, მაშინ ჰიდრირების სიჩქარეც საგრძნობლად მატულობს, რაც ახსნილია სივრცითი გავლენის შემცირებით ფუნქციონალურ ჯგუფთან [2]. სწორედ ამიტომ მიზნად დავისახეთ სისტემატური შესწავლა ვაწარმოოთ ფლუორენის რადიკალის შემცველი ნაერთებისა, როგორც ჰიდროგენირებისადმი დამოკიდებულების, ასევე ეთერიფიკაციისა და სხვა მიმართულებით, რისთვისაც მაგნიუმბრომქსიციკლოქსილეთინილაკაგოლატზე ფლუორენონის მოქმედებით მივიღეთ ოქსიციკლოქსილოქსიფლუორენილაცეტილენი




92 % გამოსავლით; თეთრი ფერის კრისტალებია 134—136° დნობის ტემპერატურით. ხსენებული გლიკოლი Pd/CaCO₃-ის მონაწილეობით ენერგიულად 12 წუთში იერთებს 2 ატომ წყალბადს და ჰიდრირების შედეგად მხოლოდ ერთადერთ ნაერთს—ეთილენურ γ გლიკოლს—იძლევა, რაც აღნიშნული კატალიზატორის შერჩევით ბუნებაზე მეტყველებს [3]



იგი თეთრი ფერის კრისტალებია 188—190° დნობის ტემპერატურით.



აცეტილენური გლიკოლის [1] ჰიდრირება შევისწავლეთ აგრეთვე მისი შავის მონაწილეობით. 0,8 გ კატალიზატორმა 0,01 გ-მოლი დააჰიდრირა ნაჯერამდე 27 წუთის განმავლობაში და მასთან ჰიდრირება გაცილებით სწრაფად წარიმართა პალადიუმთან შედარებით. საგულისხმოა ის, რომ ამ შემთხვევაში 4 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ ჰიდრირება გაცილებით ნელა, მაგრამ მაინც გრძელდებოდა მოსალოდნელი ჰიდროქსილის ჯგუფის მოხლეჩის ხარჯზე, რისთვისაც 4 ატომი წყალბადის მიერთების შემდეგ რეაქცია ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი. მიღებული ნაჯერი ნაერთი 1-ოქსიციკლოჰექსილ-2-ოქსიფლუორენილეთანო



აგრეთვე თეთრი ფერის კრისტალებია და ღლვება 183—185°-ზე. ამრიგად, დასტურდება, რომ ფუნქციონალური ჯგუფის რადიკალებით ეკრანირების ალბათობის შემცირება შესამჩნევად აჩქარებს ჰიდრირების პროცესს.

მსხვირიმეტული ნაწილი

ოქსიციკლოჰექსილოქსიფლუორენილაცეტილენის სინთეზი (1)

0,5 ლიტრი ტევადობის მრგვალირა კოლბში მოვათავსეთ 12 გ მაგნიუმი, დავფარეთ აბსოლუტური ეთერით და მუდმივი მორევის პირობებში დავამატეთ 55 გ ეთილბრომიდი. სარეაქციო ნარევი დავტოვეთ ღამის განმავლობაში. ამგვარად მომზადებულ გრინიარის რეაქტივს გაცივების პირობებში დავუმატეთ 31 გ ოქსიციკლოჰექსილაცეტილენისა და ტოლი მოცულობა ეთილის ეთერის ნარევი და კვლავ დავტოვეთ ღამის განმავლობაში.

ამის შემდეგ სარეაქციო ნარევის დავამატეთ ეთერში გახსნილი 45 გ ფლუორენონი 84° ღლობის ტემპერატურით და სარეაქციო ნარევი გაცივების პირობებში დავშალეთ ამონიუმის სულფატით, გამოვწვლილეთ ეთერით და გამოვაშრეთ მშრალ გლაუბერის მარილზე. ეთერის მოშორების შემდეგ დარჩენილი ხსნარი გაცივებით დაკრისტალდა. კრისტალების ბენზოლში გადაკრისტალების შემდეგ მივიღეთ თეთრი ფერის კრისტალები 134—136° ღლობის ტემპერატურით 70 გ რაოდენობით, რაც თეორიულ გამოსავლის 92,10 % შეადგენს.

ნაწილი კრისტალები 134—186° დნობის ტემპერატურით

ამჟამად მთავარი ამოცანაა ნავთობიდან მივიღოთ და დავამზადოთ ნებისმიერი ძრავისა და აგრეგატის შესაფერისი საწვავი და საცხი ნივთიერება, გამოვეყოთ მაღალმოლეკულური ნაწილი, რომელიც გადაეცემა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს.

ბუნებრივია, რომ ნავთობის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა სუფსა-ომფარეთის ნავთობისა და მისგან მიღებული ფრაქციების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მისი ჯგუფურ-ქიმიური შედგენილობა.

სუფსა-ომფარეთის ნავთობის საბადო მდებარეობს საქ. სსრ ლანჩხუთის რაიონში, მდინარე სუფსის აუზში.

სუფსა-ომფარეთის ნავთობის საბადოს შესახებ 1912 წელს გამოქვეყნებულ იქნა ცნობა ბროშურის სახით—„Минеральные богатства Гурии“, რომელიც გამოიცა ქ. პეტერბურგში.

ქიმიკოსმა ა. ურუშაძემ ამავე საკითხის შესახებ გამოაქვეყნა სტატია გაზეთ „Закавказская речь“-ში. 1912 წლამდე გურიის ტერიტორიაზე კვლევას აწარმოებდნენ როგორც რუსი, ისე უცხოელი სპეციალისტები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სისტემატურად წარმოებდა სუფსა-ომფარეთის ნავთობის საბადოს შესწავლა. 1927 წ. სუფსა-ომფარეთის ნავთობის საბადოში გაიყვანეს საძიებო ჯგუფი. ეს თარიღი დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლის, აღნიშნული ნავთობის ძიების 50 წლისა და ლიტერატურაში მისი გამოქვეყნების 100 წლისთავთან [1].

ჯგუფიდან ყველაზე დებიტური აღმოჩნდა ჯგუფი № 15, რომელიც დღე-ღამეში 4—5 ტ ნავთობს იძლეოდა.

სუფსა-ომფარეთის ნავთობში ჯგუფი № 15-ის მიხედვით სხვადასხვა კომპონენტის შემცველობა და ზვედრითი წონა თ. დაფიქსირდა მონაცემების მიხედვით იცვლება შემდეგნაირად [2]:

ზვედრითი წონა (20°C)—0,879—0,909 გ/სმ³
ნავთობის გამჭვირვალე პროდუქტი—44,5—54,0%
აქცეზური ფისები—17,5—38,0%

სილიკაგელური ფისები—	1,0—18,39%
ასფალტენი—	0,2—0,89 „
პარაფინი—	0,09—0,54 „
გოგირდი—	0,32—0,45 „
აზოტი—	0,30—0,52 „

გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ სუფსა-ომფარეთის ნავთობის საბადოს გაზები ნავთობის ტიპური გაზებია, რომლებიც საქართველოს დანარჩენი ნავთობის გაზებისაგან განსხვავდებიან გოგირდწყალბადის შემცველობით.

სუფსა-ომფარეთის ნავთობის საბადოს გაზის ცალკეული კომპონენტის შედგენილობა იცვლება შემდეგნაირად:

CH_4 —	68,33—83,55 %
C_2H_6 —	4,50—10,70 „
C_3H_8 —	5,56—13,22 „
C_4H_{10} —	1,51—875 „
C_5H_{12} —	0,28—5,67 „
CO_2 —	0,58—3,32 „

ამჟამად მოქმედებაშია სუფსა-ომფარეთის საბადოს 14 ჰაბურღილი: რომელთაგანაც წარმოებს ნავთობის ამოღება. ამოღებული ნავთობის რაოდენობა დღე-ღამეში დაახლოებით 4 ტონას შეადგენს.

ჩვენ მიერ შესწავლილია ზემოთ აღნიშნული 14 ჰაბურღილის ნავთობის ნარევის ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტები და ჯგუფური ქიმიური შედგენილობა.

ნავთობის ჯგუფურ-ქიმიური შედგენილობის კვლევისათვის არსებობს ქრომატოგრაფიული, სულფირებისა და ნიტრირების მეთოდი [3], [4].


კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ ქრომატოგრაფიული მეთოდი [5], [6], რომლის საშუალებითაც ხდება არომატული ნახშირწყალბადების გამოყოფა. ნავთობში შემავალი ნახშირწყალბადები ნაჯერი ხასიათისაა. ნახშირწყალბადების რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ მათი დაყოფა შეიძლება 4 ძირითად ჯგუფად:

1. მეთანური, ანუ პარაფინული ნახშირწყალბადები ($\text{C}_n\text{H}_{2n+2}$)
2. ეთილენური, ანუ ოლენური ნახშირწყალბადები (C_nH_{2n})
3. ციკლური ნაჯერი ნახშირწყალბადები ნაფტენები ($\text{C}_n\text{H}_{2n-2}$)
4. ბენზოლის რიგის, ანუ არომატული ნახშირწყალბადები ($\text{C}_n\text{H}_{2n-6}$)

ნავთობი, რომელშიც სჭარბობს პარაფინული რიგის ნახშირწყალბადები, უფრო მსუბუქია და დაბალი სვედრითი წონისაა, ვიდრე ნაფტენური; ეს უკანასკნელი კი უფრო მსუბუქია, ვიდრე არომატული რიგის ნახშირწყალბადებით მდიდარი ნავთობი.

ამსპერიმენტული ნაწილი

ავიღეთ სუფსის 14 ჰაბურღილის ნედლი ნავთობის ნარევი და შევისწავლეთ მისი ფიზიკური თვისებები, რისთვისაც განვსაზღვრეთ: სვედრითი წონა 20°C -ზე პიკნომეტრით, სიბლანტე ოსტვალდის ვისკოზიმეტრით, ზედაპირული დაჭიმულობა სტალაგომეტრული მეთოდით. ნედლ ნავთობში განვსაზღვრეთ



გოგირდის პროცენტული შეცულობა ეშვას მეთოდით, ნაცრიანობა, წონა, წყლის შემცველობა დინა-სტარკის მეთოდით, მოლეკულური წონა კოი-ოსკოპული მეთოდით, განვსაზღვრეთ აგრეთვე ნავთობის დუღილის წერტილი. ცდის შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ხვედრითი წონა 20°C-ზე გ/სმ ³ -ით	სიბლანტე 20°C-ზე პუაზით	ზედაპირული დაქიმილობა ერგ/სმ ³ -ით	გოგირდის შემცველობა პროცენტ-ბით	ნაცრიანობა პროცენტ-ბით	კოქსი პროცენტ-ბით	წყლის შემცველობა	მოლეკულური წონა გრამებით	დუღილის საწყისი ტემპერატურა
0,8989	0,8948	29,79	0,34	0,083	6,53	კვალი	256	50

ენგლერის/ხელსაწყოში გადადენით განვსაზღვრეთ ნავთობის ფრაქციების %-ული გამოსავალი. შედეგი მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ფრაქცია	პროცენტული გამოსავალი
50—95°	3,2
95—122°	10,7
122—150°	11,5
150—200°	12,5
200—250°	11,4
250—270°	6,0
270—300°	6,2
ნაშთი	36,0

1-ელ და მე-2 ცხრილებში მოცემული სიდიდეები (ხვედრითი წონა, დუღილის საწყისი ტემპერატურა და მსუბუქი ფრაქციების პროცენტული გამოსავალი) გვიჩვენებს, რომ სუფსა-ომფარეთის ნავთობი მიეკუთვნება მსუბუქ ნავთობთა ტიპს.

ნედლი ნავთობი ენგლერის აპარატის საშუალებით გადავდენეთ 300°-მდე შემდეგი ტემპერატურის ინტერვალით: 50—95°, 95—122°, 122—150°, 150—200°, 200—250°, 250—270°, 270—300°.

ემულსიური წყლის მოცილების მიზნით მიღებული ფრაქციები იმავე ტემპერატურის ინტერვალში გადავდენეთ მეტალურ Na-ზე. ამის შემდეგ განვსაზღვრეთ თითოეული ფრაქციის ხვედრითი და მოლეკულური წონები, სიბლანტე, ზედაპირული დაქიმილობა, გარდატეხის მაჩვენებელი, ანილინის წერტილი, სითბოტევადობა და გოგირდის პროცენტული შეცულობა. შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

ფრაქციის დუღილის ტემპერატურული ზღვრები °C	ხვედრითი წონა გ/სმ ³ -ით d ₄ ²⁰	სიბლანტე პუაზ-ბით η	ზედაპირული დაქიმილობა ერგ/სმ ³ -ით σ	გარდატეხის მაჩვენებელი n _D ²⁰	მოლეკულური წონა გრამებით M	ანილინის წერტილი ფრაქციონაციამდე °C	გოგირდის %-ული შეცულობა საწყისი ფრაქციებში	სითბოტევადობა კალ/გრამუსს
50—95°	0,7302	0,00619	22,1942	1,4030	71,80	47,9	0,0415	0,7173
95—122°	0,7627	0,00672	24,0074	1,4210	104,20	42,9	0,0378	0,6925
122—150°	0,7920	0,00774	25,8201	1,4380	111,33	42,0	0,0341	0,6640
150—200°	0,8306	0,01045	27,9240	1,4570	133,21	36,4	0,0329	0,6013
200—250°	0,8775	0,02264	29,15706	1,4805	179,54	40,0	0,0274	0,4918
250—270°	0,8899	0,03512	29,7373	1,4950	205,33	43,5	0,0232	0,4886
270—300°	0,8964	0,05117	30,4626	1,4960	218,94	49,4	0,0192	0,4314



ანილინის წერტილის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ მაქსიმუმუმული-ლიზის წერტილის მეთოდი, ხოლო სითბოტევადობა განვსაზღვრეთ მათემატიკური მეთოდით [7].

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ სითბოტევადობა მსუბუქიდან მძიმე ფრაქციებზე გადასვლით მცირდება, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ მსუბუქიდან მძიმე ფრაქციებზე გადასვლით დაწვის სითბო მცირდება.

მოვახდინეთ მიღებული ფრაქციების დეარომატიზაცია 50°-დან 200°-მდე ქრომატოგრაფიული მეთოდით, ხოლო 200°-დან 300°-მდე სულფირების მეთოდით [4], [8]. განსაზღვრეთ დეარომატიზებული ფრაქციების ანილინის წერტილი, გარდატეხის მაჩვენებელი, ხვედრითი წონა და გამოვთვალოთ ჯგუფური ქიმიური შედგენილობა. მიღებული შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

ფრაქციის ტემპერატურული ზღვრები	ხვედრითი წონა გ/სმ ³ -ით დეარომატიზებული d_{4}^{20}	ანილინის წერტილი T_{0} დეარომატიზებული	გარდატეხის მაჩვენებელი დეარომატიზაციის შემდეგ n_D	არომატული ნახშირწყალბადების წონითი %-ული შემცველობა გამოსავალ ფრაქციებში A	ციკლანების წონითი %-ული შემცველობა დეარომატიზებული ფრაქციებში C	ციკლანების წონითი %-ული შემცველობა გამოსავალ ფრაქციებში C ₁	ალკანების წონითი %-ული შემცველობა გამოსავალ ფრაქციებში M
50—95°	0,7230	56,95	1,3995	10,86	37,36	33,30	55,84
95—122°	0,7515	57,50	1,4200	17,81	53,17	43,70	38,49
122—150°	0,7535	58,90	1,4230	21,97	56,96	44,44	33,59
150—200°	0,7904	59,75	1,4240	34,09	88,87	58,57	7,34
200—250°	0,8090	68,90	1,4550	43,03	80,57	45,90	11,07
250—270°	0,8549	76,30	1,4620	50,18	51,73	25,77	24,05
270—300°	0,8620	81,80	1,4665	51,84	35,83	17,25	30,91

მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ დეარომატიზაციის შემდეგ მსუბუქიდან მძიმე ფრაქციებზე გადასვლით ხვედრითი წონა და გარდატეხის მაჩვენებელი მცირდება, ხოლო ანილინის წერტილი იზრდება, რაც გამოწვეულია გამოსავალი ფრაქციიდან არომატული ნახშირწყალბადების მოცილებით.

გამოსავალ ფრაქციებში მსუბუქიდან მძიმე ფრაქციებზე გადასვლით არომატული ნახშირწყალბადების წონითი პროცენტული შემცველობა იზრდება, ციკლანების წონითი %-ული შემცველობა 50°-დან 200°-მდე იზრდება, ხოლო 200°-დან 300°-მდე მცირდება. ალკანების წონითი %-ული შემცველობა კი 50°-დან 200°-მდე მცირდება, ხოლო 200°-დან 300°-მდე იზრდება.

მე-4 ცხრილში მოტანილი შედეგები კარგად აიხსნება მე-3 ცხრილში მოტანილი ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტებით. გარდატეხის მაჩვენებელი— n_D ²⁰ და ხვედრითი წონა— d_{4}^{20} იზრდება მსუბუქი ფრაქციიდან მძიმე ფრაქციებზე გადასვლით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ არომატული ნახშირწყალბადების %-ული შეცულობა შესაბამისად უნდა იზრდებოდეს. ალკანური და ციკლანური ნახშირწყალბადების %-ული შეცულობის ცვლილება კარგად ეთანხმება ანილინის წერტილის ცვლილებას გამოსავალ ფრაქციებში, რადგანაც ანილინის წერტილის შემცირება გამოწვეულია ალკანური ნახშირწყალბადების შემცირებით და პიროქით.

შეჯამება

1. სუფსის ნავთობი მიეკუთვნება მსუბუქ ნავთობთა ტიპს.
2. ალკანური ნახშირწყალბადების წონითი %-ული შეცულობა გამოსავალ ფრაქციებში იცვლება 7,34 %-დან 55,8%-მდე, ციკლანებისა—17,25%-დან 58,57%-მდე, არომატულისა—10,86%-დან 51,84%-მდე.
3. გარდატეხის მაჩვენებელი— n_D^{20} მსუბუქიდან მძიმე ფრაქციებზე გადასვლით იცვლება 1,403-დან 1,499-მდე, ხოლო ხვედრითი წონა— d_4^{20} 0,7302-დან 0,8964-მდე.
4. ფრაქციების ხვედრითი სითბოტევადობა იცვლება 0,7173-დან 0,4314 კალ/გ გრადუსის საზღვრებში.

ლიტერატურა

1. Сборник материалов по вопросу о нефтяных месторождениях Гурии, Изд. ВСНХ Груз. ССР, 1927, стр. 2.
2. Т. А. Давришева—Газы нефтяных и газовых месторождений Грузии, 1958.
3. Б. М. Рыбак—Анализ нефти и нефтепродуктов, Азнефтеиздат, 1948.
4. ა. ფ. პლატე—ნავთობის ქიმიის პრაქტიკუმის მოკლე სახელმძღვანელო, თსუ გამომცემლობა, 1962 წ.
5. А. В. Киселев и Е. А. Михайлова—Адсорбция углеводородов и хроматографическое разделение их смесей и нефтепродуктов, Сб. Состав и свойства нефтей и бензинокеросиновых фракций, Изд. АН СССР, М., 1957, стр. 35.
6. Е. А. Михайлова, Б. А. Казанский—Сб. Исследования в области хроматографии, изд. АН СССР, М.—Л., 1952, стр. 155.
7. М. М. Попов—Термометрия и калориметрия, 1954.
8. С. С. Наметкин—Собрание трудов, II, 217, 1955.

ფიზიკური ქიმიის კათედრა
 (შემოვიდა რედაქციაში 18.IV.1966 წ.).

შ. С. ШАРАШЕНИДЗЕ,

М. Н. КОБИДЗЕ, Э. А. РУСИЯ

ФИЗИКО-ХИМИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ НЕФТИ И НЕФТЕПРОДУКТОВ
 СУПСА-ОМПАРЕТИ

Резюме

Изучались физико-химические константы нефти и нефтепродуктов Супса-Омпарети: показатель преломления, удельный и молекулярный вес, поверхностное натяжение, вязкость и анилиновая точка.

Изучался групповой химический состав углеводородов методом анилиновой точки.

В результате проведенной работы установлен весовой процентный состав ароматики, циклонов и алканов.

На основании экспериментальных данных можно сделать заключение, что нефть Супса-Омпарети принадлежит к типу легкой нефти с высоким содержанием алканов.

ზ. შარაზინძე,

მ. კობიძე, ე. რუსია

სუფსა-ოზოზაკითის ნავთობის 200—250° ფრაქციის ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების გამოკვლევა

ნავთობისა და მისი ფრაქციების ქიმიური ბუნების შესწავლას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კვლევა-ძიებითი მუშაობა, რომელიც წარმოებს ნავთობში შემავალი ნახშირწყალბადების ინდივიდუალური ბუნების დადგენისა და მათი კონტაქტურ-კატალიზური გარდაქმნის მიმართულებით, გამოწვეულია სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების მზარდი მოთხოვნისაგან.


ლიტერატურული მონაცემების მიხედვით საბჭოთა კავშირის ნავთობის უმრავლესობაში კეროსინის ფრაქციების მეთანური ნახშირწყალბადების საშუალო $\%$ -ული რაოდენობა შეადგენს 20—35 $\%$, ხოლო დეარომატიზებული კეროსინის ფრაქციაში იგი შესაბამისად იზრდება 40—45 $\%$ -მდე [1].

სხვადასხვა აღნაგობის პარაფინული ნახშირწყალბადები ძრავებში განსხვავებულად მოქმედებს წვის დროს; იზოპარაფინული ნახშირწყალბადები ნორმალურ პარაფინულ ნახშირწყალბადებთან შედარებით უფრო მაღალი ოქტანური რიცხვით ხასიათდება. ბენზინებში შემავალი იზო- და ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების რაოდენობის დაზუსტება საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ საწვავის ხარისხზე.

ჩვენ მიერ შესწავლილია სუფსა-ომფარეთის ნავთობის ფრაქციების ჯგუფურ-ქიმიური შედგენილობა და დადგენილია პარაფინული ნახშირწყალბადების $\%$ -ული რაოდენობა [2], [3], საინტერესოა იმის დადგენა თუ რა აღნაგობისაა ამ ფრაქციებში შემავალი პარაფინული ნახშირწყალბადები და რა რაოდენობით მოიპოვება ნორმალური და იზოპარაფინული ნახშირწყალბადები ხსენებული ნავთობის ფრაქციებში. აღნიშნული საკითხების გარკვევა საფუძვლად დაედო ჩვენს გამოკვლევას.

იზოაღნაგობის პარაფინული ნახშირწყალბადები უფრო მაღალი ოქტანური რიცხვით ხასიათდება, ვიდრე ნორმალური აღნაგობის პარაფინული ნახშირწყალბადები; ასე მაგ., ნ-ჰეპტანის ოქტანური რიცხვი უდრის 0-ს, ხოლო 2,2,3-ტრიმეთილბუტანის—101-ს. ამის გამო იზოაღნაგობის პარაფინული ნახშირწყალბადები უაღრესად სასურველ კომპონენტებს წარმოადგენს იმ საწვავი მასალებისათვის, რომელიც შიგაწვის ძრავებში გამოიყენება.

ნორმალური და იზოაღნაგობის პარაფინული ნახშირწყალბადების რაოდენობრივი დაზუსტებაც საწვავის ვარგისიანობის დასახასიათებლად საკმარისი



აღნიშნული ფრაქციებიდან ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების გამოყენების მიზნით იძლევა ე. წ. მოლეკულური საცრებით [8], სახელდობრ ამ შემთხვევაში გამოყენებულია CaA ტიპის ცეოლითები.

ნავთობის ფრაქციების ანალიზის საქმეში შარდოვანათი დამუშავების მეთოდმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა, როგორც ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების გამოსაყოფად, ასევე ნორმალური პარაფინებისაგან ნავთობის ფრაქციების გასანთავისუფლებლად ამ ფრაქციების გაყინვის ტემპერატურის დწევის მიზნით.

მასპერიმენტული ნაწილი

ავიღეთ სუფსა-ომფარეთის ნავთობის საშუალო სინჯი, საიდანაც წილაღური გამოხდით გამოვეყავით სტანდარტული ფრაქციები:

50—95°, 95—122°, 122—150°, 150—200°, 200—250°, 250—270°, 270—300°.

აღნიშნული ფრაქციები გავრეცხეთ 75%-იანი გოგირდმჟავათი, სოდის 10%-იანი ხსნარით, გამოხდილი წყლით და ბოლოს, ქლორკალციუმით გაშრობის შემდეგ გადავდენეთ მეტალურ ნატრიუმზე იმავე ტემპერატურულ ზღვრებში. განვსაზღვრეთ აღნიშნული ფრაქციების მაქსიმალური ანილინის წერტილი, ხვედრითი წონა, გარდატეხის მაჩვენებელი. მოვახდინეთ აღნიშნული ფრაქციების დეარომატიზაცია სულფირების მეთოდით [9]. დეარომატიზებული ფრაქცია გავრეცხეთ სოდის 5%-იანი ხსნარით, გამოხდილი წყლით და ქლორკალციუმით გაშრობის შემდეგ გადავდენეთ მეტალურ Na-ზე. დეარომატიზებული ფრაქციებისათვის დავადგინეთ იგივე ფიზიკური მაჩვენებლები, რაც გვქონდა გამოსავალი ფრაქციებისათვის. მათი მნიშვნელობა მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ფრაქციის დუღილის ტემპერატურული ზღვრები °C	ანილინის მაქსიმალური წერტილი		D ²⁰		d ₄ ²⁰	
	დეარომატიზაციამდე	დეარომატიზაციის შემდეგ	დეარომატიზაციამდე	დეარომატიზაციის შემდეგ	დეარომატიზაციამდე	დეარომატიზაციის შემდეგ
50—95°	47,9	56,95	1,4030	1,3996	0,7302	0,7230
95—122°	42,9	57,50	1,4210	1,4200	0,7621	0,7515
122—150°	42,0	58,90	1,4380	1,4230	0,7920	0,7535
150—200°	36,4	59,75	1,4570	1,4240	0,8306	0,7904
200—250°	40,0	68,90	1,4805	1,4550	0,8775	0,8090
250—270°	43,5	76,30	1,4950	1,4620	0,8899	0,8549
270—300°	49,4	81,80	1,4990	1,4665	0,8964	0,8620

1-ელი ცხრილიდან ჩანს, რომ დეარომატიზაციის შემდეგ ხვედრითი წონა და გარდატეხის მაჩვენებელი მცირდება, ხოლო ანილინის წერტილი იზრდება, რაც გამოწვეულია გამოსავალი ფრაქციიდან არომატული ნახშირწყალბადების მოცილებით.

ანილინის მაქსიმალური წერტილის დებრესიის საფუძველზე გამოვთვალებთ გამოსაკვლევი ფრაქციის ჯგუფურ-ქიმიური შედგენილობა [10], შედეგები მოტანილია მე-2 ცხრილში.



ფრაქციის დუღილის ტემპერატურული ზღვრები °C	არომატული ნახშირ- წყალბადების წონითი პროცენტული შემც- ველობა დეარომატი- ზაციამდე A	ციკლანების წონითი პროცენტული შემც- ველობა დეარომატი- ზაციის შემდეგ C	ციკლანების წონითი პროცენტული შემც- ველობა დეარომატი- ზაციამდე C ₁	ალკანების წონითი პროცენტული შემც- ველობა დეარომატი- ზაციამდე M
50—95°	10,86	37,36	33,30	55,84
95—122°	17,81	53,17	43,70	38,49
122—150°	21,97	56,96	44,44	33,59
150—200°	34,09	88,87	58,57	7,34
200—250°	43,03	80,57	45,90	11,07
250—270°	50,18	51,73	25,77	24,05
270—300°	51,84	35,83	17,25	30,91

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ ალკანების წონითი % -ული შემცველობა მცირდება, აღწევს გარკვეულ სიდიდეს და შემდეგ მძიმე ფრაქციებზე გადავლით იზრდება.

1-ელ და მე-2 ცხრილებში მოცემული შედეგები კარგად ეთანხმება ფრაქციებში ანილინის წერტილის ცვლილებას, რადგან ანილინის წერტილის შემცირება გამოწვეულია ალკანური ნახშირწყალბადების შემცირებით და პირიქით.

ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების გამოყოფის მიზნით საკვლევი ფრაქცია (200—250°) დავამუშავეთ შარდოვანათი [5], [6], [7], [8]. ავიღეთ 200 გ ფრაქცია (200—250°), რომლის $d=0,8090.100$ გ. ფრაქციისათვის შარდოვანას საჭირო რაოდენობა (x) გამოვთვალეთ ფორმულით:

$$x = \frac{11,07.60.10,5}{184} = 37,9 \text{ გ.}$$

ფორმულაში 11,07 არის ჩვენ მიერ აღებულ ფრაქციაში პარაფინული ნახშირწყალბადების % -ული რაოდენობა, რომელიც გამოთვლილი გვექონდა ანილინის წერტილის მიხედვით. 60 არის შარდოვანას მოლეკულური წონა. ხოლო 184 ფრაქციაში შემავალი ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების საშუალო მოლეკულური წონა. ჩვენი საკვლევი ფრაქციის დუღილის ტემპერატურას შეესაბამება $C_{13}H_{28}$, რომლის მოლეკულური წონა არის 184. 10,5 არის შარდოვანას წონითი რაოდენობა.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, როდესაც ნახშირბადის ატომთა რიცხვა 13, შარდოვანა უნდა ავიღოთ 10,5:1 შეფარდებით. ორასი გრამი ფრაქციისათვის ავიღეთ 75,8 გ შარდოვანა; მეთილის სპირტი კი—19,16 მლ, რაც აღებული შარდოვანას 20 წონით % -ს შეადგენს.

75,8 გ წვრილად დაფხვნილი შარდოვანა გადავიტანეთ განიერყელიან კუროჭელში, დავასხით 19,16 მლ მეთილის სპირტი (NaOH-ზე ახლად გადადენილი), დავამატეთ 200 გ საკვლევი ფრაქცია (200—250°), ვანჯღრიეთ 2 საათის განმავლობაში, შემდეგ გავფილტრეთ ბიუნხერის ძაბრში. ჩავრეცხეთ იზოოქტანით არომატიკაზე უარყოფითი რეაქციამდე. ჩარეცხილი ნივთიერება გავაშრეთ ფილტრის ქაღალდებს შორის, დავაფხვიერეთ და ავწონეთ. მიღებული ნივთიერების წონა იყო 70,62 გ, რომელიც გადავიტანეთ გამოყოფის ძაბრში

და დაეუმატეთ სამმაგი მოცულობა წყალი. კომპლექსის დაშლის გამოწვეული ნახშირწყალბადები მოექცევა წყლის ზედაპირზე. აღნიშნულ შემთხვევაში n-პარაფინების არსებობა მხოლოდ თვისობრივად შეიმჩნეოდა.

დასკვნები

1. სუფსა-ომფარეთის ნავთობის 200—250° ფრაქციაში n-პარაფინული ნახშირწყალბადები არის უმნიშვნელო რაოდენობით.
2. აღნიშნულ ფრაქციაში მეთანური ფგუფის ნახშირწყალბადების 11,07% შეესაბამება იზოპარაფინულ ნახშირწყალბადებს.

ლიტერატურა

1. В. С. Гутыря и др.—Нефти Азербайджана, Азнефтьтехиздат, Баку, 1945.
2. შ. შარაშენიძე, მ. კობიძე და ე. რუსია—სუფსა-ომფარეთის ნავთობის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოკვლევა“.
3. ა. სავსოჩია—სუფსა-ომფარეთის ნავთობის № 14 კაბურღილის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა“.
4. ქ. არეშიძე და ა. კიკვიძე—„პატარა შირაქის ნავთობის 200—250° ფრაქციის პარაფინული ნახშირწყალბადების აგებულების საკითხისათვის“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქიმიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, გვ. 195, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1957.
5. F. Benzen, U. W. Schlenk—New addition products of Urea, Experimentia 5; 1949.
6. U. W. Schlenk—Die Harnstoff—addition der aliphatischen Verbindungen; Lieb. Ann. Chem., 565; 1949, S. 204.
7. ე. ბენაშვილი — „შარდოვანასა და თიოშარდოვანას ახალი კომპლექსური ნაერთების შესახებ“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქიმიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV, გვ. 137, გამოცემლობა „მეცნიერება“, 1958.
8. С. Н. Павлова, З. В. Дриацкая, М. А. Мхчян.—Применение синтетических цеолитов для определения содержания нормальных алканов в бензиновых фракциях, Сборник „Синтетические цеолиты“, изд. АН СССР, Москва, 1962.
9. ა. პლატე — „ნავთობის ქიმიის პრაქტიკუმის მოკლე სახელმძღვანელო“, თსუ, 1962 წ.
10. Химический состав нефтей и нефтяных продуктов—Труды ГрозНИИ, ОНТИ, М.—Л. 1935, стр. 84.

ფიზიკური ქიმიის კათედრა
(შემოვიღა რელაქციაში 12.IV. 1966 წ.).

შ. С. ШАРАШЕНИДЗЕ,

М. Н. КОБИДЗЕ, Э. А. РУСИЯ

ВЫДЕЛЕНИЕ ИЗ СУПСА-ОМПАРЕТСКОЙ НЕФТИ n-ПАРАФИНОВЫХ УГЛЕВОДОРОДОВ С ПОМОЩЬЮ МОЧЕВИНЫ ИЗ ФРАКЦИИ 200—250° ПРЯМОЙ ГОНКИ

Резюме

Нами был установлен групповой химический состав нефти и нефтепродуктов методом анилиновой точки.



В результате проведенной работы установлен весовой состав углеводов: ароматики, цикланов и алканов.

Установлен процентный состав нормальных и изопарафиновых углеводов с помощью мочевины.

На основании экспериментальных данных установлено, что фракция прямой гонки ($200-250^\circ$) не содержит n-парафиновых углеводов и процентный состав алканов (11,07) соответствует изопарафинам.

А. Я. ВАРДУКАДЗЕ,

И. И. ЖУКОВ

ВЛИЯНИЕ ДЕЗАМИНИРОВАННОЙ ЖЕЛАТИНЫ И ГЛИКОКОЛЯ НА ЧИСЛА ПЕРЕНОСА ИОНА ХЛОРА ($0,1N HCl$) СОЛЯНОЙ КИСЛОТЫ

При дезаминировании желатины ее электрохимические свойства изменяются, рН исходной желатины от 4,7 снижается до 4,1 для дезаминированной. Потеря аминогрупп (NH_2) при дезаминировании составляет $4,0 \cdot 10^{-4}$ г азота на 1 г желатины. Прореагировавшие аминогруппы необходимо заменить раствором сильной щелочи, чтобы привести раствор белка к одинаковой концентрации водородных ионов. Отсюда видно, что в чистых растворах желатины эти аминогруппы полностью ионизированы [1, 2].

Несомненная связь между уменьшением аминогрупп, входящих в желатину, и понижением способности ее сорбционных свойств по отношению к водородным ионам поставила перед нами задачу более подробного изучения числа переноса в присутствии дезаминированной желатины. Имеющиеся по этому вопросу литературные данные не носят систематического характера, а для дезаминированной желатины — вообще отсутствуют.

Так как процесс дезаминирования желатины связан с уменьшением основных групп, имеющих в ней, то она должна иметь по сравнению с обыкновенной желатиной кислый характер. Это предположение для нашей дезаминированной желатины после определения кислотности желатинового раствора $pH=4,11$ хорошо согласуется с данными, полученными Лоебом [3], который установил для дезаминированной желатины $pH=4,00$.

Добавление щелочей, кислот или солей к раствору желатины приводит к химическому взаимодействию с образованием соответствующих солей и уменьшением вязкости желатиновых растворов [4]. Такое химическое взаимодействие имеет сложный характер и специфично для каждого вещества, входящего в желатину. Можно предполагать, что каждой концентрации кислоты или щелочи в полимерных растворах соответствует особое внутримицеллярное строение белка, т. е. между рН и пространственным объемом белковой частицы существует функциональная зависимость.

Рассматривая золь желатины, имеющую структурную вязкость как жидкую диафрагму, обладающую какой-то структурой, можно, проведя аналогию с желатиновой диафрагмой в форме застывшего геля, предполагать, что числа переноса Cl^- будут зависеть от концентрации водород-



ных ионов раствора. Как известно, для желатиновой диафрагмы изогель изоэлектрический пункт лежит около $pH=4,7$ и при увеличении концентрации водородных ионов желатина будет вести как положительно заряженная диафрагма, тогда как при $pH=4,8$ она будет заряжена отрицательно. Для проверки этого предположения интересно было провести опыты по числам переноса на желатине при различной pH раствора, сохраняя постоянным количество желатины, и затем предпринять ряд опытов с различным количеством желатины при постоянной величине pH раствора.

Экспериментальная часть

В качестве объектов исследования были взяты дезаминированная желатина и аминокислота — гликоль. Желатина марки „Ленжет“ дезаминировалась по указаниям Блазеля и Матулы [5] следующим способом: 200 г желатины растворяли в одном литре теплой воды, затем к раствору добавляли 200 г азотистокислого натрия в одном литре воды. После охлаждения осторожно добавляли 140 г ледяной уксусной кислоты; весь этот раствор отстаивался в течение 12 часов после чего раствор нагревался в течение 2-х часов на водяной бане. Дезаминированная таким образом желатина затем высаливалась сернокислым аммонием и помещалась в мешок из целлофана, в котором подвергалась диализу в проточной воде в течение 10 дней. После этого оставшиеся в желатине неорганические соли удалялись посредством электродиализа при силе тока от 0 до 0,5 мА. Во избежание получения кислой желатины и для ускорения процесса электродиализа применялись две различные диафрагмы: положительно заряженная — анодная (из желатины, дубленной формалином) и отрицательно заряженная — катодная (из пергамента). Применение этих диафрагм обеспечивает отсутствие свободной кислоты в среднем пространстве и ускорение процесса очистки, создавая условия для удаления различно заряженных ионов с одинаковой скоростью. После окончания электродиализа содержание солей в желатине контролировалось определением электропроводности системы „желатина + дистиллированная вода“. На основании этих данных устанавливалась чистота желатины и она переносилась из диализатора на фарфоровую чашку, а потом на водяную баню, с целью удаления избытка воды. Когда желатиновая масса становилась достаточно густой, она наливалась на чашку и сушилась под отражательной электрической печью в течение 24 часов при температуре не выше $50^{\circ}C$. Полученная таким образом воздушно-сухая желатина имела характерный вид желатины и давала Биуретовую реакцию.

Данные по влиянию дезаминированной желатины на числа переноса¹ соляной кислоты графически представлены на рис. 1.

Приведенные числа переноса (рис. 1) для дезаминированной желатины, по сравнению с обычной желатиной, показывают, что дезаминиро-

¹ Числа переноса ионов определяли аналитическим методом.

ванная желатина влияет на числа переноса Cl^- значительно менее, чем обычная желатина. Кривая на рисунке располагается значительно ниже кривой обычной желатины, а также и желатины, подвергшейся тер-молизу.

Предположение того, что увеличение чисел переноса аниона хлора соляной кислоты, среди других факторов, обуславливается аминогруппами, содержащимися в желатине, проверялось опытным путем на изменение чисел переноса хлор-иона в присутствии гликоля, как простейшего




Рис. 1.

Влияние желатины на числа переноса иона Cl^- (0,1 N HCl) при 45°C .

- 1 — числа переноса иона Cl^- в исходной желатине.
2 — " " " " Cl^- в дезаминированной желатине.

представителя аминокислотных групп. Результаты определения графически представлены на рис. 2.

Как видно из рис. 2, числа переноса иона Cl^- в начале при малой концентрации гликоля резко возрастают, затем идут более полого и приближаются к некоторому пробелу, обусловленному тем, что весь гликоль вступает в соединение с HCl.

Попутно нами была поставлена задача выяснить влияние pH на числа переноса иона Cl^- в системе „0,1 N HCl + желатина“ при различном значении величины pH и постоянном %-ом (1,0) содержании желатины и наоборот. Результаты графически представлены на рис. 3.

Рассмотрение этих кривых показывает, что числа переноса Cl^- при увеличении pH равновесного раствора от 2,10 до 3,43 изменяются от 0,398 для pH=2,10 до 0,636, тогда как при постоянном значении pH изменение количества желатины от 1,0 до 8,0% приводит к сравнительно небольшому изменению чисел переноса от 0,218 до 0,288. В данном интер-





Рис. 2.

Влияние гликоля на числа переноса иона Cl^- 0,1 N HCl при 45°C




Рис. 3.

1—числа переноса иона Cl^- при постоянном $\%$ -ом содержании желатинь и при различном значении рН. 2—числа переноса иона Cl^- при рН=Const и при изменении $\%$ -го содержания желатинь

ვალე рН мы во всех случаях имеем дело с увеличением чисел переноса Cl^- и следовательно, как и можно было ожидать, желатиновая золь, если рассматривать её как диафрагму с определенной структурой, вела себя как положительно заряженная мембрана.

ВЫВОДЫ

1. Установлено, что по сравнению с исходной, дезаминированная желатина оказывает меньше влияния на числа переноса иона Cl^- соляной кислоты.

2. Определено влияние гликоля на числа переноса иона Cl^- соляной кислоты.

3. Изучено влияние рН на числа переноса иона Cl^- соляной кислоты в присутствии желатины и установлено, что с повышением рН числа переноса при постоянном %-ом содержании желатины возрастают; при постоянном рН с увеличением содержания желатины числа переноса иона понижаются по сравнению с исходной желатиной.

ЛИТЕРАТУРА

1. А. Я. Вардукадзе — Диссертационная работа „Влияние коллоидов на числа переноса иона Cl^- соляной кислоты“, ЛГУ, 1938 г.
2. Z. C. Loebel — Chem. Zentralblat, II, 27 (1928).
3. Жак Леб — Белки и теории коллоидных явлений, Бизлегпром, Москва (1939)
4. E. S. Bigwood — Trans. of the Faraday Society, Vol. XXXI, 385 (1935).
5. Blasel und Matula — Biochem. Zeitsch., 58, 417 (1914).

Кафедра физической химии
(Поступило в редакцию 23. V. 1963).

3. ვარდუკაძე, ი. შუკოვი

დეამინირებული ქელატინისა და გლიკოკოლის გავლენა მარილმჟავას ქლორიონის (0,1 N HCl) გადატანის რიცხვზე რეზიუმე

შესწავლილია დეამინირებული ქელატინისა და გლიკოკოლის გავლენა ქლორიონის (0,1 N HCl) გადატანის რიცხვზე. ცდების შედეგად დადგენილია, რომ გლიკოკოლი, დეამინირებული და ჩვეულებრივი ქელატინი ქლორიონის გადატანის რიცხვს ზრდის. დეამინირებული ქელატინი, რომელიც ჩვეულებრივთან შედარებით ამინოჯგუფების მცირე რაოდენობას შეიცავს, ქლორიონის გადატანის რიცხვზე ნაკლებ გავლენას ახდენს. ხსნარზე დამატებული ქელატინის %-ული რაოდენობის მუდმივობისა და рН-ის გაზრდის პირობებში ქლორიონის გადატანის რიცხვი მატულობს, ხოლო მუდმივი рН-ისა და ხსნარში ქელატინის %-ული შეცულობის გაზრდით ქლორიონის გადატანის რიცხვი მცირდება საკონტროლოს რიცხვთან შედარებით.

ა. ვარლუჰაძე, თ. კაციტაძე

$\text{Cd}(\text{OH})_2$ -ის, $\text{Fh}(\text{OH})_2$ -ისა და SiO_2 -ის გავლენა ქლორიონის გელაზინის რიხსზე

დაბალმოლეკულური ელექტროლიტების წყალხსნარების იონთა გადატანის რიცხვის შესახებ არსებობს საგულისხმო გამოკვლევები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაედგინათ ხსნარში იონთა ფარდობითი ძვრადობის სიჩქარე, მათი ჰიდრატაციის ხარისხი, კომპლექსწარმოქმნის მოვლენები, ელექტროდებზე მიმდინარე მეორადი რეაქციების კინეტიკა და მრავალი სხვა საკითხი. ეს გამოკვლევები საფუძვლად დაედო თანამედროვე ქიმიური მრეწველობის უმნიშვნელოვანესი სახის ტექნოლოგიურ პროცესებს.

ელექტროლიტების იონთა გადატანის რიცხვის შესწავლის პარალელურად მკვლევართა ყურადღება იმთავითვე მიიპყრო დღეისათვის ჯერ კიდევ მეტად აქტიურმა პრობლემამ, რომლის მიზანია გაირკვეს რა მიმართულებით ცვლის ნახევრად გამტარი მემბრანები ელექტროლიტების იონთა გადატანის რიცხვს და როგორია გამყოფ ფაზათა ზედაპირზე მიმდინარე ქიმიური პროცესების დინამიკა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ურთიერთშეხებაში მყოფი ფაზების (ელექტროლიტი-მემბრანა ან ელექტროლიტი-მყარი სხეული) რთული ქიმიური ბუნება აღნიშნული საკითხების ერთგვაროვნად გადაჭრის შესაძლებლობას ართულებს. ამ დაბრკოლების მიუხედავად ყოველთვის ტარდებოდა და ამჟამადც სისტემატურად სრულდება საგულისხმო გამოკვლევები იონთა მიმოცვლის მექანიზმის დადგენის შესახებ მყარი და თხევადი ფაზების შეხების ზედაპირზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში დიდ დახმარებას გვიწევს ელექტროოსმოსისა და გადინების პოტენციალის შესწავლის შედეგად მიღებული გამოკვლევები. h პოტენციალის რაიმე მიმართულებით ცვლილების მიხედვით წარმატებით ხერხდება დავადგინოთ ფაზათა შეხების ზედაპირის ელექტრული თვისებები [1, 2]. ეს თვისებები კი იზომება ზედაპირის ფართის ერთეულით სორბირებულ ელექტრულ მუხტთა სიმკვრივით.

გარდა მემბრანებისა, იონთა გადატანის რიცხვის ცვლილება შესწავლილია იონოგენური ჯგუფების (NH_2 , COOH , $-\text{OSO}_3^-$) მაღალმოლეკულური კოლოიდური ელექტროლიტების თანდასწრებით. ყველა შემთხვევაში იონთა გადატანის რიცხვის ცვლილება ახსნილია ელექტროლიტის იონებსა და მაკრომოლეკულებს შორის მიმდინარე ქემოსორბციის მოვლენებით. განსაზღვრის შედეგებიდან დგინდება: დადებითად დამუხტული მაკრომოლეკულები ანიონთა



გადატანის რიცხვს ზრდის, ხოლო უარყოფითად დამუხტული მაკრომოლეკულები მას პირიქით—ამცირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა გაგვერკვია რამდენად მართებულია მაკრომოლეკულური ხსნარებისათვის დამახასიათებელ იონთა გადატანის რიცხვის ცვლილების კანონზომიერებანი მეტალთა ჰიდროზოლების თანაობისას. ჩვენ მიერ ადრე შესრულებული გამოკვლევა [4] ვერცხლის, რკინისა და ალუმინის ჰიდროჟანგის თანდასწრებით ქლორიონის გადატანის რიცხვის ცვლილების შესახებ მიგვითითებს მასზე, რომ ხსენებული ჰიდროჟანგების თანდასწრებით ქლორიონის გადატანის რიცხვი მცირდება. ანალოგიური შედეგებია მიღებული ქლორიონის გადატანის რიცხვის ცვლილების შესახებ კადმიუმისა და თორიუმის ჰიდროჟანგის დამატების შემთხვევაშიც. გამონაკლისს შეადგენს SiO_2 -ის დაბალი კონცენტრაციის გელები, რომელთა თანდასწრებით ქლორიონის გადატანის რიცხვი თითქმის უცვლელია, ხოლო დისპერსიული ფაზის მაღალი კონცენტრაციის პირობებში ის მიისწრაფის გადილებისაკენ.


მასპერიმენტული ნაწილი¹

ცდისათვის საჭირო თორიუმის ჰიდროჟანგი მივიღეთ $\text{Th}(\text{NO}_3)_4$ -ის წყალხსნარზე NH_4OH -ის მოქმედებით [5], ხოლო SiO_2 მივიღეთ Na_2CO_3 -სა და HCl -ის წყალხსნარების ურთიერთქმედებით. $\text{Cd}(\text{OH})_2$ კი გვექონდა ქიმიურად სუფთა პრეპარატის სახით. გადატანის რიცხვი ისაზღვრებოდა ანალიზური გზით პოტენციომეტრულად ქლორვერცხლის ელექტროდის გამოყენებით. 1-ელი და მე-2 ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, რომ თორიუმისა და კადმიუმის ჰიდროჟანგის თანდასწრებით ქლორკალიუმის წყალხსნარების ანიონის გადატანის რიცხვი ეფექტურად მცირდება ხსნარში შეტანილი ჟანგეულების $\frac{1}{10}$ -ული კონცენტრაციის ზრდის მიხედვით. ქლორკალიუმის იგივე წყალხსნარებისათვის ქლორიონის გადატანის რიცხვის ცვლილების ანალოგიური შემთხვევები დავადგინეთ რკინის, ალუმინის ჰიდროჟანგისა და Ag_2O -ს თანდასწრებითაც [4].

რით შეიძლება ავხსნათ 0,1 N KCl-ის ხსნარში ქლორიონის გადატანის რიცხვის ეფექტური შემცირება თორიუმისა და კადმიუმის ჰიდროჟანგის თანდასწრებით? შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ დენის გადატანაში კოლოიდური დისპერსია ლებულობს მონაწილეობას? ან კიდევ აღნიშნული დისპერსიის როგორც ფუძის ნაწილობრივი იონური დისოციაციის შედეგად მიღებული მეტალისა და OH^- -ის იონებით გადაიტანება დენი? უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი ეს დაშვება არ დადასტურდა ექსპერიმენტულად, შემდეგი მონაცემების გამო: ა) კოლოიდური დისპერსია რომ მონაწილეობდეს დენის გადატანაში უნდა მომხდარიყო მისი ელექტროფორეზულად გამოყოფა ელექტროდებზე, საიდანაც ჰიდროჟანგები 25 სმ-ის სიგრძის მქონე 0,1 N KCl-ით სავსე შინის სვეტითაა დაცილებული. ცდის დროს ჰიდროჟანგის კათაფორეზულად გამოყოფა არ ხდება ელექტროდებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ აღებული კონცენტრაციის KCl-ის ხსნარებში კათაფორეზული მოვლენები შეუძ-

¹ იონთა გადატანის რიცხვის განსაზღვრის მეთოდის შესახებ დაწვრილებით იხილეთ რიგით მეოთხე დამოწმებული ლიტერატურა.

Ca(OH)₂ ის გავლენა Cl⁻ იონის გადატანის რიცხვზე აგარ-აგარის სარქულზე 1 20°C



Ca(OH) ₂ ის მარცხენა რაოდენობა	სწნარის ერთ გ-ში KCl-ის რაოდენობა გრ-ბით		ანოდის არის სითბის წილი		ქლორის ნა- მატი გრ-მეწ- ვაკლენ- ტებით	ანოდის სითბის წონა Ni+Cl- გარეშე	ქვლონ- მეტრში გამოყოფი- ლი Ag-ს რაოდენო- ბა გ-ბით	Cl ⁻ იონის გა- რცედილობა				
	ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო	ანოდის არის სით- ბის წონა გრ-ბით	KCl-ის რაოდენობა				ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო	ერთეული ცდის მი- ხედვით	საშუალო	
				ერთეული ცდის მიხედვით								საშუალო
0.00	0,007858 0,007822	0,007840	44,6942	0,4060 0,4095	0,40775	0,000816	44,2593	0,00161	0,5068 0,5198	0,5133		
0.00	0,007771 0,007767	0,007769	44,7970	0,3971 0,3964	0,3978	0,000633	44,1679	0,00141				
1.00	0,006622 0,006590	0,006606	47,6022	0,3516 0,3505	0,35105	0,0005358	47,2130	0,0013	0,4122	0,4128		
"	0,007310 0,007319	0,0073175	46,6320	0,3830 0,3849	0,33385	0,0006078	46,2555	0,00147	0,4135			
3.00	0,004523 0,004402	0,004462	45,9592	0,2300 0,2347	0,2323	0,0003781	45,7934	0,0011	0,3413	0,3566		
"	0,004655 0,004612	0,004623	43,7003	0,2331 0,2335	0,2333	0,0004345	43,4320	0,0012	0,3620			
5.00	0,004661 0,004667	0,004664	46,0930	0,2421 0,2408	0,2414	0,0003755	45,8141	0,0014	0,2682	0,2546		
"	0,004537 0,004536	0,004536	44,5140	0,2310 0,2262	0,2286	0,000334	44,0462	0,00133	0,2511			
8.00	0,004650 0,004621	0,004625	44,9798	0,2356 0,2269	0,2332	0,0003956	44,7117	0,00146	0,2672	0,2506		
8.00	0,004510 0,004530	0,004520	44,6084	0,2209 0,2219	0,2214	0,0002816	44,3515	0,0012	0,2340			


Ca(OH)₂ ის და SiO₂ ის გავლენა ქლოროფორმის გადატანის რიცხვზე 379



Th(OH)₄-ის გავლენა Cl⁻-იონის (0,1N KCl) გადატანის რიცხვზე აგარ-აგარის სარჩულზე t=20°C

Th(OH) ₄ -ის %-ული რაოდენობა	ხსნარის ერთ გრამში KCl-ის რაოდენობა		ანოდის არის სითხის ანალიზი			ქლორის ნამატი გრამეზე- ვალენტე- ბით	ანოდის არის სით- ხის წონა Ni + Cl-ს გარეშე	ქლორო- მეტრში გამოყოფი- ლი ვერცხ- ლის რაოდენობაზე	Cl ⁻ -ის იონის გადატანის რიცხვი	
	ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო	სითხის წონა გრ-ობით	KCl-ის რაოდენობა გრ-ბით						
				ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო				ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო
1,00	0,007160	0,007005	59,5182	0,4533	0,4568	0,000579	59,0393	0,00119	0,4865	0,4914
	0,006859			0,4604					0,4964	
"	0,007431	0,007441	58,6452	0,4790	0,4808	0,0006479	58,1248	0,001348	0,4964	0,3635
	0,007461			0,4827					0,3017	
3,00	0,004657	0,004655	59,7742	0,3065	0,3069	0,000406	59,4318	0,00121	0,3355	0,3816
	0,004654			0,3073					0,2266	
"	0,006880	0,006878	59,7220	0,4442	0,4336	0,000350	59,2544	0,00116	0,3017	0,3041
	0,006915			0,4231					0,2920	
5,00	0,006495	0,006838	61,3656	0,4592	0,4519	0,000477	60,8788	0,00125	0,3816	0,2320
	0,007181			0,4447					0,1516	
"	0,004424	0,004456	55,1898	0,2670	0,2687	0,0002697	57,8864	0,00119	0,2266	0,1918
	0,004489			0,2704					0,1516	
8,00	0,006382	0,006613	54,7568	0,3789	0,3792	0,0002668	54,3254	0,00115	0,2320	0,1516
	0,006845			0,3795					0,1516	
"	0,007136	0,006821	57,9388	0,4071	0,4057	0,000118	57,5112	0,00118	0,1516	0,1516
	0,006507			0,4043					0,1516	

სტანდარტების ინსტიტუტი



სილიკატების გავლენა Cl⁻-იონის (0,1 NKCl) გადატანის რიცხვზე აგარ აგარის სარჩულზე t 20°C

სილიკატის კონცენტრაცია %	ხსნარის ერთ გრამში KCl-ის რაოდენობა		ანოდის არის სითხის ანალიზი			ქლორის ნაშთი გრამეულ ვალენტებით	ანოდის არის სითხის წონა Ni+Cl-ს გარეშე	კვლევის-მეტრებში გამოყენებული ვერცხლის რაოდენობა	Cl ⁻ -იონის გადატანის რიცხვი			
	ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო	სითხის წონა გ-ით	KCl-ის რაოდენობა გ-ით					ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო	ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო
				ერთეული ცდის მიხედვით	საშუალო							
0,00	0,007858	0,0007840	44,6942	0,4060	0,40775	0,000816	44,2100	0,00161	0,5068	0,5052		
	0,007822			0,4095								
"	0,0007771	0,0007768	44,7970	0,3971	0,3964	0,0007001	44,3573	0,00139	0,5036	0,415		
	0,0007767			0,3964								
1,00	0,006622	0,006610	47,6022	0,3516	0,3510	0,000521	47,2122	0,00133	0,3917	0,415		
	0,005599			0,3505								
"	0,005448	0,005464	48,1254	0,3066	0,3062	0,0006048	47,7802	0,00147	0,4114	0,4162		
	0,005480			0,3058								
3,00	0,005319	0,005375	43,9830	0,2705	0,2703	0,0004774	43,6781	0,00118	0,4047	0,4162		
	0,005431			0,2701								
"	0,006570	0,006573	44,4918	0,3279	0,3286	0,0005177	44,1277	0,00121	0,4278	0,4647		
	0,006577			0,3294								
5,00	0,006445	0,006482	46,6820	0,3482	0,3500	0,006706	46,2939	0,0013	0,5158	0,4647		
	0,006519			0,3518								
"	0,005396	0,0053655	43,9130	0,2760	0,2740	0,0005378	43,6009	0,0013	0,4136	0,5185		
	0,005335			0,2720								
8,00	0,006459	0,006488	44,4276	0,3474	0,3373	0,0006907	44,0518	0,00131	0,5274	0,5185		
	0,006517			0,3273								
"	0,006536	0,006506	43,9144	0,3308	0,3308	0,0006370	43,5487	0,00125	0,5096	0,5185		
	0,006476			0,3303								

Fr(OH)₂-ისა და SiO₂-ის გავლენა ქლორბრომის გადატანის რიცხვზე



ლებელია. ბ) ასევე არ მართლდება მეორე დაშვების შესაძლებლობა მინერალიზაციაში მინერალიზაციის პროცესის შედეგად წყალბადი უნდა გამოყოფილიყო, რაც აღებული ცდის პირობებში აგრეთვე არ ხდება.

ქლორიონის გადატანის რიცხვის შემცირების მეტად სააღბათო მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სუსტ მუყავე არეში თორიუმისა და კადმიუმის ჰიდროქსიანი $0,1 N KCl$ -ის ხსნარში ნაწილობრივად დისოცირდება როგორც ფუძე-დისოცირებული იონებიდან კატიონი აღსორბირდება არადისოცირებული უხსნადი ფაზის ზედაპირით, რის შედეგად მიიღება დადებითად დამუხტული მყარი ფაზა, რომლის ორმაგი ელექტრული შრის გარე შემონაფენში მყოფი OH^- იონები ხსნარიდან Cl^- იონებით ჩაინაცვლება, ხოლო გამოძევებული OH^- იონები კალიუმთან ტუტეს წარმოქმნის.

მყარი ფაზის ორმაგი ელექტრული შრის აღნაგობის თეორიიდან გამომდინარე უარყოფითად დამუხტული სილიკაგელი ქლორიონის გადატანის რიცხვს არ უნდა ცვლიდეს. მაგრამ, თუ ეს ჩვენი მონაცემებით არ დადასტურდება (ცხრილი 3) და სილიკაგელი მცირე დანაშაუტის პირობებში ქლორიონის გადატანის რიცხვს რამდენადმე მაინც ამცირებს, ეს ფაქტი უნდა მიეწეროს ანა სილიკაგელის, არამედ, ცდებში სარჩულად გამოყენებული აგარ-აგარის მოქმედებას, რომელიც ქლორიონის გადატანის რიცხვს ამცირებს [6].

დასკვნები

1. შესწავლილია იონთა გადატანის რიცხვი კადმიუმის, თორიუმის ჰიდროქსიანისა და სილიკაგელის თანდასწრებით ქლორკალიუმის ($0,1 N KCl$) წყალხსნარებში.


2. დადგენილია, რომ ქლორიონის გადატანის რიცხვი ეფექტურად მცირდება ხსნარში შეტანილი თორიუმისა და კადმიუმის ჰიდროქსიანის $\frac{1}{10}$ -ულის რაოდენობის ზრდის მიხედვით.

3. აგარ-აგარის სარჩულად გამოყენებისას KCl -ის ხსნარზე დამატებული სილიკაგელი უმნიშვნელოდ ამცირებს ქლორიონის გადატანის რიცხვს.

4. ორმაგი ელექტრული შრის აღნაგობის თეორიიდან გამომდინარე, თორიუმის, კადმიუმისა და სილიკაგელის თანდასწრებით ქლორიონის გადატანის რიცხვის ცვლილების განმსაზღვრელად გვევლინება იონთა მიმოცვლის პროცესები მყარ ფაზასა და ელექტროლიტის ხსნარს შორის.

ლიტერატურა

1. А. Н. Григоров—Уч. зап., серия естеств. наук, № 2 (63)1, (1944).
2. И. И. Жуков, Крюков, Уч. зап. ЛГУ, серия естеств. наук. Сообщ. сессии (1945).
3. ა. ვარლუკაძე, თ. კაციტაძე—იონური სორბცია ტრაგანტი ელექტროლიტების წყალხსნარებიდან, თსუ შრომები, ტ. 80, 1961 წ.
4. ა. ვარლუკაძე, თ. კაციტაძე—იონთა შერჩევით აღსორბციაზე დამოკლებით



გადატანის რიცხვის ცვლილება სხვადასხვა კოლოიდურ სისტემებში; თსუ შრომები, ტ. 80, 1961 წ.

5. Ю. В. Карякин—Чистые химические реактивы, Ленинград, 1936.

6. А. Я. Вардукадзе — Влияние коллоидов (желатини и агар-агара) на числа переноса иона Cl⁻ соляной кислоты. Диссертационная работа, представленная на соискание ученой степени кандидата химических наук, 1938.

ფიზიკური ქიმიის კათედრა

(შემოვიღა რედაქციაში 27.V. 1966 წ.).

А. Я. ВАРДУКАДЗЕ, Т. С. КАЦИТАДЗЕ

**ВЛИЯНИЕ ГИДРООКСИДЕЙ МЕТАЛЛОВ ТОРИЯ, КАДМИЯ И SiO₂
НА ЧИСЛА ПЕРЕНОСА ИОНОВ ХЛОРИСТОГО КАЛИЯ**

Резюме

Исследовалось влияние гидроксидов металлов тория, кадмия и силикагеля на числа переноса хлора (0,1 N KCl). В результате проведенной работы показано, что с увеличением процентного содержания гидроксидов тория и кадмия числа переноса иона хлора сильно уменьшаются, а при отсутствии силикагеля—почти не изменяются. Исходя из теории строения двойного электрического слоя, предполагается возможность ионного обмена между твердой и жидкой фазами.



გამომცემლობის რედაქტორები { ა. სვანიძე
ლ. აბუაშვილი

ტექნოლოგიური ი. ჩაგელიშვილი

კორექტორები { ლ. რაზმაძე
ნ. ქანთარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX-68
ქალაქის ფორმატი 70X108/16
ნაბეჭდი თაბახი 24
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25,63

შეკვეთა 2207

უე 02861

ტირაჟი 500

ფასი 2 მან. 05 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.